საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობების ფაკულტეტი

პოლიტიკისმცოდნეობის მულტი და
ინტერდისციპლინური სასწავლო-სამეცნიერო
პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე“

პოლიტიკა და ეროვნული ინტერესები

პოლიტიკის იმიტირებული სამსჯავროს მასალები

ლავრენტი ბერია

ტომი II

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობების ფაკულტეტი

პოლიტიკისმცოდნეობის მულტი და
ინტერდისციპლინური სასწავლო-სამეცნიერო
პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე"

პოლიტიკა და ეროვნული ინტერესები

პოლიტიკის იმიტირებული სამსჯავროს მასალები

ლავრენტი ბერია

ტომი II

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

პოლიტიკისმცოდნეობის მულტი და ინტერდისციპლინური
სასწავლო-სამეცნიერო პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე“

პოლიტიკა და ეროვნული ინტერესები

პოლიტიკის იმიტირებული სამსჯავროს მასალები

ტომი II

ლავრენტი ბერიას პოლიტიკა იყო თუ არა შესაბამისობაში
საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან (საქმე №01ქ/002)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2021

მსოფლიოში პირველად იმიტირებული სასამართლო პროცესი გამოყენებულია არა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების განსახილველად, არამედ **პოლიტიკისათვის** განაჩენის გამოსატანად და, ამავე დროს, მასში სტუდენტების (უფროსკლასელების) ჩადებული შრომის ხარისხის შესაფასებლად. საქართველოში პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკის მრავალი ასპექტი შესასწავლია და კვალიფიციურ პოლიტოლოგიურ განსჯას მოითხოვს. სწორედ ამ კუთხით ხდება ცნობილი პოლიტიკური ფიგურების მიერ წარმოებული პოლიტიკის შესწავლა, მისი პოლიტოლოგიური ანალიზი და სამსჯავროზე გატანა, პირველ რიგში, პოლიტიკისმცოდნეობის აქცენტით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე (დეკანი, პროფ. ირაკლი გაბისონია) მოიძებნა და დაინერგა სტუდენტების სასწავლო-სამეცნიერო პროცესში ინტერესითა და ხალისით ჩაბმის, მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადმოცემისა და შეფასების საინტერესო, თვალსაჩინო და ეფექტური საშუალება. ეს გამოიხატა სასწავლო-სამეცნიერო პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე“ (ავტორი პროფ. ჰენრი კუპრაშვილი) განხორციელებით სხვადასხვა, საფაკულტეტო, უნივერსიტეტშორისი, უცხოენოვან და სასკოლო ფორმატში. სტუდენტები (უფროსკლასელები) სწავლობენ და იკვლევენ ცნობილი პოლიტიკური პირების (პოლიტიკური პარტიების) მიერ გატარებული პოლიტიკის შესაბამისობას ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან და შედეგები სამსჯავროზე განსასჯელად გამოაქვთ ბრალდებისა და დაცვის გუნდებს. მათ უყალიბდებათ პოლიტიკის პრობლემების მეცნიერული შესწავლის, კვლევისა და ანალიზის, წყაროების მოძიების, კრიტიკული აზროვნების, ქცევისა და ურთიერთობის ეთიკის, გუნდური მუშაობის, საჯარო გამოსვლისა და დებატებში მონაწილეობის უნარ-ჩვევები. ამასთან, სხვადასხვა სპეციალობების ჰარმონიული ურთიერთკვეთის, თეორიულ-პრაქტიკული სინთეზისა და უნივერსალიზაციის შედეგები ხელს უწყობს მრავალმხრივად განვითარებული, მაღალი დონის სპეციალისტის მომზადებას. პროექტი, მისი მიზნები და ამოცანები სრულიად აპოლიტიკურია და გამორიცხავს მიმდინარე პოლიტიკურ-პარტიულ პროცესებთან პიროვნული თუ ორგანიზაციული სახით რაიმე შეხებას. სტუდენტებმა (უფროსკლასელებმა) მოიძიეს მრავალი საინტერესო მასალა, რის საფუძველზეც, ხშირ შემთხვევაში, მოხდა საქართველოს პოლიტიკის ისტორიაში მნიშვნელოვანი პერიოდების ახლებური პოლიტოლოგიური გააზრება და დამკვიდრებული ძველი სტერეოტიპების მსხვრევა, ეროვნული ინტერესების, სტრატეგიის, სისტემური მართვის, პოლიტიკის სტრუქტურულ-ფუნქციური კანონზომიერებების ურთიერთკავშირის სიღრმისეული გაცნობიერება. ამ ეტაპზე, უკვე დაგროვდა განვლილი 2 სეზონის 21 ტომის მასალა და იწყება მათი გამოცემა, რომელთაც ეტაპობრივად დაემატება შემდგომ სეზონებში ჩატარებული სამსჯავროების მასალები.

რედაქტორები:	პროფ. **ირაკლი გაბისონია,** სამართლის დოქტორი
	პროფ. **ჰენრი კუპრაშვილი**, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
შემდგენელი	**ნინო ოდიშელიძე,** პროექტის მენეჯერი
რეცენზენტი:	პროფ. **ვახტანგ მაისაია,** პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

© ჰენრი კუპრაშვილი, ირაკლი გაბისონია, ნინო ოდიშელიძე
© საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
© პოლიტიკისმცოდნეობის მულტი და ინტერდისციპლინური სასწავლო-სამეც-ნიერო პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე”

ISBN 978-9941-25-844-2

POLICY AND NATIONAL INTERESTS

Materials of politics mock trial

Volume II

The world's first mock trial is used not to deal with criminal and civil cases, but to make judgments about politics and, at the same time, to assess the quality of the work done by students (seniors). Many aspects of policy theory and practice in Georgia are to be studied and require qualified political judgment. In this context the policy produced by prominent political figures is studied, politically analyzed, and brought to justice, with an emphasis not on history but on political science. At the Faculty of Law and International Relations of the Georgian Technical University (Dean, Prof. Irakli Gabisonia), an interesting, visible and effective means of engaging students with interest and joy in the educational-scientific process, transferring their knowledge and skills and evaluations has been introduced. This was manifested in the implementation of the educational-scientific project "Politics on trial" (author Prof. H.Kuprashvili) in various faculty, inter-university, foreign language and school formats. Students (seniors) study and research the relevance of policies pursued by prominent political figures (political parties) to the national interests of the country, and the results are brought before the prosecution and defense teams for trial. They develop skills in the scientific study, research and analysis of policy issues, source finding, critical thinking, behavior and relationship ethics, teamwork, public speaking and debate. At the same time, the results of harmonious interconnection, theoreticalpractical synthesis of different specialties contribute to the training of a well-developed, high-level specialist. The project, its goals and objectives are completely apolitical and exclude any personal or organizational contact with the current political-party processes. Students (seniors) found a lot of interesting material, on the basis of which, in many cases, new political understandings of important periods in the history of Georgian politics were broken and old stereotypes were broken. At this stage, the material of 21 volumes of the past 2 seasons has already been accumulated and their publication begins, to which the materials of the trials held in the following seasons will be gradually added.

Editors:	Prof. **Irakli Gabisonia,** Doctor of Law.
	Prof. **Henri Kuprashvili,** Doctor of Political Science
Compiler	**Nino Odishelidze,** Project Manager
Reviewers:	Prof. **Vakhtang Maisaia**, Doctor of Political Science

© Henri Kuprashvili, Irakli Gabisonia, Nino Odishelidze

© Georgian Technical University, Faculty of Law and International Relations

© Project of Multi and Interdisciplinary educational-scientific of Political knowledge - "Politics on trial"

ISBN 978-9941-25-844-2

შინაარსი

შესავალი 5
1.პროცესის თანმიმდევრობა 9
2. იმიტირებული სამსჯავროს თავმჯდომარის სიტყვა და ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის) შემადგენლობა 10
3.მომხსენებლის სიტყვა 11
4.სხდომის მდივნის მიერ მხარეთა წარდგინება 14
5.ბრალდების მხარის (გუნდი VENI, VIDI, VICI) შესავალი სიტყვა 17
6.დაცვის მხარის (გუნდი „ისტორიის მეოხი“) შესავალი სიტყვა 25
7. ბრალდების მხარის კითხვები და დაცვის მხარის პასუხები (პაექრობა) 31
8. დაცვის მხარის კითხვები და ბრალდების მხარის პასუხები (პაექრობა) 34
9.ბრალდების მხარის დასკვნითი სიტყვა 37
10.დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვა 41
11.ბრალდების მხარის რეპლიკა 55
12.დაცვის მხარის რეპლიცა 56
13. ბრალდების მხარის მტკიცებულებები, შეკერილი საქმეები (ფოტოასლები) 57
14. დაცვის მხარის მტკიცებულებები, შეკერილი საქმეები (ფოტოასლები) 62
15. მენტორების სიტყვა გუნდების დასახასიათებლად 65
16. ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის) ვერდიქტი 66
17. დანართი: 67
1)პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე“ დებულება 67
2)იმიტირებული სამსჯავროს სხდომის ოქმი 82
3)შეფასების კრიტერიუმები 86
4) პროექტის შესახებ საუბრობენ მეცნიერები, პოლიტიკოსები, სტუდენტები, მოსწავლეები (ამონარიდები) 88
5) მეორე სამსჯავრო მასმედიაში 121
6) მეორე სამსჯავროს ვიდეოკოლაჟის ფოტოები 124
18. საკუთარ სახელთა საძიებელი 153

შესავალი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი (დეკანი, პროექტის თანახელმძღვანელი, პროფ. ირაკლი გაბისონია) ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური, მრავალმხრივად განვითარებული სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც არა პარტიულ ან პირად, არამედ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე იქნებიან ორიენტირებულნი და საკუთარ წვლილს შეიტანენ ქვეყნის წინსვლა-განვითარებაში, ჩადგებიან ქვეყნის სამსახურში და მაღალ პროფესიულ დონეზე დაიცავენ ეროვნულ ინტერესებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე. ამისათვის ფაკულტეტზე ბევრი ახალი პროექტი დაინერგა, მათ შორის, უნდა აღინიშნოს, რომ პროექტ „პოლიტიკა სამსჯავროს“ (ავტორი და ხელმძღვანელი პროფ. ჰენრი კუპრაშვილი) სახით მოიძებნა და დაინერგა სტუდენტების სასწავლო-სამეცნიერო პროცესში ინტერესითა და ხალისით ჩაბმის, ასევე, მათ მიერ პროექტში შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადმოცემისა (გამოცდის ჩაბარების) და საგამოცდო კოლეგიის მიერ მათი შეფასების საინტერესო, თვალსაჩინო და ეფექტური საშუალება. ეს არის პოლიტიკისმოდნეობის ერთგვარი სკოლა. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში პირველად იმიტირებული სასამართლო პროცესი გამოყენებულია არა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების განსახილველად, არამედ პოლიტიკისათვის განაჩენის გამოსატანად და, ამავე დროს, ამაში სტუდენტების (უფროსკლასელების) ჩადებული შრომის ხარისხის შესაფასებლად. პროექტში ჩართულნი არიან ის სტუდენტები და უფროსკლასელები, რომელთაც აწუხებთ საკუთარი სახელმწიფოს ბედი, ეძებენ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და პოლიტიკურ მმართველობაში არსებული წარმატებებისა თუ წარუმატებლობების მიზეზებს. შესაბამისად აინტერესებთ არა

მხოლოდ თანამედროვე, არამედ განვითარების ყველა მნიშვნელოვან ისტორიულ მონაკვეთში საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკა, რამდენად შეესაბამებოდა სახელმწიფო და ეროვნულ ინტერესებს. სურთ გაანალიზონ დადებითი და უარყოფითი პოლიტიკური სვლები, გაარკვიონ, რომელი სჭარბობდა მათ საქმიანობაში, სახელმწიფო ინტერესები თუ პირადი, სურთ გააცნობიერონ და შეეჩვიონ სახელმწიფოებრივ აზროვნებას, ისწავლონ სხვების შეცდომებზე, რათა ისინი თვითონ აღარ გაიმეორონ.

ამ პროექტში სწავლების სხვადასხვა საფეხურისა და სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები (ასევე უფროსკლასელები) სწავლობენ და იკვლევენ თუ რამდენად შეესაბამებოდა ცნობილი პოლიტიკური პირების (პოლიტიკური პარტიების) მიერ გატარებული პოლიტიკა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, შედეგების განსჯა კი ხდება იმიტირებულ სამსჯავროზე.

იმიტირებული სასამართლო პროცესი გამოყენებულია, მხოლოდ და მხოლოდ როგორც სტუდენტების მიერ შეძენილი მრავალმხრივი ცოდნისა და უნარების საინტერესოდ და სრულყოფილად გადმოცემის თვალსაჩინო და ეფექტური საშუალება, ასევე, საგამოცდო კოლეგიისათვის ამ გამოვლენილი ცოდნის უკეთ აღქმის და შეფასების საშუალება.

ხდება პოლიტიკის მეცნიერებების, სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების, ისტორიისა და სხვ. სპეციალობების ჰარმონიული ურთიერთკვეთა და ერთგვარი შერწყმა. ამ სამეცნიერო კვლევის სპეციალობების თეორიულ-პრაქტიკული სინთეზისა და უნივერსალიზაციის შედეგებმა ხელი უნდა შეუწყოს მრავალმხრივად განვითარებული, კონკურენტუნარიანი, მაღალი დონის სპეციალისტის მომზადებას.

პროექტი გულისხმობს აგრეთვე, პერსპექტივაში მენტორებთან და სტუდენტებთან ერთად პოლიტიკური მყარი რაოდენობრივი მახასიათებელის, თვისობრივ ცვლილებებზე რაოდენობრივ მახასიათებელთა კავშირის დადგენის, პოლიტიკური

მოვლენის პარამეტრიზაციის, პარამეტრის მნიშვნელობის, პოლიტიკის ხარისხის, საქართველოს ეროვნული ინტერესების განსაზღვრის არგუმენტირებული კრიტერიუმების და პარამეტრების, მათი მნიშვნელობის, ზღვრულობის პროცენტული გამოსახულების, წონადობის დადგენის კვლევით პროცესებს.

ჩვენი უნივერსიტეტის გარდა პროექტში ერთ გუნდად შეკრულნი სწავლობენ პოლიტიკის გაკვეთილებს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელის (თსუ-ს, სეუ-ს, გაუს-ს, საბაუნის, შავი ზღვის უნივერსიტეტის და სხვ.) სწავლების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი სტუდენტები. პროექტს წაგებულები არ ჰყავს. რომელიმე გუნდი, თუ ვერ გავიდა შემდგომ ეტაპზე, ეს არ ნიშნავს წაგებას, რადგან ამ პროექტის არსი არ იძლევა ამის საშუალებას. პროექტში მონაწილეობით სტუდენტები ხომ სასწავლო და სამეცნიერო თეორიულ-პრაქტიკული სინთეზისა და უნივერსალიზაციის შედეგად ერთობლივად იღრმავებენ პროფესიული ცოდნას და იძენენ საჭირო უნარ-ჩვევებს.

პროექტი ხორციელდება სხვადასხვა ფორმატში: სტუდენტებისათვის (საფაკულტეტო, უნივერსიტეტშორისი, ინგლისურენოვანი, რუსულენოვანი) და უფროსი კლასელებისათვის (სასკოლო). ეს უკანასკნელი ხელს უწყობს სკოლის მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ კრიტიკული აზროვნების უნარი, საჯარო გამოსვლისა და დებატებში მონაწილეობის უნარი, ასევე დააგროვონ ისტორიულ წყაროებთან და არქივში მუშაობის გამოცდილება.

სამსჯავროს ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის) მიერ არ ფასდება პოლიტიკოსი (პოლიტიკური პარტია) და მისი პოლიტიკა. სამსჯავროს ნაფიც მსაჯულთა მიერ ფასდება მხოლოდ ბრალდების და დაცვის მხარეთა გუნდების (სტუდენტების, უფროსკლასელების) ცოდნა და უნარ-ჩვევები: 1. გავლილი მასტერკლასების (ტრენინგების) ათვისების, კვლევითი მუშაობის, არქივებში, ბიბლიოთეკებსა

და სამეცნიერო კატალოგებში მოძიებული წყაროების (წერილობითი, ფოტო და ფონო დოკუმენტური...), სხვა მასალების, მტკიცებულებებისა და სანდო ინფორმაციის ანალიზისა და გამოყენების უნარი; 2. სახელმწიფო (ეროვნული) ინტერესების კრიტერიუმებისა და პარამეტრების, ასევე საკუთარი პოზიციის მყარად არგუმენტირების უნარი; 3. მხარეთა პაექრობის, სასამართლო პროცესზე მონაწილეობის უნარ-ჩვევა, ასევე, საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნება, ქცევისა და ურთიერთობის ეთიკა, გუნდურობა და სხვ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პროექტი, მისი მიზნები და ამოცანები სრულიად აპოლიტიკურია და გამორიცხავს მიმდინარე პოლიტიკურ-პარტიულ პროცესებთან პიროვნული თუ ორგანიზაციული სახით რაიმე შეხებას. იგი მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიებათა პროცესს.

პროექტი 2018 წლის ოქტომბრიდან ხორციელდება დიდი წარმატებით (იხილეთ, მასალები იუთუბზე: პოლიტიკა სამსჯავროზე და ფეისბუკზე: პოლიტიკა სამსჯავროზე). სტუდენტებმა (უფროსკლასელებმა) მოიძიეს მრავალი საინტერესო მასალა, რის საფუძველზეც, ხშირ შემთხვევაში, მოხდა საქართველოს პოლიტიკის ისტორიიდან მნიშვნელოვანი პერიოდების ახლებური პოლიტიკური გააზრება და დამკვიდრებული ძველი სტერეოტიპების მსხვრევა, ეროვნული ინტერესების, პოლიტიკის სტრატეგიის, სტრუქტურულ-ფუნქციური კანონზომიერებების სიღრმისეული გაცნობიერება. ამ ეტაპზე, უკვე დაგროვდა 2 სეზონის 21 ტომის მასალა და იწყება მათი გამოცემა, რომელთაც ეტაპობრივად დაემატება შემდგომ სეზონებში ჩატარებული სამსჯავროების მასალები.

1. პროცესის თანმიმდევრობა

1. თავმჯდომარე ხსნის სხდომას.
2. სიტყვას აძლევს რექტორს.
3. სიტყვას აძლევს პროექტის ავტორს.
4. თავმჯდომარე მიმართავს მხარეებს ხომ არ აქვთ აცილება ნაფიცი მსაჯულებისადმი.
5. სხდომის მდივანი წარადგენს მხარეებს.
6. თავმჯდომარე მხარეებს განუმარტავს პროცესის წესებს.
7. თავმჯდომარე სიტყვას აძლევს მხარეებს.
8. ბრალდების შესავალი სიტყვა (10-15 წუთი).
9. დაცვის შესავალი სიტყვა (10-15 წუთი).
10. ექსპერტის გამოსვლა (2 წუთი).
11. მოწმეთა (არსებობის შემთხვევაში) ჩვენება (2 წუთი).
12. მხარეთა პაექრობა.
13. ბრალდების დასკვნითი სიტყვა (5-10 წუთი).
14. დაცვის დასკვნითი სიტყვა (5-10 წუთი).
15. ნაფიცი მსაჯულების შეკითხვები მხარეებს.
16. მხარეთა რეპლიკა (1 წუთი).
17. მენტორების სიტყვა მხოლოდ გუნდების დასახასიათებ-ლად (2 წუთი).
18. ნაფიცი მსაჯულები (საგამოცდო კოლეგია) გადიან ვერდიქტის გამოსატანად.
19. თითოეული ნაფიცი მსაჯული ვერდიქტის გამოცხადე-ბამდე მხარეებს განუმარტავს და ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას.
20. თავმჯდომარე აცხადებს გამოტანილ ვერდიქტს და სხდომას აცხადებს დახურულად.

2. იმიტირებული სამსჯავროს თავმჯდომარის სიტყვა და ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის) შემადგენლობა

თავმჯდომარე: ირაკლი გაბისონია

მოგესალმებით, 2019 წლის 25 იანვარს, 13:00 საათზე სხდომას გახსნილად ვაცხადებ.მოგახსენებთ, რომ იხილება VENI,VIDI,VICI-ს სარჩელი ,,ისტორიის მეოხი"-ს მიმართ. იმიტირებული სამსჯავრო განიხილავს ლავრენტი ბერიას მიერ გატარებული პოლიტიკა, რამდენად შეესაბამებოდა ქართველთა ეროვნულ ინტერესებს.

საქმეს განიხილავს იმიტირებული სამსჯავროს ნაფიცი მსაჯულები (საგამოცდო კოლეგია):

ირაკლი გაბისონია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, პროექტის თანახელმძღვანელი;

გიორგი ბარამიძე - პოლიტიკური გაერთიანება, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", საქართველოს ვიცე-პრემიერი 2006-2012 წლებში; საქართველოს პარლამენტის ხუთგზის (1992, 1995, 1999, 2003, 2012) წევრი; საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში (2004-2012); შინაგან საქმეთა მინისტრი (2003-2004); თავდაცვის მინისტრი (2004);

ჯემალ გახოკიძე - სტუ-ს სენატის თავმჯდომარე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი (1997-1998); ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე (1999-2004);

იგორ კვესელავა - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ირაკლი კიკნაველიძე - პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის", პრესსპიკერი;

ჰენრი კუპრაშვილი - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი;

კობა ნარჩემაშვილი - საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება, სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი 2001 - 2003 წლებში;

დავით უსუფაშვილი - საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე (2012-2016); პოლიტიკური მოძრაობის „შენების მოძრაობა“ ლიდერი;

ივანე ჯაგოდნიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

სხდომის მდივანი: **ნინო ოდიშელიძე** - პროექტის მენეჯერ-კოორდინატორი.

3. მომხსენებლის სიტყვა

მომხსენებელი, პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჰენრი კუპრაშვილი:

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თითქმის სამი ათეული წელია ჩვენი სახელმწიფო წელში სათანადოდ ვერ გაიმართა, ხშირად პოლიტიკოსები სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა პირად და პარტიულ ინტერესებს აყენებენ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ქვეყანა პარტიული ინტრიგების ტალახსა და ლაფშია ჩავარდნილი და ერთგვარად „ბუქსაობს“. ახალგაზრდები მიზეზების ძიებაში არიან. შესაბამისად მათ აინტერესებთ არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ განვითარების ყველა მნიშვნელოვან ისტორიულ მონაკვეთში საქართველოს ხელისუფალთა მიერ წარმოებული პოლიტიკა. სურთ გაანალიზონ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, გაარკვიონ, რომელი სჭარბობდა სახელმწიფო ინტერესები თუ პირადი. ისინი უნდა შეეჩვიონ სახელმწიფოებრივ აზროვნებას, ისწავლონ შეცდომებზე, რათა თვითონ აღარ გაიმეორონ.

საქართველოში პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკის მრავალი ასპექტი შესასწავლია და კვალიფიციურ პოლიტოლოგიურ განსჯას მოითხოვს. ამ კუთხით, ვაგრძელებთ ცნობილი პოლიტიკური ფიგურების მიერ წარმოებული პოლიტიკის შესწავლას, პოლიტოლოგიურ ანალიზს და იმიტირებულ სასამართლო პროცესებზე გატანას. ხაზს ვუსვამ, აქ პოლიტიკა გადის სამსჯავროზე და არა პიროვნების

ისტორია. აქცენტი პოლიტიკის მცოდნეობაზეა და არა ისტორიის მცოდნეობაზე. ამჯერად, საგამოცდო კოლეგიის შესაფასებლად გამოტანილი იქნება სტუდენტების მიერ სასწავლო-სამეცნიერო კვლევის პროცესში შეძენილი ცოდნა თემაზე: ლავრენტი ბერიას მიერ საქართველოში განხორციელებული პოლიტიკა, რამდენად შეესაბამებოდა ქართველთა ეროვნულ ინტერესებს.

დაისვა კითხვა: რატომ ბერია, იგი ხომ რუსეთის იმპერიის მოხელე და მისი ერთ-ერთი კოლონიის მართველი იყო? ამ ლოგიკით, მაშინ, მაგალითად, ვახტანგ VI-ეს შემთხვევაში, ამ ფაქტორს, რატომ არ ვითვალისწინებთ? ჩვენმა ისტორიკოსებმა ვახტანგ VI-ის მოღვაწეობაში აქცენტები ცალმხრივად გააკეთეს და წარმოგვიდგინეს, როგორც ქართლის მეფე, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პოეტი, მთარგმნელი, ისტორიკოსი, კოდიფიკატორი და მეცნიერი. ყველასთვის ცნობილია ვახტანგის კანონთა წიგნი, „დასტურლამალი“. იგი არის ახალი ქართული ლიტერატურის მამამთავარი, პირველი ქართული სტამბის დამარსებელი, რუსთველოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის საფუძვლის ჩამყრელი და სხვ.

მაშინ როდესაც, სამართლებრივად ვახტანგ VI (ირანელებისათვის მისი ოფიციალური სახელია ჰუსეინ ყული-ხანი) იყო: შაჰ-ჰუსეინ I-ის მიერ ირანის ჯარების სარდლად (სპასალარად) და ირანის ერთ-ერთი პროვინციის, ქართლის მმართველად დანიშნული მუსლიმანი მოხელე. ისევე, როგორც ლავრენტი ბერია იყო რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი პროვინციის მმართველად დანიშნული კომუნისტი მოხელე. ცნობილია, რომ ვახტანგ VI-მდეც, თითქმის ასი წელიწადი ქართლის მმართველებს ნიშნავდა ირანის შაჰი, თანაც ის აუცილებლად უნდა ყოფილიყო მუსლიმი (როგორც საბჭოთა საქართველოს შემთხვევაში მმართველი უნდა ყოფილიყო კომუნისტი). ქართლელები ტრადიციულად მეფედ აკურთხებდნენ ხოლმე ამ მუსლიმ მმართველებს.

ჩვენც ამ ლოგიკით ვხელმძღვანელობთ, რომ ვინაიდან, ერთიანი საქართველოს წვრილ ერთეულებად დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი სამეფოები თითქმის აღარც არსებობდა და, აღნიშნულ მდგომარეობაშიც კი, უცხო ცენტრზე დამოკიდებულ ქართველ მმართველებს შეეძლოთ განეხორციელებინა პოლიტიკა, რომელიც ქართველთა ეროვნულ ინტერესებს შეესაბამებოდა ან არ შეესაბამებოდა.

დღეს, თქვენს წინაშე წარდგებიან კენჭისყრის შედეგად გამოვლენილი ბრალდებისა და დაცვის გუნდები, რომელთაც ასევე კენჭიყრამ არგუნა ლავრენტი ბერიას პოლიტიკის შესწავლა და ანალიზი. თითოეულ გუნდს აქვს საკუთარი სახელი, დევიზი და ლოგო. ისინი პოლიტიკური მეცნიერებების, საერთაშორისო ურთიერთობების და სამართლის დარგში მენტორების ხელმძღვანელობით აქტიურ სასწავლო-სამეცნიერო კვლევით პროცესში იყვნენ ჩართულნი და მათი შრომის შედეგი დღეს უნდა შეჯამდეს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რომელიმე გუნდი, თუ ვერ გავიდა შემდგომ ეტაპზე, ეს არ ნიშნავს წაგებას, რადგან ამ პროექტის არსი არ იძლევა ამის საშუალებას. რადგანაც: პროექტში მონაწილეობით სტუდენტებმა ხომ სასწავლო და სამეცნიერო თეორიულ-პრაქტიკული სინთეზისა და უნივერსალიზაციის შედეგად ერთობლივად გაიღრმავეს პროფესიული ცოდნა და ამასთან ერთად, განივითარეს კრეატიული და ანალიტიკური აზროვნება, ჩამოიყალიბეს თანამშრომლობის და გუნდური მუშაობის, საჯარო გამოსვლების, დებატების, სასამართლო პროცესებზე მონაწილეობის უნარ-ჩვევები, დაეუფლნენ მოლაპარაკებების ხელოვნებას და სხვ.

ჩვენი უნივერსიტეტის გარდა პროექტში ერთ გუნდად შეკრულები იღრმავებენ პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლელების (თსუ-ს, სეუ-ს, საბაუნის, გაუს-ს და სხვ.) სწავლების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი სტუდენტები. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ პროექტი ხელს შეუწყობს მრავალმხრივად განვითარებული, კონკურენტუნარიანი, მაღალი დონის სპეციალისტის მომზადებას.

პერსპექტივაში პროექტი გულისხმობს აგრეთვე, მენტორებთან და სტუდენტებთან ერთად პოლიტიკური მოვლენის მყარი რაოდენობრივი მახასიათებელის, თვისობრივ ცვლილებებზე რაოდენობრივ მახასიათებელთა კავშირის დადგენის, პოლიტიკური მოვლენის პარამეტრიზაციის, პარამეტრის მნიშვნელობის, პოლიტიკის ხარისხის, საქართველოს ეროვნული ინტერესების განსაზღვრის არგუმენტირებული კრიტერიუმების და პარამეტრების, მათი მნიშვნელობის, ზღვრულობის პროცენტული გამოსახულების, წონადობის დადგენის კვლევით პროცესებს.

დარწმუნებული ვარ, რომ აქ წარმოდგენილი მაღალკვალიფიციური, პოლიტიკაში თეორიულ-პრაქტიკული დიდი გამოცდილების

მქონე ნაფიცი მსაჯულნი, რომელიც დღეს ჩვენი მომავალი თაობის პროფესიულ სრულყოფაში იღებს აქტიურ მონაწილეობას, გადაწყვეტილებას მიიღებს ობიექტურად, მხოლოდ პროცესის მსვლელობის შედეგად მიღებული ინფორმაციისა და გუნდების მომზადების შესაბამისად. საგამოცდო კოლეგიის თითოეული წევრის გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ მოახდენს კონკრეტული პოლიტიკური პირის მიმართ მათი წინასწარი დამოკიდებულება.

გისურვებთ წარმატებას!

4. სხდომის მდივნის მიერ მხარეთა წარდგინება

სხდომის მდივანი **ნინო ოდიშელიძე:** მოგესალმებით პატივცემულო საგამოცდო კოლეგიის წევრებო, მხარეებო, დამსწრე საზოგადოებავ!

წარმოგიდგენთ ბრალდების მხარეს, გუნდს VENI,VIDI,VICI:

1. **მარიამ ფაღავა**, კაპიტანი - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, სამართლის სპეციალობის, IV კურსის სტუდენტი;
2. **ქეთი ბერაშვილი** - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, სამართლის სპეციალობის, II კურსის სტუდენტი;
3. **ვალერი ბიტარიშვილი** - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის, III კურსის სტუდენტი;

4. **ნიკა კაზაიშვილი** - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, სამართლის სპეციალობის, II კურსის სტუდენტი;

5. **მარიამ ოდიშარია** - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის, I კურსის სტუდენტი;

6. **ანა როდონაია** - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის, III კურსის სტუდენტი;

7. **მარიკა ჩხენკელი** - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის, IV კურსის სტუდენტი.

მენტორები:

პოლიტიკისა და საერთაშორი ურთიერთოებების მიმართულებით, პროფესორი **გიორგი ჩხიკვიშვილი**; სამართლის მიმართულებით, პროფესორი **თემურ ბეჟოშვილი**.

წარმოგიდგენთ დაცვის მხარეს, გუნდს ,,ისტორიის მეოხი“:

1. **ანა ნაკაშია**, კაპიტანი - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის, III კურსის სტუდენტი;

2. **პეტრე გელაშვილი** - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, დოქტორანტურის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის, I კურსის სტუდენტი;

3. **სოფიკო დარჩია** - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, სამართლის სპეციალობის, IV კურსის სტუდენტი;

4. **ლუკა ლუარსაბიშვილი** - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის, I კურსის სტუდენტი;

5. **მერაბ ტაკაშვილი** - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, სამართლის სპეციალობის, II კურსის სტუდენტი;

6. **ნანა ქათამაძე** - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის, IV კურსის სტუდენტი;

7. **ანა წინამძღვრიშვილი** - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის, III კურსის სტუდენტი;

მენტორები:

პოლიტიკისა და საერთაშორი ურთიერთობების მიმართულებით, პროფესორი **ედიშერ გვენეტაძე**; სამართლის მიმართულებით, პროფესორი **გიორგი გორაძე**.

სხდომაზე წესრიგს უზრუნველყოფენ მანდატურები: **თემურ მგალობლიშვილი, ოთარ მგალობლიშვილი**.

სასამართლო სხდომის მიმდინარეობის ჩაწერას უზრუნველყოფენ: **ნათია ბლაგიძე და ლეილა მუჯირიშვილი**.

5. ბრალდების მხარის შესავალი სიტყვა

მარიკა ჩხენკელი - დღეს სამსჯავროს აკისრია პასუხისმგებლობა იმსჯელოს და მისცეს პოლიტიკური შეფასება მე-20 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი და ხმაურიანი პოლიტიკოსის, საბჭოთა სახელმწიფოს ე.წ. რუხი კარდინალის, საქართველოსა და შემდგომ სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, სსრკ-ის სახალხო კომისრების საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოთა კავშირის მარშლის ლავრენტი ბერიას (1899-1953) პოლიტიკურ სამართლებრივ ქმედებებს. საზოგადოდ, სახელმწიფო მოღვაწის შეფასება უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც მის შესახებ ყველაფერი ცნობილი გახდება, ყველა სახის მასალა გამოქვეყნდება. ლავრენტი ბერიას შესახებ კი ჩვენ დღეს ძალიან ცოტა რამ ვიცით. დოკუმენტები დაცულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, (III), ფონდი 14, აღწერა 11, საქმე № 152 და წარმოადგენს მოსკოვში გაგზავნილი დოკუმენტების ასლებს (მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტის მეორე პირებს). ის ფაქტი, რომ ბერიას ბიოგრაფიის ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი მკვლევართათვის ცნობილი არ არის, იძლევა ინტერპრეტირებისათვის ფართო შესაძლებლობებს. ჩნდება ბევრი კითხვა, რომლებზეც დღესაც დაობენ ისტორიკოსები და პოლიტოლოგები. ერთი მხრივ, ლავრენტი ბერიას პიროვნება დღემდე მთლიანად ასოცირდება საბჭოთა კავშირის ისტორიის იმ ტრაგიკულ მოვლენებთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის 30-50-იან წლებში. ლავრენტი ბერია საზოგადოების დიდი ნაწილისათვის დღემდე წარმოადგენს სახელმწიფო მოღვაწეს, რომლის ხელმძღვანელობითაც ჯერ საქართველოში, ხოლო შემდეგ მთელს საბჭოთა კავშირში უამრავი უდანაშაულო ადამიანი იქნა რეპრესირებული და დახვრეტილი, მეორე მხრივ, ის იყო კომუნისტური პარტიის საყრდენი და მისი გამორჩეული ლიდერი. ლავრენტი ბერია ამბიციური და იღბლიანი კაცი სხვანაირად სამშობლოს ღალატში

დადანაშაულებული კაცი ვერ მიაღწევდა ამხელა მწვერვალებს საბჭოთა პოლიტიკურ იერარქიაში. შსს-ს არქივის დოკუმენტური მასალებით ირკვევა, რომ ლავრენტი ბერიამ ოსტატურად შეძლო ჯაშუშობა, საქმეების ფალსიფიკაცია, შანტაჟი, რეპრესიები, დახვრეტები და მსგვავსი მავნებლური ქმედებებით ის ებრძოდა დამოუკიდებელი საქართველოს იდეას.

დღეს ჩვენ აქ ვასამართლებთ პიროვნების მიერ წარმოებულ პოლიტიკას კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე, ფაქტი კი ის გახლავთ, რომ ლავრენტი ბერიამ ვერ შეძლო გამხდარიყო საბჭოთა დენ სიაოპინი და მოეხდინა საბჭოთა იმპერიის მოდერნიზაცია ღირებულებათა სისტემის გარდაქმნისა და ახალი პოლიტიკური კულტურის გენერირების გზით. მას ეს დრო ისტორიამ არ მისცა, მაგრამ ისტორიას შემორჩა არამარტო ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ზოგადსაკაცობრიო დანაშაულებები, არამედ ქართველებისათვის ყველაზე სანუკვარი იდეის - დამოუკიდებლობის იდეის ხელყოფის ქმედებაც. ქართველისათვის პიროვნების სიდიდის შეფასების მთავარი კრიტერიუმი ყოველთვის იყო და არის ის, თუ რა გაუკეთებია ამ ადამიანს მისი სამშობლოსათვის. უამრავი წიგნი გამოვიდა დიდი ქართველების ათეულსა თუ ასეულზე. საზომი ყოველთვის იყო სამშობლოსათვის განხორციელებული პროექტები. ლავრენტი ბერიას შემთხვევაში საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკისთვის სასარგებლოდ განხორციელებულ საქმეებთან ერთად, რაც გამოიხატა (ინფრასტრუქტურული და სასოფლო სამეურნეო პროექტებით) თან ახლდა მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით გატარებული სისხლიან დანაშაულთა მთელი კასკადი.

ბრალდების მხარემ დაწვრილებით შეისწავლა დოკუმენტები, რის საფუძველზეც წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები და დასკვნები. კონკრეტულად, ჩვენ გამოვდივართ საქართველოს ეროვნულ ინტერესებიდან და ვაკისრებთ პოლი-

ტიკურ და სამართლებრივ პასუხისმგებლობას საბჭოთა ხელისუფალს ლავრენტი ბერიას, კერძოდ დანაშაულთა ერთობლიობით, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა ბრალდებების ეპიზოდებში.

ვალერი ბიტარიშვილი, ანა როდონაია:

ბრალდება №1. საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ჯაშუშობა და ღალატი, რაც გამოიხატა ლავრენტი ბერიას მხრიდან: ჩვენ ბრალს ვდებთ ლავრენტი ბერიას ქვეყნისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელი იდეის დამოუკიდებლობის ხელყოფასა და ოკუპაციაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისთვის. რასაც ადასტურებს ბევრი ფაქტი, კერძოდ ლავრენტი ბერია 1920 წლის აპრილ-მაისში საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოსთან არსებული კავკასიის ფრონტის სარეგისტრაციო განყოფილების რწმუნებული იყო. სწორედ XI წითელი არმიის სამხედრო რევოლუციურმა საბჭომ ლავრენტი ბერია საგანგებო დავალებით არალეგალურად გააგზავნა საქართველოში. იმ წითელმა არმიამ, რომელიც ერთი წლის შემდეგ 1921 წლის 25 თებერვალს შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე და მოახდინა მისი ოკუპაცია. 1920 წელს ბერია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის მიავლინეს, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურმა ლავრენტი მალევე დააკავა და ქვეყნიდან გააძევა. თუმცა საქართველოსა და რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოში საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა სერგეი კიროვმა ლავრენტი ბერიას განთავისუფლება მოითხოვა. იმავე წელს ლ. ბერია საქართველოში კვლავ ბრუნდება და ლაკერბაიას გვარით რუსეთის საელჩოში იწყებს მუშაობას. აქ იგი კომუნისტ სერგეი კიროვს დაუახლოვდა, რომელიც იმ პერიოდში რუსეთის ელჩი იყო თბილისში.

საქართველოს წინააღმდეგ დაზვერვითი საქმიანობის ბრალდებით ბერია ხელმეორედ დააპატიმრეს და ამჯერად უკვე ქუთაისის ციხეში მოათავსეს. პირველი სახელისუფლებო ორგანო რომელიც ოკუპაციის შემდგომ საქართველოში შეიქმნა იყო ე.წ. „ჩეკა“, ხოლო მისი პირველი გამომძიებელი ლავრენტი ბერია გახდა. სწორედ ლ. ბერიას მიერ შექმნილი სისტემის წყალობით შეძლეს ბოლშევიკებმა 1924 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ დაგეგმილი აჯანყებაზე წინასწარი ინფორმაციის მიღება. 1924 წლის აჯანყება იყო ერთ-ერთი გამოძახილი საქართველოს ოკუპაციისაგან გათავისუფლებისთვის. მასში მონაწილეობდნენ ეროვნული ძალები რომლებიც იბრძოდნენ ერის გადარჩენისა და დამოუკიდებლობისთვის. ყველა ეს ფაქტი ცხადყოფს თუ ვისი ინტერესების გამტარებელი იყო ბერია. სტალინის პომპეზური გასვენების შემდეგ, იმავე დღეს გაიმართა მოსკოველთა სახელდახელო მიტინგი, სადაც სიტყვა წარმოთქვა ბერიამ: „ბოლშევიკთა კოჰორტა კვლავ განუხრელად გაყვება ლენინ-სტალინის ხაზს და ქვეყანას მიიყვანს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებამდე“.

ბრალდება №2. საქართველოს მოსახლეობის (მოწინავე ინტელიგენციისა და საზოგადო მოღვაწეების) შევიწროვება, რაც გამოიხატა: ტერორში, შანტაჟში, დასმენებში, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა-აკრძალვაში, აგრეთვე ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის განზრახ მოსპობაში, რაც დასტურდება საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულებით, კერძოდ: იმ დროს, როდესაც ლავრენტი ბერია იყო საქართველოს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მისი უწყებების უშუალო მონაწილეობით, განადგურდა საქართველოს არაერთი გამოჩენილი მოქალაქე განურჩევლად მისი ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური მრწამსისა. საუბარია ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილებზე, მის შემოქმედებით ელიტაზე, რომლებმაც მოიტანეს (მცირე ოქროს საუკუნე) რის შესახებაც

ქვემოთ მოგახსენებთ: საქმეში მოყვანილი მტკიცებულებების აბსოლუტური უმრავლესობა, ეფუძნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს არქივში დაცულ და მოპოვებულ ინფორმაციას. თავმჯდომარესა და ნაფიც მასჯულებს დაგირიგდათ ზოგიერთი განარქივებული დოკუმენტი, რაზედაც გვინდა გავამახვილოთ განსაკუთრებული ყურადღება: **1. ვახტანგ კოტეტიშვილის საქმე.** ვახტანგ კოტეტიშვილი გახლდათ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, გაზეთი „ქართული სიტყვის“ რედაქტორი. დაპატიმრებული და დახვრეტილ იქნა 1938 წელს; **2. დაუმარცხებელი გენერალის გიორგი მაზნიაშვილის საქმე.** გენერალ მაზნიაშვილს 1921 და 1923 წლებში დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ გადაურჩა სასჯელის აღსრულებას ხანგრძლივი პატიმრობის გზითა და სამშობლოდან გაძევებით. 1925 წელს საფრანგეთში საბჭოთა კავშირის საელჩოდან შუამდგომლობა მოითხოვა და სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ მთავრობამ, არც სამსახური მისცა, არც პენსია, გენერალი მამა-პაპისეულ სახლ-კარს დაუბრუნდა და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. 1937 წელს მაზნიაშვილი და მისი ოჯახი რეპრესიებს ვერ გადაურჩა. დაუმარცხებელი გენერალსა და მის ვაჟ ივანეს მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, რაც მოყვანილი იქნა სისრულეში; **3. ხათუნა ჭიჭინაძის საქმე.** მისი დახვრეტა უკავშირდება მისი ქმრის გიორგი ყურულაშვილის საქმეს. ლავრენტი ბერიას ხელქვეითი, ლენინისა და ბოლშევიკური პარტიის მსახური გიორგი ყურულაშვილი მოკლული იქნა ბერიას მიერ, ხოლო მისი ცოლი, ხათუნა ჭიჭინაძე, 30-იანი წლების თეატრის ამომავალი ვარსკვლავი, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. დაადანაშაულეს ლავრენტი ბერიას მიმართ ტერორისტული აქტის მომზადებაში, რაც საბოლოოდ მისი სიცოცხლის მოსპობის მიზეზი გახლდათ; **4. სეით დევდარიანის საქმე.** სეით დევდარიანი 1937 წელს იქნა დაპატიმრებული და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა, დახ-

ვრეტა; **5. ტიციან ტაბიძის საქმე.** გამოჩენილი პოეტი, გამორჩეული ქართველი საზოგადო მოღვაწე. ის მცირე ხანს თბილისში, გაზეთ ,,საქართველოს“ რედაქციაში მუშაობდა. გაზეთის ფურცლებზე მან მრავალი კორესპოდენცია და პუბლიცისტური სტატია გამოაქვეყნა, რომლებშიც თავისებურად აანალიზებს მაშინდელ რთულ პოლიტიკურ, ეროვნულ და სოციალურ მოვლენებს. აქტიური მონაწილეობა მიიღო "ცისფერი ყანწების" ლიტერატურული ჯგუფის დაფუძნებასა და ამავე სახელწოდების ჟურნალის გამოცემაში, რედაქტორობდა გაზეთ „ბარიკადს“. 1937 წელს ანტისაბჭოთა მოღვაწეობის ბრალდებით დააპატიმრეს და მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესო ზომა — დახვრეტა; **6. მიხეილ მეტრეველის საქმე.** სასულიერო პირი, რომელიც დაპატიმრებული იქნა ბავშვების ფარულად მონათვლის გამო. მას მიესაჯა 1 წლით იძულებით მუშაობა და 6 წლით ხმის მიცემის უფლება ჩამოერთვა. მან ამ ყოველივეს მიუხედავად თავის მრწამსს ვერ უღალატა და ამის გამო ხელისუფლებამ 74 წლის მოხუცს 10 წლით გადასახლება მიუსაჯა შრომა-გამოსწორებით ბანაკში; **7. სხვა გამოჩენილი ადამიანები.** მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ახმეტელი, ევგენი მიქელაძე, პაოლო იაშვილი, (დასახელებულ პირებთან მიმართებაში, ბრლდების მხარემ შიანაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან ვერ მიიღო დახვრეტის ოქმები, რადგან არსებული არქივი მეტწილად შეგნებულად განადგურებულია, რაც დადასტურებულია სხვადასხვა ოფიციალური ორგანოების მიერ. ისტორიკოს დ. ჯიშკარიანის აზრით, არსებობს გონივრული ეჭვი, რომ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი უმძიმესი დანაშაულები დახვრეტა, წამება თავადვე, ხელისუფლებაში მყოფმა კომუნისტურმა მმართველობამ ან შესაძლოა კვალის დაფარვის მიზნით თავად ბერიას მიერ ყოფილიყო განადგურებული, რადგან მას როგორც საბჭოთა მარშალს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ხელი მიუწვდებოდა ნებისმიერ დოკუმენტზე. აღნიშნულის საფუძველს გვაძლევს ის მომენტი, რომ განსასჯელ

ბერიას სტალინის გარდაცვალების შემდგომ მას ნამდვილად ხელს შეუშლიდა, როგორც მომავალ საბჭოთა მმართველს ისეთი დანაშაულებების დღის სინათლეზე გამოტანა, რაც მის შანსებს უფრო მაღალი თანამდებობისათვის უთუოდ ხელისშემშლელი გარემოება იქნებოდა და მის პიროვნებას შავ ლაქას დაამჩნევდა. ბრალდების მხარის მიერ მოძიებული იქნა ბერიას მიერ სტალინისადმი გაგზავნილი დეპეშა, სადაც ცალსახად დასტურდება, რომ ლავრენტი ბერია იოსებ სტალინს შუამდგომლობს, რათა გაიზარდოს რეპრესირებულ და დასახვრეტ ადამიანთა ლიმიტი. აგრეთვე საქმეში არსებული მტკიცებულებათა ერთობლიობთ დადასტურებულია ის გარემოება, რომ ბერია სტალინს პატაკით ამცნობს დახვრეტილ და გადასახლებულ პირთა შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარე დადგენილად მიიჩნევს, რომ ლავრენტი ბერიას მართალია, რიგ დახვრეტისა და გადასახლების ოქმებზე ხელი არ აქვს მოწერილი, თუმცა იგი იყო უშუალო ორგანიზატორი და რიგ შემთხვევებში თანამონაწილეა ამ დანაშაულობებისა. შესაბამისად, სახეზეა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაგეგმვა ორგანიზება, მასში მონაწილეობის მიღება და შემდგომში დაფარვა და მტკიცებულებათა განადგურება. მისი ეს ქმედებები, როგორც ავღნიშნეთ, გამყარებულია მტკიცებულებებით, რაც ბრალდების მხარეს გვაძლევს იმის თქმის სამართლებრივ საფუძველს, რომ ბერია არის სისხლის სამართლის დამნაშავე და ზემოაღიშნულ დანაშაულებებზე პასუხი უნდა აგოს. ბრალდები მხარე არ გამორიცხავს, რომ მისი საქმიანობა ძირითადად არის დანაშაულებრივი, რაც გამოიხატება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, რამაც გამოიწვია მასობრივი რეპრესიები, დახვრეტები, გადასახლებები, რამაც საქართველო და ქართველი ერი, როგორც ფიზიკურ, ასევე მორალურ-ფსიქოლოგიური განადგურების წინაშე დააყენა და საქართველოს დღემდე მოუშუშებელ იარად ამჩნევია. ბრალდების

აზრით, შეუძლებელია ლავრენტი ბერიას მიერ წარმოებული პოლიტიკა ყოფილიყო შესაბამისობაში ქართველთა ეროვნულ ინტერესებთან.

ბრალდება №3. მესხების იძულებით დეპორტაცია. ჩვენ ლავრენტი ბერიას სხვა დანაშაულებთან ერთად ბრალს ვდებთ მესხთა იძულებითი დეპორტაციის ორგანიზებაში, რასაც ადასტურებს შსს-ს არქივში არსებული დოკუმენტები და ასევე საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული მასალები, მათზე დაყრდნობით შევეცდებით გაგაცნოთ ზემოთ აღნიშნული ბრალდების შესახებ.

სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის №6279 დადგენილებისა და იმავე წლის 20 სექტემბრის სსრკ შსს №00117 ბრძანების საფუძველზე, ბერიას ორგანიზებით, 1944 წლის 15 ნოემბერს მესხეთის მოსახლე ათეულობით ათასი ადამიანი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე სატვირთო მატარებელში შეყარეს და შუა აზიაში გადაასახლეს. სწორედ ბერიას გადაწყვეტილებით შეირჩა შუა აზია გადასახლების ადგილად. 1944 წლის 15 ნოემბერს ბორჯომიდან საქართველოს სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომისარმა ავქსენტი რაფავამ ბერიას უპატაკა: ''18:00 საათისათვის უკვე დატვირთული იყო 3 ეშელონი და 26 591 ადამიანი.'' ამ დღეს საერთო ჯამში სპეცგადასახლებულ იქნა 19 818 ოჯახი.

1941-42 წლებში, როდესაც საბჭოთა სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, მესხებს ქართულ სკოლებს უხსნიან, მაგრამ ამავე დროს, უკვე მზადდებოდა შემზარავი დანაშაული საქართველოს წინაშე. ვიღაცას უკვე ხელს უშლიდა მესხები მესხეთში, ვიღაც კვლავ ლამობდა მესხებისგან მესხეთის დაცლას. ამ მიზნით, ხელოვნურად შექმნეს დეზერტირთაგან ბანდა, რომელსაც წინდაწინ იარაღი ადიგენის რაიონის НКВД-ს უფროსმა კარახანიანმა დაურიგა. და აი, ერთ ასეთ პროვოკატორთაგან შექმნილი ბანდის რიცხვობრივად დაახლოებით 20 კაცის ქმედება დაედო საფუძვლად

მესხთა მოსახლეობისათვის ბრალდების წაყენებას, რომ ისინი არაკეთილსაიმედონი არიან სსრკ-სათვის და მათი ყოფნა მესხეთში, თურქეთის მახლობლად, ყოვლად დაუშვებელია.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ბრალდების მხარე მაქსიმალურად ფრთხილად უდგება რელიგიური თვალ-საზრისით, შესაძლო შენიღბულ იმ უმძიმეს გადაწყვეტილებას, რამაც მესხების სამშობლოდან სამუდამოდ გადასახლება გამოიწვია. აღნიშნული ქმედება, იმ პერიოდისთვისაც და 21-ე საუკუნის მსოფლიოსთვისაც არის უდიდესი დანაშაული და პოლიტიკური სიბეცე, რასაც ლავრენტი ბერიამ მნიშვნე-ლოვნად ხელი შეუწყო. შესაბამისად იგი ასევე თანამონაწილეა და დამნაშავე მიღებული სავალალო პოლიტიკური გადაწყვე-ტილებისა, რომელიც მხოლოდ ტირანიას თუ ახასიათებს და თანამედროვე მშვიდობიან მსოფლიო პოლიტიკურ წესრიგთან არანაირი კავშირი არ აქვს.

ჩვენს მიერ მოძიებული და დამუშავებული მასალები, დოკუმენტალისტიკა მთლიანად ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, (III), ფონდი 14, აღწერა 11, საქმე № 152 და წარმოადგენს მოსკოვში გაგზავნილი დოკუ-მენტების ასლებს (მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტის მეორე პირებს), ეროვნული არქივი (II), Р-600 сч, ან-1ტ.

6. დაცვის მხარის შესავალი სიტყვა

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, პატივცემუ-ლო ნაფიცო მსაჯულებო და დამსწრე საზოგადოებავ. მე გახლავრთ სოფო დარჩია და დღეს დავიცავ სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის ლავრენტი ბერიას მიერ გატარებულ პოლიტიკას.

მინდა მოგახსენოთ, რომ დაცვის მხარე, რა თქმა უნდა, არ სცნობს წაყენებულ ბრალდებას... ისტორია საოცარი მეც-

ნიერებაა, იგი თავად არჩევს თავისი გრანდიოზული დადგმებისათვის მთავარ მოქმედ გმირებს და უშეცდომოდ განსაზღვრავს ამა თუ იმ შემსრულებლის ამპლუას...

სანამ უშუალოდ დავიწყებდე საქმის განხილვას, მინდა მოგახსენოთ, რომ ბერიას მოღვაწეობისას საქართველო არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო და იგი, როგორც პოლიტიკური ერთეული არსებობდა საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში. როდესაც ვიწყებთ პოლიტიკური მოღვაწის პოლიტიკის შეფასებას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ თუ რა დროსა და სივრცეში უწევდა მას მოღვაწეობა.

დღევადელ დღეს ჩვენ ვდგევართ ისტორიულად უნიკალური ფაქტის წინაშე, განვიხილავთ ტაბუდადებულ ცალმხრივად მიმართულ საკითხს და ფარდას ავხდით ისეთ დეტალებს, რომელიც ძალიან ცოტა ადამიანისთვის არის ცნობილი. იყო დრო, როდესაც ბერიას სახელს საერთოდ არ ახსენებდნენ, შემდეგ კი ერთბაშად მის მიერ გატარებულ პოლიტიკას მიაწერეს ყველა უბედურება და ყოველგვარი სიმახინჯის შემოქმედად გამოაცხადეს. მათ სურდათ, რომ ბერიას მოღვაწეობა დაევიწყებინათ მეხსიერებიდან ამოეგლიჯათ, იმ თაობისთვის რომელმაც უამრავი ავ-კარგიანობა გადაიტანა. ეს პროცესი 1953 წლის 26 ივნისიდან დაიწყო, როდესაც ბერიასთან ერთად გაანადგურეს მისი პოლიტიკური მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები, ბიბლიოთეკებიდან ამოღებულ და განადგურებულ იქნა მისი მოღვაწეობის ამსახველი ყველა დოკუმენტი, ამოიშალა მისი გვარი.

შეიცვალა შეხედულება, სრულიად საპირისპიროდ ის მოღალატედ გამოაცხადეს და ცრუ ბრალდებები მოუგონეს. სწორედ ამ ბრალდებების სამტკიცებლად წარსდგა სულ ცოტა ხნის წინ თქვენს წინაშე ბრალდების მხარე. მათ ისაუბრეს რეპრესიებზე, სიკვდილით დასჯაზე, ადამიანის უფლებებზე. ჩვენ ვადასტურებთ იმ გარემოებას, რომ დღეს დემოკრატიულ სახელმწიფოში პირველ ადგილას დგას ადამიანის უფლებები,

მისი სიცოცხლე და ამ ყოველივეს შელახვა ყოვლად დაუშვებელია. თუმცა როგორ შევაფასოთ ეს 1930-40 წლებში როდესაც ეს სამართლებრივი სტანდარტი მთელი მსოფლიოში დამკვიდრებულიც კი არ იყო.

ბერია ერთი ჩვეულებრივი ღარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა, მუდმივად ცდილობდა ისეთი განათლება მიეღო, რომ შემდეგ ეს ცოდნა ისევ და ისევ საქართველოსთვის გამოეყენებინა. იგი არასდროს იყო კმაყოფილი საკუთარი თავით და სურდა კიდეც დამატებით მიეღო განათლება.

ბრალდების მხარის სიტყვები მხოლოდ ბრალის წარდგენა იყო და არა დადასტურება ფაქტებისა მტკიცებულებათა ერთობლიობის სტანდარტის გარეშე. რაც შეეხება დაცვის მხარის პოზიციას, ჩვენ წარმოგიდგენთ უტყუარ ფაქტებს შესაბამისი წყაროების მითითებით.

ჩვენ დავამუშავეთ საარქივო და სამეცნიერო მასალები, მათ შორის, უახლესი და ბევრისთვის უცნობი ლიტერატურული წყარო და დოკუმენტი, რომლის ჩამონათვალსაც აქ წარმოგიდგენთ. როდესაც განვიხილავთ, თუ რამდენად შეესაბამებოდა ბერიას პოლიტიკური მოღვაწეობა ქართველთა ეროვნულ ინტერესებს, პირველ რიგში, უნდა ჩამოვთვალოთ ის კრიტერიუმები, რომლითაც უნდა დადგინდეს ეს ყოველივე: ქვეყნის საზღვრები, ეროვნული თვითმყოფადობა, დემოგრაფია, ეკონომიკა, მართვის სისტემა, კრიმინალური სიტუაცია, იდეოლოგია, რელიგია, განათლების სისტემა, კულტურა, ხელოვნება და სხვა საკითხები.

დაცვის მხარე წარმოგიდგენთ ისეთ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომლებიც ზუსტადაც, რომ ამ კრიტერიუმებს შეესაბამება.

1. წარმოგიდგენთ მტკიცებულებებს, რომლითაც დასტურდება, რომ იმ დროინდელ საქართველოში განვითარდა აღმშე-

ნებლობა და დღემდე გულისგასახარად შემორჩენილ უნიკალურ შენობებს, რომელსაც სტალინურს ეძახდნენ სწორედ სპეციალობით არქიტექტორ ბერიას პროექტით აშენებდნენ.

2. საქართველოს ინტერესებისთვის, მისი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყო სამრეწველო საქმიანიბა და ეს ლავრენტი ბერიამაც კარგად იცოდა. ამიტომაც მისი მოღვაწეობისას 1931-1938 წლებში 800-ზე მეტი საწარმო აშენდა თავისი აღჭურვილობით და მანქანა დანადგარებით, მათ შორის, ზაჰესის ჰიდროელექტროსადგური, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, გორის მაუდკამვოლის ქარხანა, 37 ჩაის ფაბრიკა და სხვ. მაგალითად, იმ პერიოდში მრეწველობის შიდა პროდუქტი გაიზარდა 27-ჯერ.

3. ბერიას ინიციატივით და ორგანიზაციული ჩარევით საქართველოში შეიქმნა მცენარეთა მსოფლიოში არსებული ყველა ჯიშის თესლის საბაზო საცავი.

4. თითოეული ადამიანის ეკონომიკური სიძლიერე ქვეყნის სიძლიერეს გულისხმობს სწორედ ამიტომ 1933 წელს საშუალო წლიური ხელფასი გაიზარდა საშუალოზე 43 პროცენტით წინა წლებთან შედარებით. იგი ზრუნავდა მოსახლეობაზე და მოსახლეობის მალარიის ეპიდემიისგან გადარჩენაც ხომ სწორედ მისი დამსახურებაა. დღეს, 21-ე საუკუნეში გვიჭირს გრიპის ეპიდემიებისა თუ ფაროსანას პრობლემების დაძლევა, ხოლო ბერიამ იმ წლებში დაძლია მალარიის პრობლემა, რომელიც ათასობით ადამიანის სიცოცხლეს სპობდა.

5. ბერიასთვის პრიორიტეტული იყო განათლება. მის სახელს უკავშირდება ქართული ფიზიკის სკოლის შექმნა აფხაზეთში, ქართული შრიფტის შემოღება აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქართული ენაზე სწავლების აღდგენა აფხაზეთში.

6. ბევრი შეიძლება ისაუბრო, იმის შესახებ თუ რა მიღწევები ჰქონდა საქართველოს მეცნიერების, კულტურის, სპორტის სფეროში, რომ ბერიას თაოსნობითა და ინიციატივით

აშენდა თბილისში იმ დროისათვის ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო "დინამოს" სტადიონი და სხვ.

7. ცალკე საკითხია ის დიდი როლი, რომელიც ბერიამ შეასრულა მეორე მსოფლიო ომის დროს კავკასიის დაცვის საქმეში, ჩვენ შეგვიძლია დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით მოგითხროთ, თუ რა როლი ჰქონდა ბერიას კავკასიის დაცვაში და რომ იგი აქ მის ერთადერთ ვაჟთან ერთად ჩამოვიდა სამკვიდროს დასაცავად და დაიცვა კიდეც.

8. ასევე მნიშვნელოვანია ბერიას მიერ გატარებული პოლიტიკა რელიგიური ძეგლების შენარჩუნების საკითხში, რისი მაგალითიც არის მეტეხის ტაძარი. ბერიას დიდი წვლილი აქვს ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბებაში, ე.წ. მეგრული სეპარატიზმის დაძლევაში და კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად სამეგრელოს ინტეგრაციაში ქართულ ეროვნულ სივრცეში. მის სახელს უკავშირდება ტაო-კლარჯეთის შემოერთების საკითხის დღის წესრიგში დაყენება.

9. უდაოა ბერიას უდიდესი წვლილი საქართველოში განძის დაბრუნების საკითხში, რომელსაც ჩვენ დასკვნით სიტყვაში შევეხებით.

მაშასადამე, ამ არასრული ჩამონათვალიდანაც ჩანს, თუ რაოდენ დიდია ბერიას როლი საქართველოს შეზღუდული სახელმწიფოებრიობის პირობებში საქართველოს განვითარების საქმეში. დანარჩენს კი უკვე უფრო ვრცლად ჩვენს დასკვნით სიტყვაში მოგახსენებთ. და, მაინც რჩება ყველაზე მნიშვნელოვანი ბრალდება - ბერიას წვლილი რეპრესიებში. აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბერიას წინააღმდეგ ჩატარებული პროცესის შემდეგ ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ დოკუმენტები, რომლებიც არსებობს, იმ პოლიტიკის ნაწილია, რომელიც ბერიას წინააღმდეგ განხორციელდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ. ამასთან, ახლა გეტყვით ისეთ ინფორმაციას, რომელიც უმრავლესობამ არ იცის: 1937 გამოვიდა

ეჟოვის ბრძანება, რომლითაც მთელ საბჭოთა კავშირში რეპ-
რესირებული 4 თვის განმავლობაში უნდა ყოფილიყო 300 000-
მდე ადამიანი. მიუხედავად ამ შემაძრწუნებელი ციფრებისა,
სსრ კავშირის რესპუბლიკები ითხოვდნენ ვადის გაზრდას 15
თვით და ხოლო დასახვრეტ-დასაპატიმრებელთა ლიმიტის
კიდევ უფრო მომატებას. საქართველო იყო ერთადერთი
რესპუბლიკა ბერიას ხელმძღვანელობით, საიდანაც მსგავსი
შინაარსის წერილი არ გაგზავნილა.

რა თქმა უნდა, ბერია, როგორც საბჭოთა ხელისუფლების
ერთ-ერთი მოხელე მონაწილეობას იღებდა რეპრესიებში
ვინაიდან სხვანაირად შეუძლებელი იყო. მაგრამ ჩვენ ვამ-
ტკიცებთ იმასაც, რომ როდესაც მას მიეცა შესაძლებლობა
გავლენა მოეხდინა სისხლის სამართლის პოლიტიკაზე საბჭოთა
კავშირის მასშტაბით, პირველივე, რაც გააკეთა, როგორც
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა, გამოსცა ბრძანება,
რითიც შეწყდა რეპრესიები მთელ საბჭოთა კავშირში.

ჩვენ, ნაფიც მსაჯულებს წარმოგიდგენთ იმ დროისათვის
სრულიად საიდუმლო დოკუმენტის ასლი. მას ხელს ლავრენტი
ბერია აწერს, როლ;ის საფუძველზეც: 1. აიკრძალა პირების და-
კავება და გადასახლება მასობრივი ოპერაციებისას და ამით
შეჩერდა რეპრესიები; 2. აიკრძალა პირებისათვის დიფერენცი-
რებული მოპყრობა; 3. მოტივირებული დადგენილებისა და
პროკურორის ნებართვის გარეშე აიკრძალა პირთა დაკავება;
4. თუ 48 საათის განმავლობაში არ მოხდებოდა ბრალის წაყე-
ნება, დაკავებული უნდა გაენთავისუფლებინათ. მოგეხსენებათ
ეს დღევანდელი კონსტიტუციური სტანდარტებია.

ჩვენ ვაცნობიერებთ თუ რამდენად რთული იქნება ნაფიც
მსაჯულთათვის მიიღონ დაცვის მხარის სასარგებლოდ გადაწ-
ყვეტილება, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წლების
განმავლობაში არსებობდა განსხვავებული, ცალმხრივი, ცრუ,
ზემოდან თავსმოხვეული დამოკიდებულება ამ პიროვნებისად-
მი. წყაროები, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ, ბევრისათვის არ

არის ცნობილი, თუმცა არსებობს სხვა, ჯერ კიდევ, უცნობი დოკუმენტებიც, რომელიც ვიმედოვნებთ, რომ კიდევ უფრო გაამყარებს ჩვენს პოზიციას. დაცვის მხარე დარწმუნებულია, რომ თქვენ მიიღებთ ერთადერთ სწორ და სამართლიან გადაწყვეტილებას. ასეთი გადაწყვეტილება იქნება ის, რომ ჩვენი გუნდი უკეთ არის მომზადებული და არგუმენტირებულად შეძლო დაეცვა ლავრენტი ბერიას მიერ გატარებული პოლიტიკა, რომელიც ნამდვილად შეესაბამებოდა ქართველთა ეროვნულ ინტერესებს.

7. ბრალდების მხარის კითხვები და დაცვის მხარის პასუხები

კითხვების დასმა: **ქეთი ბერაშვილი, ნიკა კაზაიშვილი, მარიამ ოდიშარია**.

კითხვებზე პასუხი: **პეტრე გელაშვილი, სოფიკო დარჩია, მერაბ ტაკაშვილი, ნანა ქათამაძე**.

1. კითხვა: ჩვენ იმედია ვთანხმდებით იმაზე, რომ უმთავრესი ღირებულება არის სამშობლო და ადამიანი. რა დამსახურება მიუძღვის ლავრენტი პავლეს ძეს ყველაზე დიდი ღირებულების სამშობლოსა და ადამიანის დაცვასთან დაკაშირებით?

პასუხი: რა თქმა უნდა, ამაში ვთანხმდებით და მოგახსენებთ, რომ სწორედ ლავრენტი ბერიას, როდესაც გაუჩნდა შესაძლებლობა, იგი მაქსიმუმს აკეთებდა სამშობლოსთის, კერძოდ მის აღმშენებლობაზე ზრუნავდა, საქართველოს ეკონომიკაზე, მოსახლეობაზე და ტერიტორიაზე. დასტურად მოვიხმობთ ცნობილი თურქი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნაზიმ ჰაქიმის მონათხრობს. იგი წერს: კრემლში დამიძახეს, და მიმიღო ლავრენტი ბერიამ, კაბინეტში შესვლისთანავე მითხრა, რას იტყვით თურქეთის პრეზიდენტობაზე? ოღონდ იმ პირობით თუ დაუბრუნებთ საქართველოს ლაზისტანს, ტრაპეზუნდის ყოფილ იმპერიას, ტაოკლარჯეთს, სხვა ქართულ მიწებს.

2. კითხვა: მიიჩნევთ, რომ სსრკ-ს გაძლიერებისათვის ბერიას მიერ გადადგმული ნაბიჯები ნიშნავდა ქართული სუვერენიტეტის იდეის განადგურებას?

პასუხი: არა რა თქმა უნდა, პირიქით მივიჩნევთ, რომ ლავრენტი ბერიას მიერ გადადგმული ნაბიჯები ქართული სუვერენიტეტის იდეას ემსახურებოდა და აქვე მოგახსენებთ, რომ ლავრენტი ბერიას საქართველოში მოღვაწეობისას, საქართველო დამოუკიდებლი სახელმწიფო არ იყო. საქართველო, როგორც პოლიტიკური ერთეული არსებობდა მოდერნიზებული საბჭოთა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

3. კითხვა: ვინაიდან დაცვის მხარე თავდაუზოგავად იცავს ლავრენტი ბერიას გთხოვთ გვიპასუხოთ, ჩაანაცვლებდით თუ არა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს 200 ლარიან კუპიურაზე, ლავრენტი პავლეს ძის გამოსახულებით?

პასუხი: პატივცემულო ნაფიცმსაჯულნო მოვითხოვთ ამ კითხვის აცილებას. (ნაფიც მსაჯულთა თავმჯდომარის მიერ დაცვის მხარის მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნა).

4. კითხვა: იყო თუ არა რეპრესიები ბერიასთვის კარიერული წინსვლისა და კომუნისტური რეჟიმის გამყარების საშუალება?

პასუხი: ბერიასათვის ეს კარიერული წინსვლის საშუალება არ იყო, როგორც მოგახსენეთ, რა თქმა უნდა, ბერია დანიშნული მსახური იყო იმ სახელმწიფოსი, რომელიც ცენტრიდან იმართებოდა კომუნისტური პარტიის მიერ. აქვე დავამატებთ, რომ რეპრესირებული პიროვნება ალექსანდრე სიგუა წერს: ,,როდესაც ბერია შინაგან საქმეთა კომისრად დანიშნეს, მე სასჯელს ვიხდიდი, როგორც პოლიტპატიმარი კრასნოიარკის ბანაკში, წლების განმავლობაში ჩვენ ცემენტის იატაკზე ვიწექით, როგორც კი ბერია მოვიდა შინსახკომში დაგვირიგეს ლეიბები და საბნები, ცემენტის იატაკიდან ხის საწოლებზე გადაგვიყვანეს“.

5. კითხვა: რა უფრო მნიშვნელოვანია ადამიანმა თავისი ცხოვრების წესით სიცოცხლეშივე და გარდაცვალების შემდგომაც დატოვოს კვალი და მის „ფარზე“ თაობები კითხულობდნენ „ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული“. განსხვავებით ლავრენტი ბერიას ცხოვრების წესისაგან?

პასუხი: ჩვენ კიდევ ერთხელ ვიტყვით შესავლიდან ამონარიდს, რომ ამ დროს საქართველო არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. იგი იმართებოდა კრემლიდან, შესაბამისად გვსურს რომ გთხოვოთ ეს პიროვნება განვსაჯოთ იმ დროსა და სივრცეში რომელშიც იგი მოღვაწეობდა.

6. კითხვა: თქვენს მიერ მხარდაჭერილი რეჟიმის და მისი ერთ-ერთი ლიდერის გამართლებით რა პასუხს გასცემთ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირებს: მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, ჟიული შარტავას, გაბისკირიას და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში გიორგი ანწუხელიძის გმირობას და საქართველოს ომში დაღუპული ქართველების და ამავდროულად გთხოვთ გვიპასუხოთ, რა უფრო აღემატება ბერიას მენეჯერული და შემსრულებლური უნარები თუ თავდადება?

პასუხი: გვსურს რომ ეს კითხვაც აცილებულ იქნას, რადგან ისევ და ისევ ვცდებით ამ კონკრეტულ პერიოდს. (თავმჯდომარემ თხოვნა დააკმაყოფილა, რადგან დაცვის მხარის პასუხი არ არის და დიდი ალბათობით კითხვა აცილებული იქნა).

7. კითხვა: როგორ მიგაჩნიათ ბერიას გამართლებით ექმნება თუ არა საქართველოს ევროპულ მომავალს საქმეს რომელიც საქართველოს კონსტიტუციითაა განსაზღვრული?

პასუხი: ჩვენ კონკრეტული პიროვნების მოღვაწეობას ვაფასებთ საქართველოსთან მიმართებაში და ვასკვნით, რომ იმ რეჟიმისათვის გარკვეულად შეესაბამებოდა ეროვნულ ინტერესებს, შესაბამისად კვლავ გთხოვთ, რომ ნუ განვიხილავთ დღევანდელი სტანდარტებით და არავითარი კავშირი არ აქვს XXI საუკუნის საქართველოს ევროპულ მომავალთან.

8. დაცვის მხარის კითხვები და ბრალდების მხარის პასუხები

კითხვების დასმა: **ლუკა ლუარსაბიშვილი, ნანა ქათამაძე, ანა წინამძღვრიშვილი**.

კითხვებზე პასუხი: **ვალერი ბიტარიშვილი, ანა როდონაია, მარიამ ფაღავა, მარიკა ჩხენკელი**.

1. კითხვა: თქვენი აზრით, რა დადებითი აქვს გაკეთებული ლავრენტი ბერიას საქართველოსთვის?

პასუხი: ლავრენტი ბერიას მიერ გაკეთებული დადებითი საქმეები საქართველოსთვის სადაო საკითხია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბერიამ მეტ-ნაკლებად განახორციელა ინფრასტრუქტურული ცვლილებები საქართველოს ტერიტორიაზე, ამ ცვლილებების მიზეზი იყო სსრკ პოლიტიკა და არა ალტრუისტული სურვილი დახმარებოდა სამშობლოს, ამიტომაც ვერ ვიტყვით, რომ მისი მოქმედებები უშუალოდ მისი სურვილი იყო და არა ბრძანების შესრულება.

2. კითხვა: თქვენი აზრით, რატომ ებრძოდა ასე გაშმაგებით ნიკიტა ხრუშჩოვი ლავრენტი ბერიას და რატომ გაქრა მასთან დაკავშირებული არქივები?

პასუხი: ნიკიტა ხრუშჩოვსა და ლავრენტი ბერიას ერთმანეთის მიმართ მუდმივად ჰქონდათ არაჯანსაღად კონკურენტული გარემო ხრუშჩოვი, რომელიც ბერიაზე უფრო დაბალი პოზიცია ეკავა, როგორც კი მიეცა შესაძლებლობა მისთვის არასასურველი ადამიანის მოშორების შანსი, გამოიყენა შესაძლებლობა და გააქრო არა მარტო სსრკ-ს ჩინოვნიკთა სიიდან, არამედ სცადა მისი ისტორიიდანაც გაქრობა. ხრუშჩოვის საქციელი შეიძლება ჩავთვალოთ მისი ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე საქციელად, რომელიც როგორც ისტორიული ფაქტებიდან ჩანს ბოღმიანი პოლიტიკური მეწვრილმანე იყო.

3. კითხვა: ვინ იყო საბჭოთა კავშირში რეპრესიების შემოქმედი?

პასუხი: რეპრესიების შემოქმედი და ინიციატორი რა თქმა უნდა იოსებ სტალინი იყო, თუმცა ასეთ მაშტაბური ოპერაციის განხორციელება, ისეთ უზარმაზარ იმპერიაში, როგორც სსრკ იყო შეუძლებელია მარტო შესძლებოდა მას, ამიტომაც სტალინი იყენებდა მის ერთგულ დამხმარეებს.

4. კითხვა: ხომ არ იცით ზუსტი თარიღი, როდის დაიწყო რეპრესიები და როდის დასრულდა იგი?

პასუხი: 1936-39 წლებში. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ოფიციალურ დონეზე შეწყდა ხალხის მასობრივი რეპრესიები, თუმცა ინდივიდუალური შემთხვევები იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომაც. ყველაზე აქტიური რეპრესიული მოქმედებები იყო 1934-38 წლებში.

5. კითხვა: როდის იყო ბერია საქართველოს კომუნისტური კომპარტიის ცეკას მდივანი?

პასუხი: 1934-38 წლებში.

6. კითხვა: თქვენი აზრით, რამდენად დადებითად მიგაჩნიათ ის, რომ აფხაზეთში თავისუფალ მიწებზე ბერიამ ჩაასახლა ეთნიკური წარმოშობის ქართველები?

პასუხი: ეთნიკურად ჩასახლების საკუთრივ იდეა საკმაოდ დადებით ბუნების მატარებელია და კარგ შედეგებსაც მოიტანდა, რომ არა მისი განხორციელების უკიდურესად არასწორი გზა, რამაც დადებითის მაგივრად უარყოფითი შედეგი გამოიწვია საზოგადოებაში და მძიმე სიტუაცია უფრო გაამწვავა.

7. კითხვა: თქვენ როგორ მიგაჩნიათ, აფხაზეთში არსებული განათლების ქართული მეთოდი და ლათინურ ანბანზე დაფუძნებული აფხაზური ანბანის ქართულ ანბანზე გადაყვანა ინტეგრაციის თვალსაზრისით დადებითი იყო თუ არა მაშინ?

პასუხი: ამ საუკუნის გადმოსახედიდან თითქმის შეუძლებელია პასუხის გაცემა. ეს მოქმედება შეიძლება ყოფილიყო, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი და ეს დამოკიდებულია იმ პერიოდის ფსიქო-სოციალურ ფონზე.

8. კითხვა: გაგაჩნიათ თუ არა ინფორმაცია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ ე.წ „თურქი-მესხების“ რეპეტრიაციასთან დაკავშიებით და თუ გაგიანალიზებიათ ამ პროცესის შესაძლო შედეგები ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიურ-ეთნიკური შემადგენლობის გათვალისწინებით?

პასუხი: 1921 წლის ყარსის ხელშეკრულების მიხედვით ართვინის, არტაანისა და ოლთისის ოკრუგები, ასევე ბათუმის ოკრუგის სამხრეთ ნაწილი თურქეთს მიეკუთვნა, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩა ისტორიული მესხეთის მხოლოდ მცირე ნაწილი, სამცხე და ჯავახეთი, ასევე აჭარა. საბჭოთა ხელისუფლებამ ამ მხარეებში მცხოვრები მაჰმადიანი მოსახლეობა თურქებსა და აზერბაიჯანელებს მიაკუთვნა და ანგარიში არ გაუწია ბევრი მათგანის ქართულ იდენტობას, სამეტყველო ქართულ ენას, მათ მიერ შენარჩუნებულ ქართულ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ტრადიციებსა და ქართულ გვარებს. სკოლებში მათ თურქულ ენაზე ასწავლიდნენ აზერბაიჯანიდან მოწვეული მასწავლებლები. 1930-იანი წლების საბუთებით მტკიცდება, რომ სამცხე-ჯავახეთის მუსლიმი მოსახლეობა ქართული სკოლების გახსნასა და ქართული გვარების მინიჭებას ითხოვდა. ეს კომფლიქტი 1921-დან 89 წლამდე გრძელდებოდა. თუმცა ძირითადი დაპირისპირებები 1944-დან 55 წლამდე გრძელდებოდა ბრალდების მხარის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებზე კარგად ჩანს, როგორც კონფლიქტების, ასევე გადასახლებების სტატისტიკა.

9. კითხვა: თუ გაგაჩნიათ ინფორმაცია კრასნოდარის ოლქში დროებით ჩასახლებული „თურქ-მესხებსა'' და ადგილობრივ მოსახლეობას შორის კონფლიქტების შესახებ?

პასუხი: აღნიშნულ პრობლემაზე ბრალდების მხარემ ამომწურავად ისაუბრა საბრალდებო სიტყვაში, მოგაწოდათ საჭირო

მტკიცებულებები და ფაქტები, ამიტომაც ვთვლით, რომ აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა იქნება საბრალდებო სიტყვის განმეორება.

10. კითხვა: რატომ გასცა ნიკიტა ხრუშჩოვმა რეპრესიებთან დაკავშირებული სისხლის სამართლისა და ოპერატიული აღრიცხვის საქმეების (მათ შორის უმაღლესი სამხედრო ჩინების მიმართ წარმოებული) განადგურების განკარგულება?

პასუხი: ხრუშჩოვი ცდილობდა მოეშორებინა სსრკ-ს ისტორიის შავი ლაქები, რაც რეპრესიებმა დაამჩნიეს მას და გამოსავლად რჩებოდა მტკიცებულებების განადგურება.

9. ბრალდების მხარის დასკვნითი სიტყვა

მარიკა ჩხენკელი - პატივცემულო საგამოცდო კოლეგიის წევრებო, დღეს თქვენ განსაკუთრებით დიდი პასუხიმგებლობა გაკისრიათ - განაჩენი უნდა გამოუტანოთ არა კონკრეტულ პიროვნებას, თუნდაც უდიდესი სახელმწიფოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალჩინოსანს, მარშალ ლავრენტი ბერიას, არამედ უნდა გამოუტანოთ განაჩენი საქართველოს მომავალს, რამეთუ საქმე ეხება ფუნდამენტურ ღირებულლებებს, თუ რაზე უნდა გავაკეთოთ სწორება ჩვენ, ახალგაზრდებმა, როგორი საქართველო გვინდა ავაშენოთ და რა გზით ვიაროთ მომავალში. ვაშინგტონში ეროვნული არქივის შენობასთან ამოტვიფრული არის შემდეგი სიტყვები: წარსული, ეს პროლოგია". სწორედ წარსულის გამოცდილების ანალიზის საფუძველზე უნდა დავაფუძნოთ საქართველოს მომავალი.

ქართული პოლიტიკის გაკვეთილებიდან სწორი დასკვნების გამოტანა არის გარანტი იმისა, რომ შევძლოთ სამომავლო ორიენტირებთან დაკავშირებით სწორი პოზიციის ჩამოყალიბება და აღარ დავბრუნდეთ ტოტალიტარიზმით დაღდასმულ სისხლიან მეოცე საუკუნეში, რომელის დროსაც, ერთ დროს, სიღარიბეში გაზრდილი ქართველი კაცი, შემდგომში საქართველოს მოღალატე რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩადგა და

საქართველოს მოღალატედ იქცა, რომელმაც თავისი შესაძლებლობები და ის უნარი რითაც საბჭოთა კავშირი ამაყობს საქართველოსთვის და მისი მომავლისთვის სავალალო აღმოჩნდა.

ბ-ნო მსაჯულებო, საბჭოეთის ერთგული ჯარისკაცის ლ. ბერიას გამართლებით თქვენ მხარს დაუჭერთ XXI საუკუნის საქართველოში ფაქტობრივად კომუნიზმის რეაბილიტაციას, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოებრიობა დაასამარა. მისი გამართლებით თქვენ ამართლებთ ადამიანთა კვლას, წამებას, გადასახლებას, რეპრესიებს, სიტყვისა და აზრის გამოხატვის აკრძალვას, ტოტალიტარული ცენზურის დაწესებას, საქართველოს პოლიტიკური წყობის ფორმის დემოკრატიის უგულებელყოფას. ბრალდების მხარის მიზანი არის, როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი ასევე მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგიის და მათი მხარდამჭერების ლუსტრაცია.

მიგვაჩნია რომ, ლუსტრაციის კანონის არსებობის შემთხვევაში, კომუნისტური პარტიისა მისი იდეოლოგიის მხარდამჭერებს კანონი თავის ადგილს მიუჩენდა. შესაბამისად საქართველოს მიეცემოდა სწორი შეფასებისა და ანალიზის სამართლებრივ პოლიტიკური ანალიზის საშუალება, რაც სამომავლოდ გამორიცხავს ჩვენი ქვეყნის საქართველოს რუსულ ორბიტაზე დაბრუნებას.

ბრალდების მხარის ძირითადი მიზანი და ამოცანაა საზოგადოებას დაანახოს ლავრენტი ბერიას არა როგორც რეფორმატორისა და მაღალი რანგის კომუნისტური მენეჯერის უნარჩვევები, არამედ ამ მენეჯერის პირსისხლიანი აწმყო და მომავალი. მისი ყოველდღიური საქმიანობა, რომელიც სავსე იყო ადამიანური ტრაგედიებით, რომელიც ნაკარნახევი იყო რუსეთის იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენს მიერ წარმოდგენილი და დადასტურებული იქნა ბერიასა და საბჭო-

თა რეჟიმის მიერ ჩადენილი ყველა ის დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთა სწორი ანალიზისა და შეფასების შემთხვევაში არ უნდა მიეცეს მწვანე შუქი.

ბრალდების მხარე აღნიშნავს, რომ ჩვენი თაობის ვალია, ბერიას და კომუნისტური რეჟიმის გასამართლება, რათა ჩვენ შემდგომ თაობებს მივცეთ სწორი განვითარების და თანამედროვე სამყაროში ინტეგრაციის შესაძლებლობა. ეს ის განვითარების შესაძლებლობაა, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს დამოუკიდებელი მოქალაქე ყოველგვარი შეზღუდვის, ძალდატანების გარეშე გააკეთებს სწორ არჩევანს, რაც საფუძველია დემოკრატიული ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობის. ჩვენს მიერ მოძიებული საქმის მასალები, რომლითაც ვამხელთ რეჟიმს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბერიასეულ საბჭოთა საქართველოში ეს ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ რომ დღევანდელი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მონაპოვარია დღევანდელი დღე, ბატონო მსაჯულებო, რითაც საშუალება გეძლევათ თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში გაასამართლოთ საბჭოთა იმპერიის ბურჯი და ერთგული მარშალი ლავრენტი ბერიას პოლიტიკა, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს, კომუნისტური რეჟიმის არსებობის შემთხვევაში, ეს ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა და ბერიას ნაცვლად განსასჯელის სკამზე თავად აღმოჩნდებოდით.

ბრალდების მხარისთვის არ არსებობს იმაზე მეტი დანაშაული, როგორიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობაა, რაშიც ბატონ ბერიას ლომის წილი მიუძღვის, შესაბამისად მისი პოლიტიკური კურსი და თუნდაც დაცვის მხარის მიერ წარმოჩენილი მაღალი მენეჯერული ნიჭი მას და რეჟიმს არ ათავისუფლებს, როგორც სამართლებრივი, ასევე, პოლიტიკური პასუხისმგებლობისაგან.

ბ-ნო მსაჯულებო, ბერიას გამართლებით, თქვენ წაახალისებთ ოკუპაციასა და ოკუპანტებს და ამით მოახდენთ ქართვე-

ლთათვის ყველაზე სანუკვარი იდეის - საქართველოს თავისუ-ფლების იდეის დისკრედიტაციას, რომელსაც ზვარაკად შეეწი-რნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები. დღეს საქართველოს ოკუპანტები გაცილებით საშიშნი არიან, რადგან მათი ზეგავლენის ინსტრუმენტები გაცილებით უფრო დახვეწილია. ისინი შენიღბულნი არიან და როგორც საქართველოს გულშე-მატკივარნი ისე მოქმედებენ. ბერიას ქმედებებიც არ უნდა გან-ვიხილოთ ზოგადი კონტექსტიდან ამოგლეჯილად. ის პატარ-პატარა შეღავათები, რომელსაც ბერია უწევდა საქართველოს და რომელიც დაცვის მხარემ დღეს ასე ემოციურად წარმოად-გინა: იქნებოდა ეს ქართული დივიზიების შექმნა კავკასიის და-საცავად თუ სხვა რამ. დათმობები სამსჯავროს შეცდომაში ნუ შეიყვანს. დაცვის ლოგიკით საქართველოს ყველაზე ერთგული მეგობარი მეფისნაცვალი ვორონცოვი გამოდის, რომლის ხელ-შეწყობითაც მოხდა საქართველოს კულტურის გამოცოცხლება და აყვავება: დაარსდა ჟურნალ-გაზეთები, თეატრი და სხვ., მაგრამ დღეს ცალსახად და დაბეჯითებით შეიძლება განვაც-ხადოთ, რომ საკამათო არ არის ვორონცოვის პოლიტიკის შედეგი - მან შეძლო ის, რაც ვერ მოახერხა საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა - საქართველოს წაართვა ეროვნული იდენტობა და ყველაზე უფრო მეტად მოახერხა ქართველთა გარუსება. ხაზი მინდა გავუსვა იმ ფაქტს, რომ ვორონცოვის დარად, ბერიაც ყველაფერს საერთო ინტერესებიდან გამომ-დინარე აკეთებდა და ამით საბჭოეთს კიდევ უფრო აძლიერებდა. მან დამპყრობი სახელმწიფოს გაძლიერებას შეალია თავისი ნიჭი და ენერგია.

ბულგარელი მწერალი ივან ვაზოვი წერს: საბრალონი არიან ისინი, ვინც სამშობლოსთვის ბრძოლას დამპყრობლის სამსახურში გადიდკაცებას ამჯობინებს. ასეთებს თავად მი-სივე პატრონები გამოიყენებენ და შემდეგ გაუსწორდებიან. შთამომავლობა კი დასწყევლის". ბერიამაც დამპყრობლის სამ-სახურში გადიდკაცება ამჯობინა და რუსეთს მართლაც

უდიდესი სამსახური გაუწია. ამ ფაქტის გაუცნობიერება, დამეთანხმებით, განსაკუთრებით საშიშია დღევანდელ ვითარებაში, როდესაც საბჭოთა ქვეყნის სამართალმემკვიდრე რუსეთი ისევ აგრძელებს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას. მაგრამ ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ ისტორიის მსაჯული დრო ყველას მიუჩენს საკუთარ ადგილს, რადგანაც, როგორც ლინკოლნი ამბობდა: „შეიძლება ხალხის ნაწილი გააბრიყვო სამუდამოდ, შეიძლება გააბრიყვო მთელი ხალხი გარკვეული ხნით, მაგრამ შეუძლებელია მთელი ხალხის გაბრიყვება სამუდამოდ“ ჩვენც ამისი იმედი გვაქვს და კიდევ იმედი გვაქვს ბ-ნი მსაჯულების სახელმწიფოებრივი ხედვის, რომ ისინი ლავრენტი ბერიას პოლიტიკის გამართლებით არ იტყვიან უარს დემოკრატიული და ევროპული საქართველოს მომავალზე, რომლის დასამკვიდრებლადაც თითოეულმა მათგანმა საკმაოდ იღვაწა. აქვე მინდა საგამოცდო კოლეგიის თითოეულ წევრს დავუდასტუროთ ჩვენი პატივისცემა.

ჩემი გამოსვლა მინდა დავამთავრო XX საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე დიდი ქართველის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიტყვის პერიფრაზით, ბატონო მოსამართლეებო, დღეს თქვენს წინაშე ორი გზის არჩევანია გასაკეთებელი - ერთია გზა ილია მართლისა, გზა სიწმინდისა, ზნეობისა, გზა დემოკრატიისა, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და, მეორე გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, გზა ტერორისა! აირჩიეთ, ბ-ნო მოსამართლეებო, ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამე თუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს!

10. დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვა

ანა ნაკაშია, მერაბ ტაკაშვილი - დასრულდა ფაქტებისა და მტკიცებულებების კვლევის ეტაპი. შევაჯამოთ აღნიშნული გარემოებანი. ბრალდების მხარემ წარმოგვიდგინა ფაქტები,

რომელიც ლავრენტი ბერიას პოლიტიკას ცალმხრივად აკრიტიკებს, თუმცა ეს ფაქტები და დოკუმენტები ტენდენციურია, ვინაიდან ისინი სწორედ იმ დროს შეიქმნა, როდესაც ბერიას სახელის დადებითად ხსენება შესაძლოა ადამიანს დანაშაულად შერაცხოდა. აქედან გამომდინარე ისმის კითხვა: რატომ უნდა დავიჯეროთ ყოველივე ეს?

ბრალდების მხარემ წარმოგვიდგინა რამდენიმე ფაქტი:

1. **რეპრესიები**, რომელსაც ბერიას სახელს მიაწერენ. არადა წყაროებით დასტურდება, რომ მსგავსი გადაწყვეტილების მიღება ბერიას არ შეეძლო (ჩვენს კითხვებზე ბრალდების პასუხში ზუსტად ვერ დასახელდა თარიღები) იგი 1931 წელს დაინიშნა შესაბამის თანამდებობაზე, აქედან გამომდინარე როგორ შეიძლება მას მივაწეროთ 1924 წელს მომხდარი ფაქტი? არსებობს ასეთი გამონათქვამი, პოლიტიკა და სამართლიანობა იშვიათად ცხოვრობენ ერთ ჭერქვეშ. ამიტომ ნურავინ იფიქრებთ, რომ ჩვენ ვინმეს გამართლებას ან კიდევ ვინმეს დიდ ჰუმანისტად გამოცხადებას ვაპირებთ. არა ბატონებო, ჩვენ გვსურს აქ თქვენს წინაშე წარმოვაჩინოთ მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთი ურთულესი პოლიტიკური ფიგურა ბერია მთელი თავისი ავ-კარგიანობით, ხაზს ვუსვამთ - ავ-კარგიანობით. ჩვენს შესავალ სიტყვაში ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ, რომ ბერიას ქმედებანი უნდა განვიხილოთ დროსა და სივრცეში, ანუ მასზე საუბრისას გადავსახლდეთ იმ ავ-ბედით დროში, როდესაც საქართველო მოდერნიზებული რუსული საბჭოთა იმპერიის ორგანული შემადგენელი ნაწილი იყო და გააჩნდა ძალზედ შეზღუდული სახელმწიფოებრიობა. სწორედ აქ ისმის კითხვა: იმ დროს, შეძლო მან საქართველოსათვის რაიმე სასიკეთოს გაკეთება? თორემ ავი საკმაოზე მეტია იმ უმძიმეს წლებში ნაკეთები და ამის გამო არავის გაკეთილშობილებას არ ვაპირებთ. თუმცა არც თვალებს დავიბრმავებთ იმ წლებში ნაკეთებ ეროვნულ საქმეთა შესახებაც, რომელთა გარეშეც ვფიქრობთ საქართველო ქართული არ იქნებოდა.

ისტორიული ვითარება და ბერია. თქვენ ამ პოლიტიკურ სამსჯავროზე შეკრებილთ მშვენივრად მოგეხსენებათ, თუ რა უბედურება მოუტანა საქართველოს ჯერ კიდევ მე-15 საუკუნის ბოლოდან დაწყებულმა ისტორიულმა ძნელბედობამ, განსაკუთრებით ეროვნული ერთიანობისა და სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით. დიდი ილია მე-19 საუკუნის დასასრულს პუბლიცისტურ წერილში „ზოგიერთი რამ“ წერდა: „აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულს ქართველის მეტმა (ე.ი გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო“ (ილია ჭავჭავაძე. ზოგიერთი რამ. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი V, თბილისი, 1991.) და სწორედ ეს საქართველო შეხვდა საერთაშორისო ვითარების გამო ნაბოძებ დამოუკიდებლობას, რომელიც გარკვეულწილად სწორედ ქართული ეროვნული ცნობიერების არარსებობის გამო ქვეყანას თვალსა და ხელსშუა გამოეცალა. სწორედ ასეთ პირობებში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნიღბით საქართველოში შემოიჭრა მოდერნიზებიის გზაზე დამდგარი რუსული საბჭოთა იმპერია, რომელიც იწყებდა სწორედ ინტერნაციონალიზმის საფარქვეშ პატარა ერების გადაგვარებას და მათ სრულ ასიმილაციას. ყოველივე ამას საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების უაღრესად დაბალი დონე ემატებოდა და, ვფიქრობთ, ძნელია ვერ წარმოიდგინო თუ რა ელოდა ქართველს. ასეთ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებაში 1931 წელს ცენტრიდან პირველ პირად დანიშნეს 31 წლის ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოკრუგის სოფელ მერხეულში, ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებული ბერია. რა თქმა უნდა მას დამოუკიდებელი ქმედების უფლებას კრემლი არავითარ შემთხვევაში არ

აძლევდა. მას ახალი „საყაენოდან“ უნდა მიეღო ის, რასაც მისცემდნენ. მაგრამ მაქსიმალური, რომ მიეღო, საქართველოს დანიშნულ ხელმძღვანელს უნდა ჰქონოდა მოხერხებულობა, გაბედულება, შესაბამისი პოლიტიკური ალღო და სამშობლოს სიყვარული. იმისათვის, რომ ქვეყანა გადარჩენილიყო, საჭირო იყო ქვეყნის ცალკეულ მხარეების მოსახლეთა ინტეგრაცია ერთიან ქართულ სივრცეში, რაც უცილობლად უნდა გაკეთებულიყო. ეროვნული ერთიანობა პატივცემულო მბრალმდებლებო, დღეს ზოგიერთები აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის ინტეგრაციის პროცესი ხელოვნურად მხოლოდ აფხაზეთში ხდებოდა. ეს სიმართლეს არ შეესაბამება!

ბერიამ მოხერხებულად გამოიყენა არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და 30-იან წლებში იწყო კოლხეთის დაბლობის მიწების ამოშრობა და მასზე და აფხაზეთის თავისუფალ მიწებზე ქართული ეთნიკური წარმოშობის მოსახლეობის ჩასახლება. ბერიამ ვირტუოზულად გადაჭრა აფხაზეთის ვაკე ადგილებში, იქ, სადაც მანამდე მალარია მძვინვარებდა, მეგრულენოვანი მოსახლეობის ჩასახლება, ხოლო მთიან ადგილებში დასავლეთ საქართველოს მთიანი კუთხეებიდან მოსახლეობის ჩასახლება. ჩასახლებები ხდებოდა კახეთში, ქვემო ქართლში და სამხრეთ საქართველოშიც, სადაც ქართული მოსახლეობა ფაქტობრივად აღარ ცხოვრობდა. ეს პროცესი დაიწყო 1945 წლიდან და გრძელდებოდა 40-იანი წლების ბოლომდე. (სპა. ფონდი 14 აღწერა 17) ამ მიზანს ემსხურებოდა 40-იან წლებში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა და მარნეულში ზემო იმერეთიდან გადმოსახლებულთა 2 სოფლის დასახლება. რაც მთავარია აფხაზეთის სკოლებში დაწყებით კლასებში 1938 -1953 წლებში ისწავლებოდა აფხაზური ენა და ლიტერატურა, ხოლო მთლიანი განათლების მიღების პროცესი იყო ქართულ ენაზე. ასევეა 1954 წლიდან მოყოლებული დღემდე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სწავლება მიმდინარეობს რუსულ ენაზე.

ბერიას დამსახურებაა ის, რომ ისტორიულ ქართულ ქალაქ სოხუმს „სუხუმის“ ნაცვლად ეწოდა „სოხუმი“.

ბერიას კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად უდიდესი როლი მიუძღვის ე.წ. „მეგრული სეპარატიზმის“ დაძლევაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცენტრიდან მართული ისააკ ჟვანია გარკვეულ ძალებთან ერთად. (იხილეთ, წიგნი „ზუგდიდი“ სოციალ-პოლიტიკური განვითარება). სერგო ბერიას თქმით, ბერია მტკივნეულად განიცდიდა საქართველოს ტერიტორიებზე არსებულ ავტონომიებს, მათ აღიქვამდა, როგორც გარედან თავსმოხვეულ რეალობას. ისმის კითხვა, რას აკეთებდა იგი სანაცვლოდ? ბერიას დავალებით როგორც მოგახსენეთ აფხაზებისა და ოსებისათვის ქართული ანბანის საფუძველზე შეიქმნა აფხაზური და ოსური დამწერლობის ანბანი. აღნიშნულ ქმედებათა გამო ბერიაზე არაერთხელ განხორციელდა თავდასხმა მისი ფიზიკური განადგურების მიზნით, მაგრამ ყველა შემთხვევის დროს მას იღბალი სწყალობდა და გადარჩა.

ქართული ტერიტორიების საკითხი. ლავრენტი ბერიას არ მოწონდა, როდესაც ვიღაც ვიღაცეები წაღმა-უკუღმა არიგებდნენ ჩვენი ქვეყნის ძირძველ ტერიტორიებს, მაგრამ როდესაც კი მას გაუჩნდა ამის შესაძლებლობა, მაშინვე იწყო საწინააღმდეგო ქმედებანი. საქმე ეხება 1945 წლის დეკემბრის დასაწყისში საბჭოთა კავშირში დაწყებულ კამპანიას თურქეთის წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებდა იმას, რომ თურქეთს საქართველოსათვის დაებრუნებინა მის მიერ მიტაცებული ჩვენი სამშობლოს ისტორიული მიწა-წყალი. ბერიამ აქტიურად დაიწყო თურქეთის მიერ მიტაცებული ისტორიული ქართული ტერიტორიების ქართულ სოციო-კულტურულ და ტერიტორიულ სივრცეში ინტეგრირების წინასწარი ორგანიზაციული საქმიანობა. შეიძლება აქ ბრალდების მხარე შემოგვედავოს, ბერია ამას, მხოლოდ სტალინის დავალებით გააკეთებდაო. რა თქმა უნდა, ამის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ერთ ფაქტს. საქართველოს

გასაბჭოებიდან ანუ 1921 წლიდან 1925 წლამდე პერიოდში გასხვისდა საქართველოს ტერიტორიების თითქმის 25 ათასი კვადრატული კილომეტრი. მაგალითად, კავბიუროს გადაწყვეტილებით, სადაც გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ სტალინი და ორჯონიკიძე, ლორე გადაეცა სომხეთს. როდესაც საქართველოს მოსახლეობის ნაწილმა ამაზე პროტესტი გამოთქვა, ორჯონიკიძე დაიმუქრა „პროტესტის შემთხვევაში სომხეთის საზღვარს ავლაბარში გადმოვიტანო“, ხოლო 1922 წელს თბილისში ჩამოსული სტალინი დაიმუქრა „საქართველოს გადავხნავო“! ამდენად, თუ მოგვიანებით საქართველოს დაკარგული ტერიტორიების შემოერთების სურვილს მაინც სტალინს მივაწერთ, ის მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ეს უდავოდ ბერიას იდეა უნდა ყოფილიყო.

არსებობს იმ პერიოდის სრულიად საიდუმლო სპეციალური წიგნაკი, რომელიც შემუშავებული იქნა, ბერიას ხელმძღვანელობით და რომელშიც დამუშავებული იყო თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მიწების კარტოგრაფია და მასზე მცხოვრები მოსახლეობა, რომელშიც მისხალმისხალაა გათვლილი, თუ როგორი ქმედებებით უნდა დაებრუნებინა ტერიტორია და მოსახლეობა საბჭოთა ჯარებს. (აღნიშნულ საკითხზე შეგვიძლია მივუთითოთ წყარო „თურქეთისადმი საბჭოთა კავშირის პრეტენზიების შესახებ“, თბ., 2001). როგორც ცნობილია საერთაშორისო ვითარების გართულების გამო, ეს საკითხი ვერ განხორციელდა.

დემოგრაფიული ვითარება. ჩვენ მოგახსენეთ იმ უძნელესი სოციალური მდგომარეობის შესახებ, რომელიც იყო იმ პერიოდის საქართველოში. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში იყო ქართული ეთნიკური წარმოშობის მოსახლეობა საკუთარ სამშობლოში დემოგრაფიის მხრივ. განსაკუთრებით კი დედაქალქში. თბილისში უცხო ტომელთა რაოდენობა ქართველებისას საგრძნობლად აჭარბებდა. 1917 წლის აღწერის მიხედვით თბილისის მოსახლეობის 25% იყო ქართველი,

33,7% იყო სომეხი, 28,1% იყო რუსი. გატარებული სოციალ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგად 1939 წელს თბილისში ცხოვრობდა 48,4 % ქართველი, 21% - სომეხი და 18.1% რუსი. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ არცერთი სხვა ერის ცხოვრებისა საქართველოში და, რა თქმა უნდა, მის დედაქალაქში, მაგრამ, ვფქირობთ, და თქვენც დაგვეთანხმებით, ალბათ, რომ თბილისში, ვინაიდან ის საქართველოს დედაქალქია, რა გასაკვირია, რომ გვინდოდეს უმეტესობა აქ ცხოვრობდეს ეთნიკური წარმოშობის ქართველი? 1926 წლიდან 1939 წლამდე ხელისუფლების პოლიტიკის შედეგად საქართველოს შეემატა 862 ათას 800 მცხოვრები, რომელთაგან უმეტესობა ქართული ეთნიკური წარმოშობის იყო.(ა. თოთაძე. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 2015). ცენტრი არ ისვენებდა და სურდა საქართველოს დაშლა დანაწევრება. ამ მიზანს ემსახურებოდა 1937 წელს ჩატარებული აღწერის დროს ცენტრალური ორგანოების მიერ აჭარლების ცალკე ერად გამოყვანა, ბერიამ ამის საწინააღმდეგოდ წერილი გაუგზავნა სტალინს, სადაც წერდა, რომ ეს ეწინააღმდეგებოდა სტალინისეულ ერის განმარტებას (სპა ფონდი 14 აღ 11 საქმე). ბერიას მოღვაწეობისას საქართველოში სიკვდილიანობა ორჯერ შემცირდა და მოისპო საყოველთაო აცრების შედეგად ისეთი დაავადებები, როგორიც იყო ყვავილა და მალარია.

მრეწველობა და ეკონომიკა. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, თუ რა უმძიმეს მდგომარეობაში იყო საქართველოს ეკონომიკა და აქედან გამომდინარე ხალხის ცხოვრების დონე. 1913 წელს საქართველოში არსებობდა გადამამუშავებლი მრეწველობის მხოლოდ 205 საწარმო, სადაც თითოეულ მათგანში მუშაობდა 50 კაცი. მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა საშუალოდ 18 მანეთის პროდუქცია გატარებული ღონისძიებების შედეგად, ბერიას დროს, 1930-38 წლებში საქართველოში აშენდა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი 800-ზე მეტი მსხვილი საწარმო,

შეიქმნა მრეწველობის დარგები. მანქანათმშენებლობა დაზგა-თმშენებლობა, გადამამუშავებელი, ფერომანგანუმი და ქი-მიური წარმოება. 1932 წლიდან 1939 წლის ჩათვლით საქარ-თველოს ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 7-ჯერ, ხოლო 1917 წელთან შედარებით 1940 წელს წარმოება გაიზარდა 37-ჯერ. 1932 წლიდან 1939 წლის ჩათვლით საქართველოს ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 7-ჯერ, ხოლო 1917 წელთან შედარებით 1940 წელს წარმოება გაიზარდა 37-ჯერ. აღმოჩენილი იქნა ნავთობის საბადო, რომლის რეწვა ბერიამ დააკონსერვა (რომლის გამოყენება დღეს ხდება). მშენებლობების შედეგად ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა 37-ჯერ და, რაც მთავარია, გაყვანილ იქნა შავი ზღვის რკინიგზის ხაზი. ასევე სოფლის მეურნეობაში მიღწეული შედეგებიც საქართველოს-თვის საციცოცხლოდ აუცილებელი იყო. ამრიგად, გატარებუ-ლი ღონისძიებების შედეგად დაიძლია სიღარიბე და გაუმჯო-ბესდა მოსახლეობის ცხოვრების დონე. ჩატარებული ღონის-ძიებების შედეგად საქართველო ეკონომიკური განვითარების დონით გახდა ერთ-ერთი მოწინავე საბჭოთა კავშირში. (კოდუა. საქართველოს ინდუსტრიალიზაცია, თბ. 1940).

აღმშენებლობა. ბერიას რომ სახელმწიფო ინტერესები ამოძრავებდა და საქართველოს აღმშენებლობაზე ფიქრობდა, ამას მრავალი ფაქტი ადასტურებს. მისი მოღვაწეობისას უამ-რავი შენობა აშენდა საკუთრივ ბერიასვე პროექტით, რომელ-საც ბევრი სტალინურს ეძახის, თუმცა ეს არ შეესაბამება სიმართლეს და ის არქიტექტორის განათლება, რომელიც მან აზერბაიჯანში მიიღო, სწორედ ამ სახლების მშენებლობისას გამოიყენა. ბევრ მაშინდელ არქიტექტურულ ნაგებობას დღე-საც დიდი სიამოვნება მოაქვს მნახველისათვის. ჩამოგითვლით ხურორთმოძღვრების შესანიშნავ ნიმუშებს: თბილისში სახლი ზაარბრიუკენის მოედანზე (1935), შენობები პლეხანოვზე ანუ ახლანდელ აღმაშენებელზე (რომელთა არქიტექტურულ დაგე-გმარებაში თავად ბერია მონაწილეობდა). 1933-1938 წლებში

აგებული მთავრობის სახლის პირველი კორპუსი და ეგრეთ წოდებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობა, 1934-38 წლებში დინამოს სტადიონის აშენება, 1935-1940 წლებში აიგო წიგნის სასახლე, საცხოვრებელი სახლი რუსთაველზე, ასბინიანი სახლი გმირთა მოედანზე, კინოთეატრ რუსთაველის შენობა. ფუნიკულიორის ზედა სადგური, მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკი. (1938 მტკვრის მოქცევა არტახებში, თბილისის განაშენიანება ჭადრებით). აქვე აღსანიშნავია ის, რომ ის ოსტატურად იყენებდა ამ მშენებლობებს, რათა სხვა ტომელთა უშნო საკულტო ძეგლები აეღო, რომლებიც თავის დროზზე ანტიქართული თავყრილობების კერად იყო ქცეული.

ბერიას თაოსნობით დაირაზმნენ თბილისელები. მათ ბარითა და წერაქვით გაჭრეს უზარმაზარი მთა და გაიყვანეს გზა ვერადან სადგურამდე. გზებითა და მტკვრით შემოფარგლულ მთაზე ბერიამ ააშენა ცირკის შენობა. დაანგრია „ზაკფედერაციის“ მოედანზე უცხოთა მიერ აშენებული ქარვასლის უზარმაზარი შენობა, რისთვისაც მას „ნაციონალისტობა“ დააბრალეს და კრემლში უჩივლეს. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა პოლიტბიუროში მჯდომი ანასტას მიქოიანი. აყაყანდნენ უცხოეთში და აქაც, მაგრამ ამაოდ (ალექსანდრე სიგუა „მკვლელობა ბერიას კაბინეტში“ თბ., 1992). ბერიამ აღკვეთა თბილისში ერთი საწარმოს საქმიანობა, რომელიც ხალიჩებს ამზადებდა და თავის გამოშვებულ ნაწარმზე აკეთებდა წარწერას „თბილისი და მისი მიდამოები გორამდე ქართველების არ არისო“. ეს ხალიჩები ასეთი წარწერებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ვრცელდებოდა (ალექსანდრე სიგუა ‘’მკვლელობა ბერიას კაბინეტში ‘’ თბ 1992).

ბერიამ არ დაუშვა დღევანდელი მეცნიერებათა აკადემიის შენობის პროექტის თაობაზე კონკურსის წარმართვა, სანამ მასში მონაწილეობა არ მიღეს ქართველმა ინჟინრებმა.

კავკასიის დაცვა. უდაოდ დიდია მეორე მსოფლიო ომის დროს ბერიას როლი კავკასიის დაცვის საქმეში. ამის შესახებ ჩვენ არ შევუდგებით საუბარს, ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე საკმაოზე დიდი ინფორმაცია და ლიტერატურა არსებობს. დავსძენთ მხოლოდ ერთს - პირველად მაყუჩიანი იარაღი სწორედ კავკასიაში, კავკასიის დაცვისას გამოყენებულ იქნა ბერიას ბრძანებით (რ. ჩილაჩავა ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს, თბ., 2014). პარალელურად ბერია ზრუნავდა საქართველოს უნიკალური ბუნების დაცვაზე. 1942 წლის კავკასიის დაცვის დროს რუსი სამხედროები მოითხოვდნენ საომარი მიწათხრილების გასამაგრებლად ბიჭვინთის ფიჭვის მოჭრას, რომელიც უნიკალურია და ერთადერთია მთელს მსოფლიოში. ბერიამ, რომელიც მოვლენილი იყო კავკასიის და, აქედან გამომდინარე, საქართველოს დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ დახვრეტით დაემუქრა, თუ ასეთ რაიმეს ჩაიდენდნენ. უფრო მეტიც, მისი ზეგავლენით საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ხე-ტყის უკანონო ჭრის შესახებ.“(კ. ჩარკვიანი. ნახული და ნააზრევი. წიგნი 1 თბ., 1985).

ბერიას როლი უდაოდ დიდია საყაენოს ცენტრში ჩატარებულ 4 დიდ ღონისძიებაში სადაც მსოფლიოს მაშტაბით წარმოჩინდა მრავალ საუკუნოვანი ქართული კულტურა ესენია: 1. საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის I ყრილობა (1934 წელი); 2. ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში (1937წ); 3. ზეიმობანი შოთა რუსათაველის „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავის გამო; 4. ილია ჭავჭავაძის დაბდებიდან 100 წლისთავი (1937 წ). საქართველო ამ ღონისძიებების შედეგად მასშტაბურად უნდა გაეცნო მსოფლიოს და ამ ღონისძიებათა შემდეგ კიდევაც გაიცნო. ამ საქმეთა ორგანიზების მაღალ დონეზე მომზადებაში უდაოდ დიდი როლი მიუძღვის ბერიას. აქვე დავამატებთ, რომ ის დაინტერესებული იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმით და არსებობს საფუძვლიანი ვერსია იმისა, რომ მან ფიზიკური სიკვდილი დაუჩქარა ილია

ჭავჭავაძის მკვლელობის იდეურ ხელმძღვანელს (ფილიპე მახარაძეს), ხოლო მკვლელი, რომელმაც პირადად ესროლა ილიას (გიგლა ბერბიჭაშვილი) და ამისათვის ბერიას პენსიის დანიშვნას სთხოვდა, ჩატარებული სასამართლო პროცესის შემდეგ დახვრიტეს.

განძის საკითხი. უმნიშვნელოვანესია ბერიას წვლილი ქართული განძის დაბრუნების საქმეში, რომელსაც დარაჯად ედგა დიდი ქართველი, აწ უკვე წმინდანად შერაცხული ექვთიმე თაყაიშვილი. როგორც უკანასკნელი გამოკვლევებიდან ირკვევა, ბერია განძის გარშემო არსებულ ინფორმაციას ზედმიწევნით ფლობდა და, უფრო მეტიც, აკონტროლებდა იქ არსებულ ვითარებას. (იხ. გ. სულაძე, ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები, თბ., 2009; ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაწერები, ტომი 1, თბ., 1968, სადაც დაწვრილებითაა ნათქვამი თუ როგორ ეხმარებოდა ბ-ნ ექვთიმეს საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელი ბოგომოლოვი. გვ 406-413).

ტაძრების საკითხი. ბერიამ მოხერხებულად გამოიყენა ცენტრის არსებული პოლიტიკა საკულტო ნაგებობების მიმართ და ამ საბაბით დაანგრია რუსული სამხედრო ტაძრის უზარმაზარი შენობა, რომელიც იდგა დღევანდელი პარლამენტის ადგილას და რომელიც წარმოადგენდა ცარიზმის და რუსეთის იმპერიის მარადიული ბატონობის სიმბოლოს და სიმაღლით კავკასიაში ყველაზე მაღალი იყო.

მსურს, თქვენი ყურადღება გავამახვილო მეტეხის ტაძრის საკითხზე. გავრცელებულია მცდარი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბერიას სურდა მეტეხის ეკლესიის დანგრევა. ამ ამბის თვითმხილველი, ცნობილი რეპრესირებული მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე სიგუა წერს: „ქართველი საზოგადო მოღვაწეები: პავლე ინგოროყვა, დიმიტრი შევარდნაძე, ირეოდიონ სონღულაშვილი, შალვა დადიანი, ნიკოლო მიწიშვილი, ალექსანდრე აბაშელი მივიდნენ ბერიასთან და

სთხოვეს მას, რომ არ დაენგრიათ მეტეხის ეკლესია. სანაცვლოდ ბერიამ აუდიენციიის მონაწილეებს ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გადასცა იმის შესახებ, რომ ეკლესიას ინარჩუნებდნენ და საჭირო იყო მისი კაპიტალური შეკეთება ანუ რესტავრაცია. რაც მართლა ისე მოხდა, რომ დაანგრიეს მეტეხის ციხე და გამოაჩინეს მთელი თავისი დიდებულებით მეტეხის დიდებული ტაძარი. მე ყოველივე ამის ცოცხალი მოწმე ვარ და ახლა, როცა ამ ამბიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მიკვირსს როგორ დაიკარგა სიმართლე, როგორ თავხედურად წერენ ჟურნალ-გაზეთებში მავანნი და მავანნი მეცნიერთაგან და მწერალთაგან სიცრუეს, სიყალბეს, თითქოს ციხის დანგრევასთან ერთად ბერიას უნდოდა ეკლესიის დანგრევაც და ეკლესია მხოლოდ მწერალთა და მეცნიერთა მეცადინეობამ და მათმა დაჟინებულმა მოთხოვნამ გადარჩინაო“ - წერს ალექსანდრე სიგუა.(ა. სიგუა. მკვლელობა ბერიას კაბინეტში. თბ., 1992 გვ15)

ქართველების მიმართ დამოკიდებულება. ბერიას სადაც კი შეეძლო ხელმძღვანელ თანამდებობებზე აწინაურებდა ქართველებს. ასე, მაგალითად, ბერიას ერთ-ერთ მთავარ ბრალდებად წაუყენეს, რომ ის „იმპერიაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე აწინაურებდა ქართველებს“ (რ. მედვედევი. ნიკიტა ხრუშჩოვი. მოსკოვი 1990. რუსულ ენაზე, გვ 66). იმ რუსებს კი, რომლებმაც ქართული არ იცოდნენ, საქართველოში ქართული ენის შესწავლის კურსები გაუხსნა. იგივე ალექსანდრე სიგუას გადმოცემით, ბერია ამბობდა: „საქართველოში რუსული ენის კი არა ქართული ენის მცოდნენი უნდა მუშაობდნენო.“ ეს იმ დროს გმირობის ტოლფასი იყო.

ბერია წინააღმდეგი იყო და ყოველნაირად აფერხებდა სხვა ეროვნების პირების მიერ საქართველოში გვარების გადაკეთების გამიზნულ პროცესს. სუდოპლატოვი, რომელსაც ვერ დავწამებთ ბერიასადმი ლოიალობას, წერს: „ბერია ყოველნაირად იცავდა ეროვნული ტრადიციების განვითარებას, კულტურისა

და ენის დარგში განზრახული ქონდა საქმის წარმოება რესპუბ-ლიკებში ყოფილიყო ეროვნულ ენებზე. ასევე ემხრობოდა ერო-ვნული არმიების შექმნას („ნეზავისიმაი გაზეტა“ 03-04-1993).

განათლება. ბერიას დროს საქართველოში მოხდა წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია. უფრო მეტიც, საქართველომ უმაღლესდამთვრებულთა მხრივ ერთ სულ მო-სახლეზე გაანგარიშებით გაუსწრო გერმანიასა და საფრან-გეთს. დაარსდა სხვადასხვა ინსტიტუტები. 1936 წელს კავ-კასიათმცოდნეობის ინსტიტუტი გადაკეთდა ენის ისტორისაა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტად, შემდეგში ივანე ჯავახიშვილის სახელობის ეთნოლოგიისა და ისტორის ინსტი-ტუტად, რომელიც ამჟამად დანგრეულია. 1932 წელს მთა ყა-ნობელზე მისი მეცადინეობით დაარსდა ევროპაში პირველი სა-მთო ასტროფიზიკური ობსერვატორია. 1933 წელს შეიქმნა პე-დაგოგიკის სამეცნიერო კვლევის ინსტიტუტი, ხოლო 1935 წე-ლს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, რომლის ბაზაზეც 1941 წელს დაარსდა ქართული მეცნიერების მწვერვალი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

სპორტი. ბერია დიდ ყურადღებას აქცევდა სპორტს საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველი სკოლა თბილისში დაარსდა. არაფერს ვამბობთ ბერიას მიერ თბილისის დინამოს საფეხბურთო გუნდის გვერდში დგომასა და 1937 წელს თბილისში ლეგენდარული ესპანელი ფეხბურთელების ჩამოყ-ვანაზე საასპარეზოდ. 1936 წელს თბილისში დაარსდა ფიზიკური კულტურის პირველი ტექნიკუმი.

რეპრესიები. რაც შეეხება ყველაზე მტკივნეულ თემას, როგორიც არის რეპრესიების საკითხი ჩვენ ვერავითარ შემ-თხვევაში ვერავითარ გამამართლებელ საბუთს ვერ მოვიტანთ იმ საშინელების მიმართ რომელიც იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში და, მათ შორის, საქართველოში მძვინვარებდა. რა თქმა უნდა, ბერია დანიშნული მსახური იყო იმ უბედურებისა, რომელიც ცენტრიდან მოდიოდა და რომლის შემოქმედი იყო

პარტია და ხელისუფლება სტალინის მეთაურობით. ამიტომაც, ვფიქრობთ, ვინც არ უნდა ყოფილიყო საქართველოს დანიშნული ხელმძღვანელი, იმ დროს ვერ აცდებოდა იმ მოვალეობებს, რომელსაც კრემლი ავალებდა. სტალინისეული საბჭოთა სისტემა ითხოვდა მსხვერპლს და მიმდინარეობდა მსხვერპლთშეწირვის გამაოგნებელი პროცესი. მაგრამ ამ პროცესშიც კეთდებოდა ქართული ეროვნული საქმეები. ბერიას ურთულესი პიროვნების შესახებ მოწმობს ის ფაქტიც, რომ სტალინის გარდაცვალების შემდეგ პირველი ვინც გააკრიტიკა საბჭოთა სისტემა, იყო ბერია. შესავალ სიტყვაში ჩვენ მოგახსენეთ სრულიად საიდუმლო ბრძანების შესახებ, რომლის შედეგადაც 30-იანი წლების ბოლოს შეწყდა რეპრესიები. აღნიშნული ბრძანებით შეწყდა რეპრესიები მთელს საბჭოთა კავშირში. ეს ამტკიცებს იმას, რომ, როდესაც ლავრენტი ბერიას შეეძლო გავლენა მოეხდინა სახელმწიფოს და, ამ შემთხვევაში, რეპრესიების პოლიტიკაზე, მან იგი შეწყვიტა. ბერიას თაოსნობით ამავე პერიოდში შემსუბუქდა დამოკიდებულება პატიმრების მიმართაც. მწერალი ალ. სიგუა, რომელიც თავად იყო რეპრესირებული, წერს: „როდესაც ბერია შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშნეს, მე მაშინ სასჯელს ვიხდიდი, როგორც პოლიტპატიმარი კრასნაოიარსკის ბანაკში. წლების განმავლობაში ჩვენ ცემენტის იატაკზე ვიწექით, როგორც კი ბერია მოვიდა შინსახკომში, დაგვირიგეს ლეიბები და საბნები, ცემენტის იატაკიდან ხის საწოლებზე გადაგვიყვანეს“.

თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო კიდევ ერთ ბრძანებაზე. ეს არის 1953 წლის 14 აპრილს ბერიას მიერ ხელმოწერილი ბრძანება №0068, რომელიც ითვალისწინებდა პატიმრის მიმართ რაიმე ფიზიკური ზემოქმედების და იძულების გამოყენების აკრძალვას! მიაქციეთ ყურადღება: სტალინის გარდაცვალებიდან 1 თვის თავზე ბერია იღებს ბრძანებას და კრძალავს პატიმართა მიმართ ძალადობას.

ბატონებო და ქალბატონებო, წარსული ცხოვრების ლაბირინთები, ბევრ საიდუმლოს ინახავს ამიტომ ვფიქრობთ ისტორიული პროცესების ცალმხრივი და არა კომპლექსური განხილვა ბევრ სასიკეთოს არაფერს მოგვიტანს.

დასასრულს გვსურს ბატონებო მოგახსენოთ, რომ ჩვენ არავის გათეთრებას და საბჭოთა სისტემიდან არავის თეთრ ყვავად წარმოჩენას არ ვაპირებთ. საბჭოთა ყიამეთში ვერ იქნებოდა ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც არიდებული იქნებოდა იმ ცოდვებს, რომლებიც იმ საცოდვეთში სინამდვილეში ტრიალებდა. ჩვენი სურვილი იყო გვეჩვენებინა, როგორც დასაწყისში ვთქვით, ავ-კარგიანობა იმ ისტორიული პიროვნებისა, რომელსაც იმ ავიანობის დროებაში მოუწია დიდ სამოხელეო თანამდებობაზე ყოფნა. ძველი რომაელები ამობდნენ: სიკეთე არ იმალება. თუმცა ავ-კარგიანობამაც უნდა აწონ-დაწონოს ერთმანეთი პოლიტიკური სამსჯავროს წმიდათაწმინდა პინაზე, მაგრამ ამას სჭირდება უტყუარი და გაუყალბებელი დოკუმენტების გამომზეურება, რომლებიც აგერ უკვე 66 წელია ჩაკეტილია საარქივო ლაბირინთებში და ელის დღის სინათლეს. ჩვენი ღრმა რწმენით დროს ვერავინ შეაჩერებს და მოვა დრო, როდესაც იმ დროის უტყუარი დოკუმენტებით დატვირთული ისტორიის ურემი ისტორიის სამსჯავროზე მიიტანს მას.

11. ბრალდების მხარის რეპლიკა

ვალერი ბიტარიშვილი, მარიამ ფაღავა - ქალბატონებო და ბატონებო ახლა დროა რეპლიკის სახით შევაჯამოთ წარმოდგენილი ბრალდებები და ფაქტები, რომლებიც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს კონკრეტულ პოლიტიკურ შეცდომასთან, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ქვეყნის ბედზე და ხალხის სიცოცხლეზე, ჩვენს მიერ მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. მივედით დასკვნამდე, რომ ბერიას საქციელს არ აქვს გამართლება, მისი თითოეული ქმედება

მიმართული იყო საკუთარი და პარტიის ინტერესების დასაცავად და მისთვის საქართველო არ წარმოადგენდა პრიორიტეტს, მან ჩვენი ქვეყანა გაიმეტა 70 წლიანი მონობისათვის. იყო საქართველოში მასობრივი დახვრეტებისა და გადასახლებების ინიციატორი, ხოლო მის მიერ გატარებული რეფორმები საქართველოში იყო არაფერი გარდა რბილი ძალისა რომლის მიზანიც იყო ქართველი ხალხის სულის განადგურება და მათში დამოუკიდებლობის სურვილის ჩაკვლა. დღეს კი თქვენი გადასაწყვეტია ბატონო მსაჯულებო, რა უფრო მნიშვნელოვანია, ადამიანის სიცოცხლე და თავისუფლება თუ ლამაზი შენობები და გზები, რომლებსაც ეს სისხლიანი რეჟიმი საკუთარი ნამდვილი სახის დასამალად იყენებდა.

12. დაცვის მხარის რეპლიკა

პეტრე გელაშვილი - ქალბატონებო და ბატონებო ახლა რეპლიკის დროა, შესაბამისად შეგვიძლია გადავიდეთ საბოლოო შეჯამებაზე და ვნახოთ რა ხდებოდა პროცესის განმავლობაში. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ დღეს ბერიას პოლიტიკა გვქონდა სამსჯავროზე გამოტანილი. წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებებით ჩემი გუნდი ''ისტორიის მეოხი'', შეეცადა ყველა ის ეჭვი გაეფანტა, რომელიც ბრალდების მხარემ დასაწყისში წამოაყენა. ვაჩვენეთ ის დოკუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც ვცდილობდით დაგვემტკიცებინა ის, რომ ბერიას სახელმწიფო ინტერესები ამოძრავებდა. მართალია ეს ის პერიოდია, როდესაც რეპრესიები მძვინვარებს და უამრავი პრობლემაა საქართველოში, თუმცა ჩვენ ვამტკიცებთ, რომ იგი არ იყო ორგანიზატორი ამ რეპრესიებისა. ის იყო სისტემის შვილი და მისი ძალაუფლებიდან გამომდინარე ცდილობდა ამ სისტემის წინააღმდეგ წასულიყო და ამის არაერთი მაგალითი მოვიყვანეთ. რთულია იმ პერიოდით იამაყო, მაგრამ ავთან ერთად ძალიან ბევრი კარგი გაკეთდა მისი მოღვაწეობითა და პოლიტიკით. ამიტომაც ჩვენ ვთვლით, რომ

როცა ბერიას პოლიტიკას განვიხილავთ, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ის უნდა განვიხილოთ დროსა და სივრცეში.

13. ბრალდების მხარის მტკიცებულებები, შეკერილი საქმეები (ფოტოასლები)

1. ბოლშევიკების თვალით დანახული საქართველოს ოკუპაცია (1921)“. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი.

2. საბჭოთა საქართველოს გასაიდუმლოებული ისტორია, უშიშროების არქივი, შსს-ის არქივის სპეციალური გამოცემა.

3. ქართველი პროლეტარები ბოლშევიკური იმპერიალიზმის წინააღმდეგ, 1921 წ.

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომის ოქმები.

5. „საქართველოს მოამბე“. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ჟურნალი.

6. ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში. ორტომეული, ქართულ-გერმანული ერთობლივი კვლევითი პროექტი.

7. საქართველოს ოკუპაცია, ბოლშევიკური ინტერპრეტაციები (1921). თავმოყრილია შსს არქივში დაცული საქართველოს გასაბჭოების ამსახველი დოკუმენტური მასალა. ჭარმოდგენილია ძველი რევოლუციონერების, რუსი სამხედრო მოსამსახურეების მოგონებებისა და ჩანაწერების სახით არის.

8. დიდი ტერორი აფხაზეთში (აფხაზეთის ასსრ, 1937-1938, გამოიცა ქართულ-აფხაზური დელეგაციების სამუშაო შეხვედრის შედეგად. 2015 წ.

9. თულნი. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი.

10. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. http://archive.mia.gov.ge/



ვახტანგ კოტეტიშვილს
1938 წელს სასჯელის უმაღლესი
ზომა დახვრეტა მიესაჯა.



Сов. Секретно

5/XII

ПРОТОКОЛ № 97

Заседания тройки при Народном Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР

от 7. X 1937 г.

Председатель тройки НКВД Грузинской ССР

Члены Прокурор по спецделам

Секретарь

Слушали:	Постановили:
Дело 5 Отдела УГБ НКВД ГССР за № 9195 по обв. МАЗНИЕВА Георгия Ивановича, 1872г., ур. г. Тбилиси, Грузия, гр-на СССР, происходит из б. дворян, семейного, б. генерала царской и меньшевистской армии, со средним образованием, дважды судимого.	МАЗНИЕВА Георгия Ивановича
Обвиняется в том, что принимал активное участие в подавлении большевистских выступлений в 1918г. после оккупации вел к-р ра-боту в груз. войсковых частях. В 1922-23г. принимал участие в подготовке к-р восстания в т.н. "военном центре".	Расстрелять
В 1923г. выехав заграницу, свя-зался с б. меньш. правительством в лице Н. Жордания и др. и принимал участие в подготовке "меньшевис-тской авантюры" в 1924г.	Имущ. конфиск. лично ему принад.
В 1925г. выехав в СССР получил задание для проведения подготовки восстания в Грузии. Был тесно свя-зан с членами к-р военной, шпионской, террористической организации П. Джапаридзе и Г. Цухарели.	
Докладчик - Коналев.	
Председатель Тройки:	
Члены:	
Секретарь:	

„მე არც მენშევიკების გენერალი ვარ და არც ბოლშევიკებისა, მე ვარ საქართველოს გენერალი!„

- ეს სიტყვები საქართველოს კიდევ ერთ ღირსეულ შვილს, გიორგი მაზნიაშვილს ეკუთვნის."

გიორგი მაზნიაშვილი და მისი ვაჟი ივანე დააპატიმრეს და დახვრიტეს.



Сов. Секретно

ПРОТОКОЛ № 64

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР

от 13. Декабря 1937 г.

Председатель тройки НКВД Грузинской ССР

Члены Прокурор по спецделам

Секретарь

Слушали:	Постановили:
Следдело № 10017, 4-го отдела УГБ НКВД ГССР обвиняемых ТАВАДЗЕ Тариэла Кутиановича, 1870 года рождения, б/п., из духовного звания, с высшим образованием, поэт, член президиума Союза сов. писателей Грузии.	ТАВАДЗЕ Тариэла Кутиановича
Обвиняется по ст.58/6,58/7 58/11 УК ГССР.-	Расстрелять
1) Являлся активным членом меньшевист. контрреволюционной организации в Грузии.	Имущество конфиск. лично ему принад.
2) Проводил предательскую работу в области литературы и искусства.	
3) Вел шпионско-диверсионную работу в пользу французской разведки.	
Признался частично. Изобличается показаниями арестованных Р. Ц. Ц. Ц



ПРОТОКОЛ № 45

Сов. Секретно

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР

от 13. 11. 1937 г.

Председатель тройки НКВД Грузинской ССР

Члены

Прокурор по спецделам

Секретарь

Слушали: | Постановили:

Дело № 9283 4 Отдела УГБ НКВД ГССР по обвинению ДЕЗДАРИАНИ Сеида Сардионовича 1875 г.рождения, из б/дворян, меньшевика с 1903 г. ж Контрреволюционерской деятельности.

Обвиняется в том, что в 1933 году вошел в состав подпольного центра к-р меньшевистской, террористической, диверсионно-вредительской и шпионской организации и принимал активное участие во всей контрреволюционной работе этой организации, ставящей своей целью свержение Советской власти.

/Докладчик - МАЦИШВИЛИ/

Пред ТРОЙКИ:

Члены:

ДЕЗДАРИАНИ Сеид Сардионович

Расстрелять

Имущ. конф. личн. собств.

Члены

Секретарь

Сов. Секретно



ПРОТОКОЛ № 85

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР

от 3 марта 1938 г.

Председатель тройки НКВД Грузинской ССР

Члены

Прокурор по спецделам

Секретарь

Слушали: | Постановили:

След.дело № 9422 Четвертого Отдела УГБ НКВД Грузинской ССР по обвинению -

ЧИЧИНАДЗЕ Хатуна Семеновича,

1902 г.рождения, урож. г.Кутаиси, грузина, из дворян, гр-на СССР, б/партийного ареста - домохозяйка, ранее артистка театра им. Мацишвили.

Материалами следствия изобличена в том, что являлась членом одного из руководителей к-р центра правых в Грузии - КИКОДЗЕ, по заданию последнего сколотила боевую террористическую группу подготавливая теракт против секретаря ЦК КП(б) Грузии тов. БЕРИИ.-

Виновной себя признала.-

(Докладчик тов. ГАРИПОВ)

ЧИЧИНАДЗЕ Хатуна Семеновну

Расстрелять

Имущество принадлежащее лично-ему конфисковать.

ПРЕД ТРОЙКИ:-

ЧЛЕНЫ:-

СЕКРЕТАРЬ:

4/АМ.

სეით დევდარიანი **1937** წელს დააპატიმრეს და სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯეს.

საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული სამეულის **1938** წლის **3** მარტის დადგენილების საფუძველზე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ხათუნა ჭიჭინაძე დახვრიტეს.



Сов. Секретно

ПРОТОКОЛ №

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР

от «22» 11 1937 г.

Председатель тройки НКВД Грузинской ССР

Члены

Прокурор по совместам

Секретарь

Слушали:	Постановили:
Сл.дело Онийского РО НКВД ГССР Л-26118 по обвинению	
МЕТРЕВЕЛИ Михаила Петровича, 1863 года рождения, урож.сел.Эдеча Онского района, гр.СССР, о/обвинение семейный Грузин, 1937 году за нелегальную кормежку детей бы отдан подсуду и содержек к I году принуд работы с поражение права на 6 лет.	МЕТРЕВЕЛИ Михаил Петрович 1863 года рождения.
Обвиняется в том, что:	
Систематически ведет нелегальное кормление детей, уговаривает крестьян верит бога, ведет агитацию против колхозного строительства.	
ДОКЛАДЧИК НАЧ ОНИЙСКОГО РО НКВД ГССР ЛЕЙТЕНАНТ ГБ/КВАНТАЛИАНИ/	
	ПРЕДСЕДАТЕЛЬ:
ЧЛЕНЫ:	
	СЕКРЕТАРЬ:

მიხეილ მეტრეველი ბავშვების ფარულად მონათვლის გამო დაიჭირეს, მიუსაჯეს ერთი წელი იძულებითი მუშაობა და 6 წლით ჩამოართვეს ხმის მიცემის უფლება. როგორც ჩანს, მოძღვარმა საკუთარ მრწამსს მაინც ვერ უღალატა და კვლავ განაგრძო თავისი მოვალეობის შესრულება, რის გამოც საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულმა სამეულმა 1937 წლის 22 დეკემბერს 74 წლის მოხუცს მეორედ უკვე 10 წლით გადასახლება მიუსაჯა შრომა-გასწორებით ბანაკში.

СТРОГО СЕКРЕТНО

ПОДЛЕЖИТ ВОЗВРАТУ В 48 ЧАС.

ШИФРОВКА

1.IV.

МОСКВА, ЦК ВКП(б) СТАЛИНУ.

НКВД Грузии арестовано членов нелегальных организаций меньшевиков, кулаков, контрреволюционеров, попадавшихся на показаниях до двух тысяч человек.

Прошу разрешить военной коллегии НКВД Грузии рассмотреть следственные дела по первой категории на 1.000 человек и по второй категории на 500 человек.

ЕЖОВ.

ИЗВЛЕЧЕНИЕ ИЗ ИНСТРУКЦИИ

ДЕПЕША, რომელიც ცხადყოფს ბერიას მიმართვას სტალინისადმი, რომ გაიზარდოს რეპრესირებულ და დასახვრეტ ადამიანთა ლიმიტი.



Секретно.

ЦК ВКП(б) - товарищу СТАЛИНУ

За последний год органами НКВД Грузии арестовано свыше 12.000 чел.

До настоящего времени из числа арестованных осуждено:

Тройкой	- 5.236 чел.
Военной Коллегией Верхсуда СССР	- 910 "
Особым Совещанием при НКВД СССР	- 801 "
Спец.Коллегией Верхсуда ГрузССР	- 458 "
Военными Трибуналами	- 99 "
Народными Судами	- 70 "

Всего, из общего числа арестованных осуждено 7.674 чел.

В итоге в тюрьмах НКВД ГрузССР в данное время содержится свыше 5 тысяч подследственных, из числа которых в Тбилиси содержится более 2 тысяч заключенных.

Создается ряд ненормальностей в условиях содержания заключенных, а именно:

1. Загруженность помещений способствующая нарушению правил изоляции проходящих по одним и тем же делам арестованных;

2. Невозможность надлежащего контроля за поведением заключенных, что способствует разного рода провокационным тенденциям с их стороны (зафиксированы попытки сговориться об отказе от ранее данных показаний в к-р. деятельности; установлен ряд случаев, когда осуж-

ბერიას პატაკი სტალინს.
ის ამცნობს გადასახლებულ
და დახვრეტილ პირთა შესახებ.

14. დაცვის მხარის მტკიცებულებები

1. გურული ვახტანგ. მეფე-მამა. თბილისი, გამომც, არტანუჯი", 2014.

2. ჩილაჩავა რაულ. ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს. თბილისი, არტანუჯი, 2012.

3. საქართველოს პრეზიდენტის არქივი. ფ. 14. აღწ. 17. ს.18.

4.ნათმელაძე მაყვალა. დემოგრაფიული პროცესები საქართველოში XX საუკუნის 40-იან წლებში (თურქებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების გასახლებანი საქართველოდან 1941-1951 წწ.), თბილისი, მეცნიერება, 1993.

5. გაზეთი სახალხო განათლება, 1989 წ. 19 ივნისი.

6. თოთაძე ანზორ. საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე. თბილისი, 1999.

7. ჯაოშვილი ვახტანგ. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX ს-ში. თბილისი 1984.

8. გურული ვახტანგ, კვარაცხელია მაკა. ქლუხორი და ახალხევი. თბ., გამომც. „ქართული უნივერსიტეტი“, 2015.

9. მაშაშვილი ალიო, ქორქია როდიონ. ქლუხორი. თბ., 1945.

10. კვერენჩხილაძე რევაზ. წამების გზა. დახვრეტა, გადასახლება, დევნა. რეპრესირებული მწერლები. წიგნი 1, თბილისი, მერანი, 1999.

11. კვერენჩხილაძე რევაზ. წამების გზა. დახვრეტა, გადასახლება, დევნა. რეპრესირებული მწერლები. წიგნი 2, თბილისი, მერანი, 2005.

12. ჩარკვიანი კანდიდ. განცდილი და ნააზრევი. წიგნი პირველი. თბილისი 1985.

13. სულაძე გელა. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომ-ცემლობა, 2012.

14. კრემლიოვი სერგეი. ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი, ტომი 1, თბილისი, 1914.

15. კრემლიოვი სერგეი. ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი, ტომი 2, თბილისი, 1914.

16. კრემლიოვი სერგეი. ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი, ტომი 3, თბილისი, 1914.

17. კრემლიოვი სერგეი. ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი, ტომი 4, თბილისი, 1914.

18. ბერია სერგო. მამაჩემი ლავრენტი ბერია. ტომი I. თბილისი, 1992.

19. ბერია სერგო. მამაჩემი ლავრენტი ბერია. ტომი II. თბილისი, 1992

20. კოჟორიძე დავით. სამცხე-ჯავახეთი წარსული და თანა-მედროვეობა. თბ., გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1987.

21. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VIII, თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1980.

22. სონღულაშვილი ავთანდილ. საქართველოს პოლიტიკური პორტრეტი. თბილისი, 2004.

23. მჭედლური დავით. ლავრენტი ბერიას მთავარი დანაშაული. თბილისი, გამომც. „გულანი“,1992.

24. წერეთელი მიხაკო. ერი და კაცობრიობა. თბილისი, „თბილისის უნ-ტის გამომც. 1990.

25. კუჭავა მიტროფანე. ლავრენტი ბერიას და მის თანამზრახველთა სასამართლო პროცესი. სასამართლოს წევრის დღიურიდან. თბილისი, არტანუჯი, 2012.

26. ბერიას სასამართლო პროცესი (სუკის საარქივო დოკუმენტური მასალებიდან, თბ. მოდერნისტი, საარქივო ფონდი, ფ.101.417/3.

27. ჟურნალი „ბოლშევიკი“ N1, 1946.

28. კოდუა ი. საბჭოთა საქართველოს სოციალისტური. ინდუსტრიალიზაცია.თბილისი, სახელგამი, 1950.

29. სამუშია ჯაბა. საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი 1945-1953 წლებში. ჟურნალი „ისტორიანი“, N 9, თბ. 2011.

30. ზუგდიდი, წარსული და თანამედროვეობა. თბილისი, გამომც. „ივერიონი“, 2015.

31. თაყაიშვილი ექვთიმე. რჩეული ნაწერები, ტომი I, თბილისი, 1968.

32. ჩილაჩავა რაულ. ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს... თბილისი, გამომც. „არტანუჯი“, 2013.

33. Александров А.П. Как делали бомбу. Известия. 1988, 28 июля.

34. Берия С.Л. Мой отец-Лаврентий Берия. М.: Современник, 1994.

35. Васильева Л. Н. Кремлевские жены. Издательство: Вагриус, Вышэйшая школа. 1993.

36. Жуков Ю.Н. Борьба за власть в руководстве СССР в 1945-1952 гг. Журнал "Вопросы истории", №1, 1995, с. 23-39.

37. Зенькович Н. Тайны уходящего века-2. Сенсанции. Анти-сенсации.Суперсенсации. Москва, Олма-Пресс, 1998.

38. Лакоба Станислав. Абхазия после двух империй. XIX-XXI вв. Очерки. (Славяно-евразийские исследования. Вып. 2). Москва, 2004.

39. Лесков С. Лаврентий Берия сумел бы добиваться эконо-мического процветания страны. Известия. 1993, 29 января.

40. Вестник Архива Президента Россійскои федерациий, N1, 1995.

41. Медведев Рой, Медведев Жорес. Сталин и атомная бомба. «Права человека», 2001, 353 с.

42. Медведев Р. А. Н. С. Хрущёв: политическая биография. Москва, 1990.

43. Мухин Ю.И. Катынский детектив. Москва, 1995.

44. Сивачёв Н.В. Языков В.Ф. Новейшая история США (1917—1972). Москва, Изд-во МГУ, 1972.

45. Хрущёв Никита. Время. Люди. Власть. (Воспоминания). Книга I, Москва, ИИК "Московские Новости", 1999.

46. 20 Лет Аджарскои Асср. 1941.

15. მენტორების სიტყვა გუნდების დასახასიათებლად

ბრალდების მხარის (გუნდი VENI, VIDI, VICI) მენტორი, პროფესორი გიორგი ჩხიკვიშვილი: პროექტის ფარგლებში პირველი გუნდი, ვისთანაც ერთადაც მომიწია მუშაობა, იყო

გუნდი VENI, VIDI, VICI. იგი გამოირჩეოდა იმით, რომ დაახლოებითი პარიტეტით იყვნენ წარმოდგენილნი, როგორც სამართლის, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტები; გუნდი შვიდივე წევრი თანაბრად იყო ჩართული მუშაობის პროცესში, რაც გამოიხატა ყოველკვირეულ შეხვედრებზე მათ მიერ დამუშავებული წყაროების (მათ შორის მუშაობით საარქივო მასალებთან როგორც შსს-ს, ასევე სახელმწიფო არქივში) მოცულობით, მომზადებული შესავალით, ჯვარედინი კითხვებითა თუ დასკვნითი სიტყვით. გუნდის წევრებს შორის როლებიც, მათი ძლიერი უნარ-ჩვევების მიხედვით იყო გადანაწილებული. მიმაჩნია, რომ გუნდმა შეიძინა მთელი რიგი უნარ-ჩვევების, რასაც ისახავს კიდეც პროექტი მიზნად და წარმატებით გაართვა თავი დასახულ ამოცანას.

დაცვის მხარის (გუნდის „ისტორიის მეოხი“) მენტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე: გუნდი „ისტორიის მეოხი“ მუშაობდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მათ დაამუშავეს ძალიან დიდი რაოდენობის ლიტერატურა ლავრენტი ბერიას გარშემო. აღარ ჩამოვთვლი გუნდმა ნაფიც მსაჯულებს ჩამოურიგა საქაღალდე სადაც დამუშავებული ლიტერატურის ნუსხაც არის წარმოდგენილი. სტუდენტები ამუშავებდნენ და იწერდნენ მნიშვნელოვან მასალებს წყაროებიდან, შემდეგ იკრიბებოდნენ და უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს. ერთმანეთის მოსაზრებების მიმართ იყვნენ კრიტიკულად განწყობილნი. შემდეგ მენტორთან ერთად განიხილავდნენ დამუშავებულ მასალებს და აყალიბებდნენ გუნდის საერთო პოზიციას ლავრენტი ბერიას პოლიტიკის დაცვის გასამყარებლად.

16. ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის) ვერდიქტი

1. **ბრალდების მხარის**, გუნდ VENI,VIDI,VICI-ის სარჩელი **არ იქნას** დაკმაყოფილებული.

2. **დაცვის მხარემ**, გუნდმა ,,ისტორიის მეოხი“ უკეთ შეძლო გაცხადებული პოზიციის არგუმენტირებული დასაბუთება.

3. გუნდი ,,ისტორიის მეოხი“ ცხადდება გამარჯვებულად ხმათა 5/4 თანაფარდობით.

იმიტირებული სამსჯავროს სხდომა გამოაცხადდა დახურულად 25.01.2019. 15:0010.

17. დანართი

1) პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე“ დებულება

პოლიტიკისმცოდნეობის მულტი და ინტერდისციპლინური სასწავლო-სამეცნიერო პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე“ (შესაბამისობა ეროვნულ ინტერესებთან)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

წინათქმა

საწავლო პროცესში არსებული მოძველებული ფორმები და მეთოდები სათანადოდ ვეღარ უბამს მხარს ინფორმაციულ ეპოქას, რომელიც თანდათან ამკვიდრებს წინა ეპოქებისგან სრულიად განსხვავებული სწავლების, ცხოვრებისა და საქმიანობის წესს. ამან განაპირობა ახალი იდეის ფონზე ორიგინალური და აქტუალური პროექტის შექმნა: 1. მოიძებნა სტუდენტებისა და უფროსკლასელების დაინტერესებისა და მათი სასწავლო და სამეცნიერო პროცესში აქტიურად და ხალისით ჩაბმის სრულიად ახლებური და ეფექტური ფორმა; 2. განხორციელდა სრულიად ახლებურად სასწავლო-სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის პროცესში პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, სამართლის და სხვ. სპეციალობების სინთეზი და უნივერსალიზაცია, ჰარმონიული კვეთა და ურთიერთშევსება; 3. დაინერგა სწავლების სხვადასხვა საფეხურის (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტურანტურის), სხვადასხვა სპეციალობების (სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ა.შ.) და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და სკოლების უფროსკლასელთა გუნდურად ერთობლივი მუშაობის პრაქტიკა.

პროექტში ჩართული უფროსკლასელებისა და სტუდენტების მიერ შეძენილი მრავალმხრივი ცოდნისა და უნარების სრულყოფილად შეფასებისათვის გამოყენებულია სრულიად ახალი შინაარსისა და დატვირთვის მქონე იმიტირებული სამსჯავრო (სასამართლო პროცესი), რითაც მოიძებნა გამოცდის ჩაბარებისა და მისი შეფასების თვალსაჩინო და ეფექტური ფორმა. ეს კი იძლევა საშუალებას უფროსკლასელებმა (სტუდენტებმა) ცოდნა და უნარები გამომაჟღავნონ საინტერესოდ, მრავალმხრივად და მრავალასპექტში, ასევე, განუვითაროს მათ სასწავლო, კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები (წყაროების მოძიების, ანალიზის, სასამართლო პროცესში მონაწილეობის, საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნების, ქცევისა და ურთიერთობის ეთიკის, გუნდური მუშაობის და სხვ.), ამასთანავე, კვალიფიციურმა საგამოცდო კოლეგიამაც სრულყოფილად შეძლოს მისი შეფასება.

პროექტი ძირითადად აქცენტირებულია ცნობილი პოლიტიკური ფიგურების (პოლიტიკური პარტიების) გატარებული პოლიტიკის ეროვნულ ინტერესებთან შესაბამისობის პრობლემის შესწავლისა და კვლევის საკითხებზე. იგი ყურადღებას უთმობს სტუდენტებსა და უფროსკლასელებში პოლიტიკური და სამართლებრივი კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის ხედვის, ემპირიული პოლიტიკური სიტუაციის კრიტიკული ანალიზის, პოლიტიკის სტრუქტურულ-ფუნქციური არსის გაცნობიერების, საქართველოს სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, სტრატეგიულად მარადიული ღირებულებების ფორმირების პოლიტიკური და სამართლებრივი კანონზომიერებების ცოდნის, ეროვნული ინტერესების კრიტერიუმების არგუმენტირების უნარის განვითარებასა და შეძენას. პროექტი მაღალი მულტი და ინტერდისციპლინურობით ხასიათდება და პოლიტიკის მეცნიერებებთან ერთად შეიძლება მოიცავდეს სამართალმცოდნეობას, ისტორიას, ეკონომიკას, ფილოსოფიას, სოციოლოგიას, დემოგრაფიას, კულტუროლოგიას, ინფორმატიკას და სხვ.

პროექტი, მისი მიზნები და ამოცანები სრულიად აპოლიტიკურია და გამორიცხავს მიმდინარე პოლიტიკურ-პარტიულ პროცესებთან პიროვნული თუ ორგანიზაციული სახით რაიმე შეხებას.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე“ (შემდგომში - „პროექტი“) წარმოადგენს მულტი და ინტერდისციპლინურ სასწავლო-სამეცნიერო და თეორიულ-პრაქტიკულ ღონისძიებათა ციკლს, რომელიც ხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) მიერ.

1.2 პროექტის ხელმძღვანელია პროექტის ავტორი, უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის (შემდგომში - „ფაკულტეტი“) პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი ჰენრი კუპრაშვილი.

პროექტის ხელმძღვანელი:

- ახორციელებს პროექტის სხვადასხვა ფორმატის სტუდენტებისათვის (საფაკულტეტო, უნივერსიტეტშორისი, ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი ფორმატი) და უფროსი კლასელებისათვის (სასკოლო ფორმატი) დაგეგმვა-კოორდინაციას და ორგანიზაციას;

- უზრუნველყოფს პროექტის მულტი და ინტერდისციპლინურ სამეცნიერო თეორიულ-პრაქტიკულ ღონისძიებათა სამუშაო პროცესის გაუმჯობესების, შინაარსის, მეთოდებისა და საშუალებების დახვეწის, საკოორდინაციო, საკომუნიკაციო და თანამშრომლობის ფორმატის განვითარებას;

- ორგანიზებას უკეთებს პროექტის ეგიდით დაგეგმილ ღონისძიებებს და უშუალოდ მონაწილეობს ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების, პოლიტიკური პარტიების,[1] მენტორების შერჩევის, სხვადასხვა საფეხურისა და სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებით, სასკოლო ფორმატში კი სხვადასხვა სკოლისა და უფროსი კლასის მოსწავლეებით გუნდების შექმნის, მათი კონსულტირების, ტრენინგების პროცესში;

- ხელმძღვანელობს და ახორციელებს მენტორებთან და სტუდენტებთან ერთად პოლიტიკური მოვლენის მყარი რაოდენობრივი მახასიათებელის, თვისობრივ ცვლილებებზე რაოდენობრივ მახასიათებელთა კავშირის დადგენის, პოლიტიკური

[1] პოლიტიკური პარტიების 1995 წლამდე საქმიანობა.

მოვლენის პარამეტრიზაციის, პარამეტრის მნიშვნელობის, პოლიტიკის ხარისხის, ქვეყნის ეროვნული ინტერესების განსაზღვრის არგუმენტირებული კრიტერიუმების და პარამეტრების, მათი მნიშვნელობის, ზღვრულობის პროცენტული გამოსახულების, წონადობის დადგენის კვლევით პროცესებს.

- ფაკულტეტზე მრავალმხრივად განვითარებული, კონკურენტუნარიანი, მაღალი დონის სპეციალისტის მომზადების ხელშეწყობის მიზნით წარმართავს პროექტით გათვალისწინებული სხვადასხვა სამეცნიერო კვლევის სპეციალობების თეორიულ-პრაქტიკული სინთეზისა და უნივერსალიზაციის პროცესს, მასში სტუდენტების ჩართვასა და მათში სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას.

- წარმართავს სხვა ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც დაკავშირებული იქნება პროექტით დასახული ამოცანების შესრულებასთან.

პროექტის თანახელმძღვანელია ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია:

- წარმართავს პროექტის ხელმძღვანელთან ერთად სამმართველო-საკოორდინაციო და საორგანიზაციო სახის საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია პროექტით დასახული ამოცანების შესრულებასთან.

პროექტის მენეჯერ-კოორდინატორია ნინო ოდიშელიძე:

- ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს ყველა ფორმატის (ქართული, უცხოენოვანი, უნივერსიტეტშორისი, რეგიონალური, სასკოლო და სხვ.) კოორდინატორებს, მათთან ერთად დაგეგმილი იმიტირებული სასამართლო პროცესების ჩატარების ორგანიზებას, აწარმოებს შესაბამის საკომუნიკაციო და საკორესპონდენციო საქმიანობას;

- უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტის მიერ იმიტირებული სასამართლო პროცესის ჩატარების დადგენილი შინაგანაწესის დაცვასა და შესრულებას, დარბაზის მომზადებას და სხვ.;

- ახორციელებს კოორდინატორებთან და გუნდის კაპიტ-ნებთან ერთად სტუდენტების (სკოლის მოსწავლეების) შეკ-რების, მათთან გასაუბრების, მენტორებთან შეხვედრის, კენ-ჭისყრის მომზადება-ჩატარების ორგანიზებას.

- ახორციელებს სარეგისტრაციო გვერდის მართვას, საორგანიზაციო კომიტეტისთვის პროექტში რეგისტრირებულ მონაწილეობის მსურველთა შესახებ ინფორმაციის მიწოდებას (რამდენი სტუდენტი ან უფროსკლასელი დარეგისტრირდა, კურსი, სპეციალობა და სხვ.);

- პროექტის ხელმძღვანელობის დავალებით წარმართავს ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც დაკავშირებული იქნება პროექტით დასახული ამოცანების შესრულებასთან.

პროექტის სტუდენტური ქართული, უცხოენოვანი, უნივერსიტეტშორისი და რეგიონალური სასკოლო ფორმატის კურატორი:

- ხელმძღვანელობს თავის საკურაციო მიმართულებას და პასუხს აგებს მის გამართულ მუშაობაზე;

- საკურაციო ფორმატის ფარგლებში მენეჯერ-კოორ-დინატორთან შეთანხმებით აწყობს სტუდენტებთან (სკოლის მოსწავლეებთან) გასაუბრების, მენტორებთან შეხვედრის, კენ-ჭისყრის მომზადება-ჩატარების ორგანიზებას.

- პროექტის ხელმძღვანელობის დავალებით წარმართავს ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც დაკავშირებული იქნება საკურაციო მიმართულებით დასახული ამოცანების შესრულებასთან.

1.3 პროექტის განხორციელებისათვის იქმნება საორგანი-ზაციო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი. საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობასა და წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანი.

1.4 პროექტის არსი არის სასწავლო-სამეცნიერო კვლევი-თი პროცესის სრულყოფის მიზნით, სტუდენტების (უფროს-

კლასელების) მიერ ცნობილი პოლიტიკური პირების ან პოლიტიკური პარტიების მიერ განხორციელებული პოლიტიკის შესწავლა, ანალიზი ქვეყნის ეროვნულ და სახელმწიფო ინტერესებთან მიმართებაში და იმიტირებულ სამსჯავროზე გამოტანა, სადაც იმიტირებული სასამართლო პროცესი გამოყენებულია, როგორც სტუდენტების (მოსწავლეების) მიერ შეძენილი ცოდნის გადმოცემის საშუალება.

1.5 პროექტის მიზნებია:

ა) სტუდენტებმა (უფროსკლასელებმა) გამოიკვლიონ და გაანალიზონ თუ რამდენად შეესაბამებოდა ცნობილი პოლიტიკური პირების (პოლიტიკური პარტიების) გატარებული პოლიტიკა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, ხოლო შედეგების განსჯა მოახდინონ იმიტირებულ სამსჯავროზე, რომელზედაც კვალიფიციური საგამოცდო კოლეგია (ნაფიცი მსაჯულნი) შეაფასებს მათ მიერ შეძენილ ცოდნასა და უნარებს;

ბ) სამართალის (042), პოლიტიკის (0312.1.1), საერთაშორისო ურთიერთობების (0312.1.2), უშიშროების (0312.2.2), ისტორიის (0222.1.1), ინფორმატიკის (0613.1.1) და სხვ. სამეცნიერო კვლევის სპეციალობების თეორიულ-პრაქტიკული სინთეზისა და უნივერსალიზაციის შედეგად მრავალმხრივად განვითარებული, კონკურენტუნარიანი, მაღალი დონის სპეციალისტის მომზადებაში ხელშეწყობა;

გ) სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის სამეცნიერო კვლევისა და სასამართლო პროცესებზე მონაწილეობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;

დ) სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებს შორის თანამშრომლობის და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;

ე) სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის თანამშრომლობისა და მეგობრული გარემოს შექმნა;

ვ) სასკოლო ფორმატში კი უფროსკლასელებისათვის სამეცნიერო კვლევისა და სასამართლო პროცესებზე მონაწილეობის, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და მათ შორის თანამშრომლობის და გუნდური მუშაობის უნარჩვევების ჩამოყალიბება, თანამშრომლობისა და მეგობრული გარემოს შექმნა;

ზ) საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

მუხლი 2. გუნდების შემადგენლობა.

2.1 საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დადგენილი წესით იქმნება 8 გუნდი (გამონაკლისის სახით შეიძლება შეიქმნას ნაკლები ან მეტი რაოდენობის) სტუდენტების (სასკოლო ფორმატში კი უფროსკლასელების) შემადგენლობით.

2.2 ყოველ გუნდს აქვს საკუთარი სახელი, საკუთარი ლოგო და სხვა განმასხვავებელი ნიშნები, ასევე ირჩევს გუნდის კაპიტანს. გუნდის კაპიტანი: ორგანიზებას უწევს გუნდის შეკრებას, ახდენს გუნდისა და მენტორების ურთიერთობის კორდიანციას. უზრუნველყოფს გუნდის სამუშაო პროცესის ფოტო-ვიდეო გადაღებას, სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ დოკუმენტური მასალის მენეჯერ-კორდინატორისათვის გადაცემას.

2.3 თითოეული გუნდი შედგება თანაბარი რაოდენობის წევრებისგან, მაგრამ არანაკლებ 5 და არაუმეტეს 11 წევრისაგან (გამონაკლისის სახით შეიძლება მეტიც).

2.4 გუნდები დაკომპლექტებული უნდა იყოს უნივერსიტეტის, ხოლო საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით ასევე სხვა უმაღლესი სასწავლებლების (მათ შორის, უცხოეთის) სტუდენტებისაგან იმგვარად, რომ თითოეული გუნდის შემადგენლობაში სასურველია იყვნენ სხვადასხვა საფეხურისა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და სხვადასხვა სპეციალობის (სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების, აგრეთვე შესაძლებელია ინფორმატიკის, ეკონომიკის, ჟურნალისტიკისა და სხვა) სტუდენტები. სასკოლო

ფორმატში - გუნდები დაკომპლექტებული უნდა იყოს საშუალო სკოლების უფროსკლასელებით.

2.5 თითოეულ გუნდს ჰყავს არანაკლებ 2 მენტორი: ერთი სამართლის პროფესორი და მეორე - პოლიტიკის მეცნიერებების და საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი. საჭიროების შემთხვევაში გუნდს შესაძლებელია ჰყავდეს სხვა სპეციალობის მენტორებიც ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით. სასკოლო ფორმატში, შეიძლება ჰყავდეთ სკოლის მასწავლებლი და სტუდენტი (პოლიტსამსჯავროელი), რომელსაც აქვს მიღებული პროექტ „პოლიტიკა სამსჯავროს“ სერთიფიკატი.

2.6 როგორც წესი, მენტორები არიან უნივერსიტეტის ლექტორები. ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მენტორად მოწვეული იქნეს პირი, რომელიც არ არის უნივერსიტეტის ლექტორი.

2.7 თითოეული გუნდისათვის მენტორები არ არიან მუდმივი და ისინი შეიძლება პერიოდულად შეიცვალონ ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით.

მუხლი 3. ეროვნული ინტერესები, პოლიტიკური პირები და პოლიტიკური პარტიები

3.1 საქართველოს ეროვნული ინტერესებია: სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა; ეროვნული და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფა; სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა; ეროვნული და კულტურული თვითმყოფობის უზრუნველყოფა; დემოგრაფიული უშიშროების უზრუნველყოფა; ეროვნული ერთიანობის უზრუნველყოფა

3.2 პოლიტიკური პირები და პოლიტიკური პარტიები არიან ის ადამიანები და პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა მიერ გატარებული პოლიტიკის განსჯაც უნდა მოხდეს.

3.3 საორგანიზაციო კომიტეტი განსაზღვრავს პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის ვინაობას.

3.4 პოლიტიკური პირები და პოლიტიკური პარტიები უნდა იყვნენ ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები, პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა პოლიტიკამაც არსებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ისტორიაზე.[2]

3.5 არ არის სასურველი შეირჩეს ცოცხალი პოლიტიკური პირები და მოცემულ მომენტში ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური პარტიები.

მუხლი 4. ტურები და წილისყრები

4.1 პროექტი ხორციელდება ოლიმპიური სისტემით რამდენიმე ტურად.

---

[2] მაგალითად, **ქართველი პოლიტიკური ფიგურებიდან**: აიეტი - ფარტაზი, ბაგრატ III, ბაგრატ V, ალექსანდრე ბატონიშვილი, ლავრენტი ბერია, გიორგი I, გიორგი III, გიორგი IV ლაშა, გიორგი VII, გიორგი VIII, გიორგი XII, ზვიად გამსახურდია, ლევან II დადიანი, დავით VI ნარინი, დავით VII ულუ, ერეკლე II, ვახტანგ გორგასალი, ვახტანგ VI, თამარ მეფე, თეიმურაზ I, კირიონ I კათალიკოსი, ლუარსაბ II, გიორგი მთაწმინდელი, ვასილ მჟავანაძე, რუსუდანი, სულხან-საბა ორბელიანი, ვარქსენ პიტიახში, ნოე ჟორდანია, გიორგი სააკაძე, სოლომონ II, სტალინი, ედუარდ შევარდნაძე და სხვ.
პოლიტიკური პარტიებიდან: საქართველოს კომუნისტური პარტია, მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ), ქარტია-91, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოს სახალხო ფრონტი, საქართველოს მწვანეთა პარტია, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, დემოკრატიული აღორძინების კავშირი და სხვ., ასევე, **ისტორიული პარტიები**: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია და სხვ.
უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან ერთად ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის შეიძლება შეირჩეს ლოიდ ჯორჯი, სტალინი (როგორც მსოფლიო პოლიტიკოსი) და სხვ. რუსულენოვანი სტუდენტებისათვის - პეტრე I, ეკატერინე II, ალექსანდრე I (რუსეთის იმპერატორები), სტალინი (საბჭოთა პოლიტიკოსი) და სხვ.

4.2 პირველ ტურში გუნდები წყვილდებიან, ხოლო წყვილში გამარჯვებული გუნდი გადადის მეორე ტურში. მეორე ტურის შედეგად გამოვლენილი გუნდები გადადიან შემდეგ ტურში. ფინალურ ტურში კი გამოვლინდება გამარჯვებული გუნდი.

4.3 საორგანიზაციო კომიტეტი განსაზღვრავს ისტორიულ პირებს ან პოლიტიკურ პარტიებს ყოველი ტურისათვის.

4.4 სეზონის წინ იმართება წილისყრები საორგანიზაციო კომიტეტის მიერ განსაზღვრული წესით.

4.5 წილისყრების შედეგად უნდა განისაზღვროს:

ა) ერთმანეთის მეტოქე გუნდები;

ბ) ამ გუნდების პოზიცია: რომელ მხარეს წარმოადგენენ ისინი - დაცვას თუ ბრალდებას;

გ) რომელი კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის მიერ წარმოებული პოლიტიკის დაცვა ან ბრალდება უნდა მოახდინონ ერთმანეთის მეტოქე გუნდებმა.

4.6 წილისყრა შეძლებისდაგვარად ისე უნდა განხორციელდეს, რომ ერთ გუნდს მუდმივად ერთი და იგივე პოზიცია (დაცვა ან ბრალდება) არ შეხვდეს. ყოველ მომდევნო ტურში გადასული გუნდების პოზიციების დამთხვევის შემთხვევაში ტარდება წილისყრა.

4.7 პოლიტიკური ფიგურისადმი სტუდენტისა (უფროსკლასელისა) და მენტორის პირადი სიმპათია-ანტიპათია არ გაითვალისწინება. პოლიტიკოსის (პოლიტიკური პარტიის) მიერ წარმოებული პოლიტიკის დაცვისა თუ ბრალდების საკითხს წყვეტს კენჭისყრა.

მუხლი 5. გუნდების მზადება და მენტორების ფუნქციები

5.1 წილისყრიდან იმიტირებული პროცესის გამართვამდე უნდა გავიდეს არანაკლებ 3 კვირა, რა ვადაშიც გუნდები ემზადებიან.

5.2 გუნდებს წაეკითხებათ ლექციები თემებზე: პოლიტიკა და სისტემური მართვა, პოლიტიკა და ეროვნული უშიშროება,

პოლიტიკა და სტრატეგია. მენტორების, მოქმედი პროკურორებისა და ადვოკატების მიერ ჩაუტარდებათ მასტერკლასები: თანამშრომლობის და გუნდური მუშაობის, სასამართლო პროცესებზე მონაწილეობის უნარ-ჩვევების შესახებ და სხვ.

5.3 მენტორების მოვალეობაა მოამზადონ გუნდები.

5.4 არაიურისტი მენტორი გუნდს აძლევს მიმართულებას, უთითებს სამეცნიერო წყაროებს და გუნდის წევრებს განუსაზღვრავს მეთოდიკას და საკვლევ მასალას.

5.5 იურისტი მენტორის ძირითადი ფუნქციაა გუნდს ასწავლოს პროცესზე გამოსვლის ხელოვნება, პროცესის თანმიმდევრობა, მტკიცებულებების წარმოდგენის სპეციფიკა, აგრეთვე არაიურისტ მენტორთან შეთანხმებით განსაზღვროს, გუნდის თუ რომელი წევრები გამოვლენ პროცესზე სიტყვით და რა თანმიმდევრობით.

5.6 საჭიროების შემთხვევაში, მენტორები გუნდს უტარებენ ტრენინგს თავიანთი მიმართულებით.

5.7 გუნდები უნდა ეცადონ კონკრეტული პოლიტიკური ფიგურისა და პოლიტიკური პარტიის პოლიტიკის შესახებ მიიღონ მაქსიმალური ინფორმაცია.

მუხლი 6. იმიტირებული პროცესი

6.1 პროცესის დროს სხდომის თავმჯდომარე ხსნის სხდომას, აცხადებს თუ რომელი პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის წარმოებული პოლიტიკა იხილება და სიტყვას აძლევს ბრალდების მხარეს შესავალი სიტყვისთვის (რეგლამენტი 10-15 წუთი).

6.2 ბრალდების მხარის შემდეგ შესავალ სიტყვას ამბობს დაცვის მხარე.

6.3 შესავალი სიტყვის შემდეგ მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს დაუსვან კითხვები. კითხვებს ჯერ სვამს ბრალდების მხარე, რასაც პასუხს სცემს დაცვის მხარე. ბრალდების მხარის შეკითხვების ამოწურვის შემდეგ კითხვებს სვამს დაცვის მხარე, რაზეც პასუხს სცემს ბრალდების მხარე.

6.4 სხდომის თავმჯდომარეს და ნაფიც მსაჯულს (საგამოცდო კოლეგიის წევრს) შეუძლიათ დაუსვან კითხვა მხარეებს.

6.5 არსებობის შემთხვევაში მხარეები წარმოადგენენ ექსპერტსა და მოწმეს (2-3 წუთი).

6.6 კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ ბრალდების მხარე ამბობს დასკვნით სიტყვას (5-10 წუთი), რის შემდეგაც იგივეს აკეთებს დაცვის მხარე.

6.7 დასკვნითი სიტყვის შემდეგ მხარეებს იგივე თანმიმდევრობით აქვთ არაუმეტეს ერთწუთიანი რეპლიკის უფლება.

6.8 რეპლიკის შემდეგ მხოლოდ გუნდების დასახასიათებლად ეძლევათ სიტყვა მენტორებს (2 წთ.).

6.9 ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (საგამოცდო კოლეგია) გადაწყვეტილების გამოსატანად გადის სათათბირო ოთახში.

მუხლი 7. ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (საგამოცდო კოლეგია), მისი შემადგენლობა და გადაწყვეტილების მიღების წესი.

7.1 ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (საგამოცდო კოლეგია) შედგება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 11 წევრისაგან.

7.2 ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის (საგამოცდო კოლეგიის) შემადგენლობა უნდა იყოს კენტი.

7.3 ნაფიცი მსაჯულები შეიძლება იყვნენ როგორც უნივერსიტეტის ლექტორები (გამონაკლისის სახით დასაშვებია სტუდენტებიც), ისე მოწვეული პირები, მათ შორის, სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილების მქონე პირები, ასევე, საპარლამენტო ლეგიტიმაციის მქონე და სხვა კვალიფიკაციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

7.4 ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის წევრთა) და თავმჯდომარის შერჩევას ახორციელებს საორგანიზაციო კომიტეტი.

7.5 საორგანიზაციო კომიტეტი ასევე ირჩევს სათადარიგო ნაფიცი მსაჯულებს, რომელიც ჩაენაცვლება გამოუცხადებელ ნაფიც მსაჯულს.

7.6 ყოველი იმიტირებული პროცესისთვის შეიძლება განახლდეს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა.

7.7 ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის (საგამოცდო კოლეგიის) მთავარი დანიშნულებაა მონაწილეობა მიიღოს პროცესის მსვლელობაში და გამოიტანოს გადაწყვეტილება.

7.8 ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (საგამოცდო კოლეგია) გადაწყვეტილებას იღებს ობიექტურად, მხოლოდ პროცესის მსვლელობის შედეგად მიღებული ინფორმაციისა და გუნდების მომზადების შესაბამისად. ნაფიც მსაჯულის გადაწყვეტილებაზე გავლენა არ უნდა მოახდინოს კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის მიმართ მისმა წინასწარმა დამოკიდებულებამ.

7.9 გადაწყვეტილების მიღებისას ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ (საგამოცდო კოლეგიამ) უნდა გაითვალისწინოს თუ გუნდმა რამდენად დამაჯერებლად წარმოაჩინა კრიტერიუმები:

ა) კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობა ქვეყანაზე აისახა დადებითად თუ უარყოფითად და რაში გამოიხატა ეს?

ბ) კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობის შედეგად შეიცვალა თუ არა და როგორ ქვეყნის საზღვრები, სუვერენიტეტის ხარისხი, ეროვნული თვითმყოფადობა, დემოგრაფია, ეკონომიკა, მართვის სისტემა, პოლიტიკური რეჟიმი, ადამიანის უფლებები, კრიმინალური ვითარება, იდეოლოგია, რელიგია, განათლების სისტემა, კულტურა, ხელოვნება და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პარამეტრები?

გ) კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობით გამოწვეული ცვლილება რითი იყო ნაკარნახევი (პატრიოტიზმით, სხვისი დაცვის საბაბით, რელიგიური რწმენით, პარტიული მიზნებით, მსოფლმხედველობით, პირადი ამბიციით, მომხვეჭელობით, ნეპოტიზმით, უცოდინრობით თუ სხვა)?

დ) მეტოქე გუნდებს შორის რომელმა შეძლო უკეთ შეესწავლა, გაეანალიზებინა და სათანადო მტკიცე არგუმენტაციით უკეთ დაეცვა თავისი პოზიცია?

7.10 ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (საგამოცდო კოლეგია) გუნდების შეფასებისას ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებსაც: შესავალი სიტყვა, მხარეთა კითხვა-პასუხი, დასკვნითი სიტყვა, რეპლიკა, გუნდურობა, კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევები: ანალიზი, წყაროების მოძიება (არქივები, დოკუმენტები, ლიტერატურა...), ექსპერტის გამოყენების ეფექტურობა, მოწმეთა (არსებობის შემთხვევაში) ჩვენება, სახელმწიფო და ეროვნული ინტერესების კრიტერიუმებისა და პარამეტრების მყარად არგუმენტირება, სასამართლო პროცესზე მონაწილეობის უნარ-ჩვევა, საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნება, ქცევისა და ურთიერთობის ეთიკა. დამატებით (არა აუცილებელი), გუნდმა თუ გამოავლინა და რამდენად: პოლიტიკური და სამართლებრივი კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის ხედვა; ემპირიული პოლიტიკური სიტუაციის კრიტიკული ანალიზი; პოლიტიკის სტრუქტურულ-ფუნქციური კანონზომიერებების ცოდნა; საქართველოს სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, სტრატეგიულად მარადიული ღირებულებების ფორმირების პოლიტიკური და სამართლებრივი კანონზომიერებების გაცნობიერება და სხვ.

7.11 სამსჯავროს ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის) მიერ არ ფასდება პოლიტიკოსი (პოლიტიკური პარტია) და მისი პოლიტიკა.

7.12 სამსჯავროს ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის) მიერ ფასდება მხოლოდ ბრალდების და დაცვის მხარეთა გუნდების (სტუდენტების, უფროსკლასელების): 1. გავლილი მასტერკლასების (ტრენინგების) ათვისების, კვლევითი მუშაობის, არქივებში, ბიბ-ლიოთეკებსა და სამეცნიერო კატალოგებში მოძიებული წყაროების (წერილობითი, ფოტო და ფონო დოკუმენტური...), სხვა მასალების, მტკიცებულებებისა

და სანდო ინფორმაციის ანალიზისა და გამოყენების უნარი; 2. სახელმწიფო (ეროვნული) ინტერესების კრიტერიუმებისა და პარამეტრების, ასევე საკუთარი პოზიციის მყარად არგუმენტირების უნარი; 3. მხარეთა პაექრობის, სასამართლო პროცესზე მონაწილეობის უნარ-ჩვევა, ასევე, საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნება; ქცევისა და ურთიერთობის ეთიკა; გუნდურობა და სხვ.

7.13 ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (საგამოცდო კოლეგია) გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით. ნაფიც მსაჯულს არ აქვს თავის შეკავების უფლება.

7.14 ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ (საგამოცდო კოლეგიამ) უნდა გამოავლინოს გამარჯვებული გუნდი, რომელმაც უკეთ შეძლო არგუმენტირებულად დაესაბუთებინა საკუთარი გაცხადებული პოზიცია (ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი), რომ კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის მიერ განხორციელებული პოლიტიკა:

ა) სრულად/ნაწილობრივ არ შეესაბამებოდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს;

ბ) სრულად/ნაწილობრივ შეესაბამებოდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

7.15 გადაწყვეტილების გამოცხადებისას ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ (საგამოცდო კოლეგიამ) უნდა განმარტოს თავისი გადაწყვეტილების მიზეზი.

მუხლი 8. სერთიფიკატი, სამკერდე ნიშანი, საპრიზო ადგილები და პრიზები

8.1 იმიტირებული სამსჯავროს ყველა მონაწილე სტუდენტს (სკოლის მოსწავლეს) გადაეცემა შესატყვისი ნუმერაციით, რექტორის, დეკანისა და პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერით, შემდეგი შინაარსის სერთიფიკატი: სწავლების სხვადასხვა საფეხურისა და სპეციალობების სტუდენტების ერთობლივი სასწავლო კურსი „პოლიტიკა სამსჯავროზე“ მოიცავს სამარ-

თლის, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობების თეორიულ-პრაქტიკული სინთეზის საფუძველზე, უნარ-ჩვევების (წყაროების მოძიება, ანალიზი, ეროვნული ინტერესების კრიტერიუმების არგუმენტირება, სასამართლო პროცესში მონაწილეობა, საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნება, ქცევისა და ურთიერთობის ეთიკა, გუნდურობა) განვითარებასა და ცნობილი პოლიტიკური ფიგურების (პოლიტიკური პარტიების) მიერ წარმოებული პოლიტიკის ეროვნულ ინტერესებთან შესაბამისობის სასწავლო-სამეცნიერო კვლევას და მისი შედეგების იმიტირებულ სამსჯავროზე შეჯამებას.

8.2 საპრიზო ადგილებს, პრიზების ოდენობასა და სახეობებს განსაზღვრავს საორგანიზაციო კომიტეტი.

8.3 გარდა გუნდური პრიზებისა შესაძლებელია დაწესდეს პერსონალური პრიზები ნომინაციებში: საუკეთესო ლიდერი, ორატორი, მენტორი და სხვ.

8.4 პერსონალურ პრიზიორებს გამოავლენს საორგანიზაციო კომიტეტი.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1 დებულება ძალაშია რექტორის მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

2) მეორე იმიტირებული სამსჯავროს სხდომის ოქმი

საქმე № 01ქ/002

სხდომის ჩატარების დრო და ადგილი:

ქ.თბილისი, სტუ, გ. ნიკოლაძის დარბაზი, 25.01.2019. 13:00

იმიტირებული სასამართლოს თავმჯდომარე ირაკლი გაბისონია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, პროექტის თანახელმძღვანელი;

მომხსენებელი ჰენრი კუპრაშვილი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი.

ნაფიცი მსაჯულები (საგამოცდო კოლეგია):

ირაკლი გაბისონია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, პროექტის თანახელმძღვანელი;

გიორგი ბარამიძე - პოლიტიკური გაერთიანება, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, საქართველოს ვიცე-პრემიერი 2006-2012 წლებში; საქართველოს პარლამენტის ხუთგზის (1992, 1995, 1999, 2003, 2012) წევრი; საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში (2004-2012); შინაგან საქმეთა მინისტრი (2003-2004); თავდაცვის მინისტრი (2004);

ჯემალ გახოკიძე - სტუ-ს სენატის თავმჯდომარე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი (1997-1998); ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე (1999-2004);

იგორ კვესელავა - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ირაკლი კიკნაველიძე - პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, პრესსპიკერი;

ჰენრი კუპრაშვილი - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი;

კობა ნარჩემაშვილი - საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება, სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი 2001 - 2003 წლებში;

დავით უსუფაშვილი - საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე (2012-2016); პოლიტიკური მოძრაობის „შენების მოძრაობა“ ლიდერი;

ივანე ჯაგოდნიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

სხდომის მდივანი:

ნინო ოდიშელიძე - პროექტის მენეჯერ-კორდინატორი

მანდატურები:

თემურ მგალობლიშვილი, ოთარ მგალობლიშვილი

მხარეები:

მოსარჩელე მხარე - გუნდი VENI,VIDI,VICI;

მოპასუხე მხარე - გუნდი ,,ისტორიის მეოხი“.

დავის საგანი: შეესაბამება თუ არა ლავრენტი ბერიას მიერ გატარებული პოლიტიკა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

სამსჯავროს სხდომის გახსნა: თავმჯდომარე ირაკლი გაბისონია

პროექტის ავტორის სიტყვა: ჰენრი კუპრაშვილი.

სხდომის მდივნის მოხსენება მხარეთა გამოცხადების შესახებ, სხდომის მდივანი: ნინო ოდიშელიძე

სხდომის დანართი:

ბრალდების მხარის შესავალი სიტყვა. (იხ., საქმეში დანართი 1); დაცვის მხარის შესავალი სიტყვა. (იხ., საქმეში დანართი 2); ბრალდების მხარის შეკითხვები და დაცვის მხარის პასუხები. (იხ., საქმეში დანართი 3); დაცვის მხარის შეკითხვები და ბრალდების მხარის პასუხები. (იხ., საქმეში დანართი 4); ნაფიც მსაჯულების (საგამოცდო კოლეგიის) შეკითხვები მხარეებს.

ბრალდების მხარის დასკვნით სიტყვა (იხ., საქმეში დანართი 5); დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვა (იხ., საქმეში დანართი 6); ბრალდების მხარის რეპლიკა (იხ., საქმეში დანართი 7); დავის მხარის რეპლიკა (იხ., საქმეში დანართი 8); ბრალდების მხარის მტკიცებულებები (იხ., საქმეში დანართი 9); დაცვის მხარის მტკიცებულებები (იხ., საქმეში დანართი 10);

ადგილიზე თათბირით მიღებული განჩინების გამოცხადება, თავმჯდომარე: ირაკლი გაბისონია: სამსჯავრომ შეაფასა პროექტის დებულების და შეფასების კრიტერიუმის საფუძველზე გუნდების მიერ გამოვლენილი ცოდნა, გავლილი მასტერკლასების (ტრენინგების) ათვისების, კვლევითი მუშაობის, არქივებში, ბიბლიოთეკებსა და სამეცნიერო კატალოგებში მოძიებული წყაროების (წერილობითი, ფოტო და ფონო დოკუმენტური...), სხვა მასალების, მტკიცებულებებისა და სანდო ინფორმაციის ანალიზისა და გამოყენების უნარი; სახელმწიფო (ეროვნული) ინტერესების კრიტერიუმებისა და პარამეტრების, ასევე საკუთარი პოზიციის მყარად არგუმენტირების უნარი; მხარეთა პაექრობის, სასამართლო პროცესზე მონაწილეობის უნარ-ჩვევა, ასევე, საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნება; ქცევისა და ურთიერთობის ეთიკა; გუნდურობა და პროექტის დებულებისა და დადგენილი კრიტერიმების საფუძველზე გამოიტანა გადაწყვეტილება.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის) ვერდიქტი

1. ბრალდების მხარის გუნდ VENI, VIDI, VICI-ის სარჩელი არ იქნას დაკმაყოფილებული.

2. დაცვის მხარემ, გუნდმა ,,ისტორიის მეოხი“ უკეთ შეძლო გაცხადებული პოზიციის არგუმენტირებული დასაბუთება.

3. გუნდი ,,ისტორიის მეოხი“ ცხადდება გამარჯვებულად ხმათა 5/4 შეფარდებით.

იმიტირებული სამსჯავროს სხდომა გამოაცხადდა დახურულად 25.01.2019. 16:00

თავმჯდომარე: ირაკლი გაბისონია
სხდომის მდივანი: ნინო ოდიშელიძე

3) შეფასების კრიტერიუმები

ბრალდების მხარის შეფასების კრიტერიუმი

ბრალდების მხარის შესავალი სიტყვა	1	2	3	4	5	
ბრალდების მხარის შეკითხვები	1	2	3	4	5	
ბრალდების მხარის პასუხები დაცვის მხარის შეკითხვებზე	1	2	3	4	5	
ბრალდების მხარის დასკვნითი სიტყვა	1	2	3	4	5	
ბრალდების მხარის რეპლიკა	1	2	3	4	5	
გუნდურობა	1	2	3	4	5	
კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევები: ანალიზი, წყაროების მოძიება (არქივები, დოკუმენტები, ლიტერატურა...)	1	2	3	4	5	
ექსპერტის გამოყენების ეფექტურობა	1	2	3	4	5	
მოწმეთა (არსებობის შემთხვევაში) ჩვენება	1	2	3	4	5	
სახელმწიფო და ეროვნული ინტერესების კრიტერიუმებისა და პარამეტრების მყარად არგუმენტირება	1	2	3	4	5	
სასამართლო პროცესზე მონაწილეობის უნარ-ჩვევა	1	2	3	4	5	
საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნება	1	2	3	4	5	
ქცევისა და ურთიერთობის ეთიკა	1	2	3	4	5	
დამატებით (არა აუცილებელი), გუნდმა თუ გამოავლინა და რამდენად: - პოლიტიკური და სამართლებრივი კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის ხედვა; - ემპირიული პოლიტიკური სიტუაციის კრიტიკული ანალიზი; - პოლიტიკის სტრუქტურულ-ფუნქციური კანონზომიერებების ცოდნა;	1 1 1	2 2 2	3 3 3	4 4 4	5 5 5	

- საქართველოს სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, სტრატეგიულად მარადიული ღირებულებების ფორმირების პოლიტიკური და სამართლებრივი კანონზომიერებების გაცნობიერება.	1	2	3	4	5	

დაცვის მხარის შეფასების კრიტერიუმი

დაცვის მხარის შესავალი სიტყვა	1	2	3	4	5	
დაცვის მხარის შეკითხვები	1	2	3	4	5	
დაცვის მხარის პასუხები ბრალდების მხარის შეკითხვებზე	1	2	3	4	5	
დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვა	1	2	3	4	5	
დაცვის მხარის რეპლიკა	1	2	3	4	5	
გუნდურობა	1	2	3	4	5	
კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევები: ანალიზი, წყაროების მოძიება (არქივები, დოკუმენტები, ლიტერატურა...)	1	2	3	4	5	
ექსპერტის გამოყენების ეფექტურობა	1	2	3	4	5	
მოწმეთა (არსებობის შემთხვევაში) ჩვენება	1	2	3	4	5	
სახელმწიფო და ეროვნული ინტერესების კრიტერიუმებისა და პარამეტრების მყარად არგუმენტირება	1	2	3	4	5	
სასამართლო პროცესზე მონაწილეობის უნარ-ჩვევა	1	2	3	4	5	
საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნება	1	2	3	4	5	
ქცევისა და ურთიერთობის ეთიკა	1	2	3	4	5	
დამატებით (არა აუცილებელი), გუნდმა თუ გამოავლინა და რამდენად: - პოლიტიკური და სამართლებრივი კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის ხედვა; - ემპირიული პოლიტიკური სიტუაციის კრიტიკული ანალიზი;	1 1	2 2	3 3	4 4	5 5	

- პოლიტიკის სტრუქტურულ-ფუნქციური კანონზომიერებების ცოდნა;	1 2 3 4 5	
- საქართველოს სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, სტრატეგიულად მარადიული ღირებულებების ფორმირების პოლიტიკური და სამართლებრივი კანონზომიერებების გაცნობიერება.	1 2 3 4 5	

4) პროექტის შესახებ საუბრობენ მეცნიერები, პოლიტიკოსები, სტუდენტები, მოსწავლეები... (ამონარიდები):

დოქტორი ელენა ესკრიჯ-კოსმაჩი - ფრენსის მარიონის უნივერსიტეტის პროფესორი (ქ. ფლორენსი, სამხრეთ კაროლინის შტატი, აშშ):

დოქტორ კუპრაშვილის პროექტი, ჩემი აზრით, არის უნიკალური, ეს პროექტი იძლევა სტუდენტებში ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარების შესაძლებლობას. ეს პროექტი არის დემოკრატიის შესანიშნავი სკოლა, რამდენადაც ამ პროექტში სტუდენტები მშვიდად გამოითქვამენ სხვადასხვა თვალსაზრისს, ისმენენ სრულიად განსხვავებულ მოსაზრებებს და ამრიგად იქმნება პრობლემის გადაჭრის ერთიანი სურათი. ბავშვები სწავლობენ კონსენსუსის კულტურას, რაც წარმოადგენს დემოკრატიის ძირითად ელემენტს. დოქტორ კუპრაშვილის პროექტმა დამაინტერესა იმითაც, რომ სტუდენტები სერიოზულად იკვლევენ პოლიტიკური ცხოვრების რთულ პერიოდებს, მათ შორის, საბჭოთა კავშირისას, სწავლობენ მის ნიუანსებს და ეს პროექტი იძლევა სტუდენტებში დემოკრატიული უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას. სიამოვნებით ვითანამშრომლებ ამ პროექტთან, მადლობელი ვარ მოწვევისათვის, გაცნობილი ადამიანებით. ამ პროექტმა საშუალება მომცა გამეცნო ქართველი სტუდენტები და ის ტოლერანტული ატმოსფერო, რომელიც სუფევდა აქ.

დოქტორი ელიკო წიკლაური-ლამიხი - ფრაიბურგის მაქს პლანკის სახელობის მსოფლიო და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, კრიმინოლოგიური კვლევების სექტორის კოორდინატორი დსთ-ის ქვეყნებსა და საქართველოში:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორის ჰენრი კუპრაშვილის ინიციატივითა და დეკანის, პროფესორ ირაკლი გაბისონიას მხარდაჭერით საფუძველი ჩაეყარა ძალიან მნიშვნელოვან პედაგოგიურ/აღმზრდელობითი და სოციოპოლიტიკურ პროექტს. მიხარია, რომ აქტიურად ვარ ჩართული და მივესალმები მის გაფართოებასა და გაგრძელებას. პროექტს მრავალ ასპექტიანი საგანმანათლებლო ფუნქცია აქვს და გამიზნულია ბავშვებსა და მოზარდებში კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის. გარდა ამისა, ახალგაზრდა თაობა დაიწყებს უფრო შინაარსიანად და დოკუმენტალურად ქვეყნის წარსულის პოლიტიკური და სოციო-ეკონომიური პროცესების მთლიანობაში შესწავლას და დააკვირდება საქართველოში ქვეყნის აღმშენებლობის კომპლექსური განვითარების სირთულეებს. მჯერა, რომ ეს პროექტი ძალიან სასარგებლო იქნება ახალი თაობის პოლიტიკოსების, იურისტების და საერთოდ ახლებურად მოაზროვნე თაობის აღზრდისათვის. ჯირადად მე, როგორც მაქს პლანკის მსოფლიო და საერთაშორისო სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან პარტნიორული ურთიერთობის ხელმძღვანელს და მოწვეულ პროფესორს, მაქვს პატივი აქტიურად ჩავება ამ პროექტში. რამეთუ ჩვენ ინსტიტუტში გვაქვს ამგვარი სამეცნიერო/პოლიტიკური კვლევების დიდი გამოცდილება. გერმანიაში მაქს პლანკის მსოფლიო და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტში 15 წლის წინათ დავიწყეთ კვლევები რომელიც 25 ქვეყანას მოიცავს და მთელ მსოფლიოში, ევროპა, სამხრეთი ამერიკა, აფრიკა აზია

და აშ. სადაც ვიკვლევდით დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის და დემიკრატიის განვითარების პრობლემებს გასულ მეოცე საუკუნეში. დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც წარსულის შეცდომები არ იქნა შესწავლილი და გაანალიზებული/სამართლებრივადაც. ადამიანის უფლებებისა და სხვადასხვა სახელმწიფოებრივი სტრუქტურული დანაშაულებს კვლავ აქვს ადგილი. პროექტი უდავოდ დაეხმარება პოლიტიკური პროცესების როგორც წარსულში ასევე თანამედროვე პირობებში ანალიტიკურ გააზრებას.

დავით აქუბარდია - ტელეკომპანიის „კავკასია“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი:

მიწვეული ვიყავი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ იმიტირებულ სამსჯავროზე ნაფიც მსაჯულად. საოცრად საინტერესო დისკუსია შედგა, გამაოგნებელი. იყო დისკუსია, დებატები. განიხილებოდა საკითხი ერეკლე მეორეს პოლიტიკა რამდენად შეესაბამებოდა ქართველთა ეროვნულ ინტერესებს. ბრალდების მხარე, ასე ვთქვათ, ნეგატიურ პლანში აშუქებდა, ხაშურის 8-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები და მეფის პოლიტიკას იცავდნენ 51-ე სკოლის IX-ე კლასელები. სამი გოგო იყო გენიალური ამ 51 სკოლიდან. ასევე ხაშურლებმაც ისევე გამაკვირვეს. მაგ ასაკში ამდენი არ მქონდა წაკითხული. 2 საათი გრძელდებოდა პროცესი, ვფიქრობდი, ინატროს ნებისმიერმა ქვეყანამ ასეთი განათლებული ბავშვებითქო. დეტალურად აღწერეს ის ეპოქა, ორივე მხარემ გვიჩვენა კამათის მაღალი კულტურა... ეს არის ჩვენი მომავალი.

თეონა აქუბარდია - საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის დამფუძნებელი; ლონდონის სამეფო კოლეჯის (King’s College London) საერთაშორისო უშიშროებისა და სტრატეგიის მაგისტრი; ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე 2014-2018 წლებში:

ვთვლი, რომ უნიკალური პროექტია, იმ კუთხით, რომ ხდება განხილვა კონკრეტული პოლიტიკოსების, სახელმწიფო მოღვაწეების არა ისტორიული კონტექსტში, არამედ მათი ქმედებები, რამდენად იყო შესაბამისი ქვეყნის ეროვნულ ღირებულებებთან, ეროვნულ ინტერე-სებთან და რამდენად გამართლებული იყო მათი მოქმედებები სტრატეგიის კუთხით. ამიტომ, ამ ტიპის განხილვები ხელს უწყობს როგორც სტატეგიული აზრის და კრიტიკული აზრის ჩამოყალიბებას მსმენელებში, ასევე, როგორც ასეთი, უყალიბებს სწორ შეხედულებებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ქვეყნის ინტერესი, რა არის ქვეყნის ღირებულება და შესაბამისად მიმაჩნია, რომ ამ ტიპის პროექტი დადებით გავლენას იქონიებს მომავალში იმ კრიტიკული მასის ჩამოყალიბებაზე, რომელიც აუცილებელია ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის. ერთის მხრივ, აღნიშულ პროექტში სკოლის მოსწავლეების ჩართვა არის მნიშვნელოვანი იმ კუთხით, რომ ისინი ეცნობიან საქართველოს პოლიტიკის ისტორიას, სიღრმისეულად ახდენენ არა მხოლოდ ფაქტების შესწავლას, არამედ ანალიზის გზით გამოდიან და აფასებენ კონკრეტულ პოლიტიური პიროვნე-ბებს, ამიტომ როგორც სკოლის ასაკის, ასევე სტუდენტების ჩართვა ამ პროექტში კიდევ ერთხელ უზრუნველყოფს ქვეყა-ნაში ახალი პოლიტიკური კულტურის გაჩენას, რაც მდომა-რეობს იმაში, რომ კრიტიკული ანალიზის მეშვეობით შევაფა-სოთ ესეა თუ ის პიროვნება და სწორედ ამ ადამიანებს შემდგომში უკვე შეეძლებათ მომავალში ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში უკვე გააზრებულად ჩართვა იმისთვის, რომ რეალურად მოხდეს ქმედებების და ინტერესების ერთმანე-თთან დაკავშირება და რეალურად მოხდეს ანალიზი იმისა, თუ როგორ უნდა განავითაროს საქართველომ თავისი ინტერესები გრძევადიან კონტექსტში. ვფიქრობ, რომ იმ პროცესში რომ-ლის მონაწილეც მე გახლდით საკმაოდ მაღალი სტანდარტი

იყო, როგორც მასალებთან მუშაობის, ასევე წყაროების გამოყენების. დებატების კულტურა, რასაც მე ვუყურებ საკმაოდ იხვეწება და მთავარი აქ არ არის ვინ გაიმარჯვებს, არამედ პროცესში მონაწილეობაა მთავარი და ამ პროექტის მეშვეობით ძალიან ბევრს სწავლობენ მონაწილეები და საბოლოო ჯამში ის კონსესუსი, რაც არის აუცილებელი ქვეყანაში იყოს, სწორედ აქ ეყრება საფუძველი და ამიტომ მნიშვნელოვანი პროექტია მიმაჩნია და ვფიქრობ, რომ ამ პროექტის მეტად გაფართოება და მეტი საჯაროება იქნებოდა უპრიანი იმისთვის, რომ რეალურად პროექტის მიზნები შესრულდეს.

თათია პაჭკორია - გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორი, ჟურნალისტი:

„პოლიტიკა სამსჯავროზე'' არის უპრეცედენტო პროექტი ქართულ საუნივერსიტეტო ველში. დღეს, როდესაც პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერი შტო განციდის პროფესიონალი კადრების დეფიციტს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ეს პროქტი განსაკუთრებით ფასეული და მნიშვნელოვანია. აღასანიშნავია სტუდენტთა მოტივაცია და მომზადების დონე, ქარიზმა, ანალიტიკური აზროვნების უნარი და დებატების კულტურა, აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარი და არგუმენტაციით მსჯელობის ხელოვნება. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ ინფორმირებულ და განათლებულ ადამიანს შეუძლი. მჯერა, რომ ამ პროექტში მონაწილე ახალგაზრედების უმრავლესობა აქტიურ მონაწილეობას მიღებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და გააჯანსაღებს ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას. დამერწმუნებით, რომ მხოლოდ წარსული ისტორიული და პოლიტიკური პროცესების კარგად მცოდნე ადამიანებს შეუძლიათ მოვლენებს დაარქვან საკუთარი სახელი, მხოლოდ მათ აქვთ უნარი არ დაუშვან პოლიტიკურ აზროვნებაში რადიკალიზმი, ემოციური ეგზალტაცია, კორუფცია, დემაგოგია, ტოტალური პარტიკულარიზმი და

დაუტოვონ საკუთარ ქვეყანას სივრცე მანევრირებისათვის. პროექტში "პოლიტიკა სამსჯავროზე" მონაწილე ყველა სტუ-დენტი ფასდაუდებელ სკოლას გადის ზემოთ ჩამოთვლილი უნარების დაუფლებაში. მე საკუთარი თვალით მაქვს ნანახი ის პოლიტიკური ლიტერატურა, რომელსაც სტუდენტები ამუშა-ვებენ თითოეული პოლიტიკური ფიგურის და ეპოქის შეფასე-ბისას, იქნება ეს დაცვის თუ ბრალდების მხარე, მოსმენილი მაქვს იმ რუტინული სამუშაოს შესახებ, რასაც ეს სტუდენტები საკუთარ ლექტორებთან ერთად წარმოუდგენელი ნებისყოფით ეწევიან. ალბათ ამიტომ არის რომ მენტორებს და მსაჯულებს ყოველთვის უჭირთ გამარჯვებული გუნდის გამოვლენა. Мად-ლობა მინდა გადავუხადო ბატონ ჰენრი კუპრაშვილს, რომელ-მაც ჩვენს სინამდვილეში კიდევ ერთხელ გაუგზავნა მესიჯი საზოგადოებას და თუნდაც პოლიტიკურ სპექტრს, რომ პოლი-ტიკაში ინტელექტზე, ცოდნაზე, არგუმენტაციით მსჯელობა-ზე, ანალიზის უნარზე, წარსულის ცოდნაზე და პატიოსნებაზე ისევ არის მოთხოვნა, რომ ღირებულება ღირებულებად რჩება.

გიორგი ბარამიძე - პოლიტიკური გაერთიანება, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", საქართველოს ვიცე-პრემიერი 2006-2012 წლებში; საქართველოს პარლამენტის ხუთგზის (1992, 1995, 1999, 2003, 2012) წევრი; საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში (2004-2012); შინაგან საქმეთა მინისტრი (2003-2004); თავდაცვის მინისტრი (2004):

მე მინდა მივულოცო საქართველოს ტექნიკურ უნივერსი-ტეტს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს, ყველა პედაგოგსა და სტუდენტს ასეთი ლამაზი, ძალიან ჭკვიანური, კარგი ინიციატივა, იმისათვის, რომ, ერთი, გავიხსენოთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ისტორია, კრიტიკუ-ლად გავაანალიზოთ და ასევე, რაც მთავარია, რაღაც ახალი მეთოდი მოვძებნოთ, როგორ შეიძლება სხვადასხვა მიღებულ მოსაზრებებთან მიმართებაში კვლავ დავსვათ საინტერესო

კითხვები და კრიტიკულად შევხედოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიასაც, ამა თუ იმ პოლიტიკურ მოღვაწესაც და შევეცადოთ, მეტნაკლებად აი ამ ყველაფერმა, ამ ცოდნამ და ასეთმა კრიტიკულმა მიდგომამ დახმარება გაგვიწიოს ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოს მშენებლობაშიც. ფართო გაგებით თუ ვიტყვით, ჩვენ ყველანი ამისთვის ვართ მოწოდებულნი და ეს განათლებაც, ჩვენი განათლებაც მათ შორის, ამ სფეროში არის მნიშვნელოვანი და ძალიან კარგი ინიციატივაა და რომელშიც სიამოვნებით ვიღებ მონაწილეობას და რაც შედგა, ეს პროცესი. პირადად ძალიან ბევრი ახალი ცოდნა მივიღე და ჩემთვის ძალიან სახალისოც იყო და ძალიან შინაარსიანიც. საინტერესო იყო ამდენ კარგ ადამიანთან ურთიერთობა. ვუსურვებ უნივერსიტეტსაც, ფაკულტეტსაც შემდგომ წარმატებებს და იმედია ეს პროექტი გაგრძელდება და სულ უფრო და უფრო მეტ სტუდენტს დააინტერესებს არა მარტო საკუთრივ ეს პროექტი, არამედ ასეთი მიდგომა, რაც ჩვენ დღეს ძალიან გვაკლია საქართველოში, ასე ვთქვათ, გამოცლილი კატეგორიულობისაგან და უფრო კრიტიკული და მიმართული იმისაკენ, რომ მაქსიმალურად შევეცადოთ დადგინდეს ჭეშმარიტება. ეს არის ძალიან საინტერესო, ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი დარწმუნებული ვარ ეს გამოადგება არამარტო ამ ახალგაზრდებს ვინც უშუალოდ ჩართული არიან პროექტში, არამედ ესეთი მიდგომა და საერთოდ ესეთი მეთოდოლოგია და ასეთი ტიპის განხილვის დანერგვა მთელ საგანმანათლებლო სისტემაში იქნება ძალიან სასარგებლო მთელი ქვეყნის მასშტაბით იმიტომ, რომ ეს გვასწავლის, რომ არ არსებობს ტაბუდადებული თემები, რომ არ არსებობს ხელშეუხებელი პიროვნებები, რომ არ არსებობს ადამიანი, მითუმეტეს პოლიტიკოსი, რომელმაც შეიძლება შეცდომა არ დაუშვას და რომ ნებისმიერ სახელმწიფო მოღვაწეს აქვს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ნაბიჯები გადადგმული თავის მოღვაწეობაში და ამან შესაბამისად შედეგი მოიტანა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და აქედან

გამომდინარე ეს კრიტიკული აზროვნება და კრიტიკული დამოკიდებულება და იმის მცდელობა, რომ ობიექტურად შევაფასოთ ამა თუ იმ მოღვაწის საქმიანობა ფაქტებზე დაყრდნობით და არა რა წარმოდგენები არის დამკვიდრებული ზოგადად საზოგადოებაში, არის ძალიან მნიშველოვანი და ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს ძალიან კარგი ინიციატივაა. დღევანდელი განხილვა იყო შესანიშნავი. ბევრად უკეთესი ვიდრე წინა ორი განხილვა რასაც მე დავესწარი და ეს მეტყველებს იმას, რომ ეს პროექტი წინ მიდის და ყველა ის შესაძლებლობა რომელიც აქვთ ახალგაზრდებს მაქსიმალურად იყო გამოყენებული.

ნინო ბურჯანაძე - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე (2001-2008); საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი (2003-2004; 2007-2008); ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოფილი ვიცე პრეზიდენტი; შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის ყოფილი პრეზიდენტი; თავმჯდომარე პოლიტიკური პარტიისა „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“:

ძალიან მადლობელი ვარ ამ პროექტის ორგანიზატორების, რომ მომიწვიეს და მომცეს შესაძლებლობა ამ არაჩვეულებრივ პროექტში მონაწილეობის. მართლაც არა ინტერვიუსთვის და არა მხლოდ იმიტომ, რომ სტუმარი ვარ, ამ შემთხვევაში ძალიან გულწრფელად ვამბობ, აბსოლუტურად აღფრთოვანებული ვარ ამ პროექტით, ახალგაზრდებით, რომლებიც გამოდიოდნენ, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მომზადების დონით, კულტურით. სხვათაშორის, როგორი კულტურა აქვთ ახალგაზრდებს პოლემიკის, განსხვავებული არგუმენტების წარმოჩენის, რაც ქართულ პოლიტიკაში სამწუხაროდ ძალიან გამონაკლისია ხოლმე და მე მიხარია რომ ახალგაზრდა თაობა მოდის, რომელიც ერთმანეთს ეპაექრება არგუმენტებით, რომელიც ერთმანეთს ეპაექრება ძალიან კონკრეტული პასუხებით იმ კითხვებზე და ბრალდებებზე რომელიც არსებობს. ძალიან

გაგვიჭირდა გადაწყვეტილების მიღება ამას აჩვენებს თავად საგამოცდო კოლეგიის კენჭისყრის შედეგები, მაგრამ გულწრფელად მინდა ორივე მხარეს ვუსურვო ძალიან დიდი წარმატება და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ახალგაზრდები ნამდვილად ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებენ ჩვენს ცხოვრებაში. ერთსაც ვიტყვი რომ ორივე გუნდს ჰყავდა გამოკვეთილი ვარსკვლავები. განსკაუთრებით ორ ახალგაზრდას გამოვყოფ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხრიდან. ნამდვილი ვარსკვლავები არიან და მიხარია რომ ასეთ ახალგაზრდებს პროფესორ კუპრაშვილის პროექტში მონაწილეობის საშუალება აქვთ.

კონსტანტინე გამსახურდია - პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზის" ლიდერი; პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შვილი, დაცვის მხარის მოწმე, ნოე ჟორდანიას განხორციელებულ პოლიტიკის სამსჯავროზე:

ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. ეს ეხლა როგორც არასდროს ისე გვჭირდება ობიექტური მიუკერძოებელი სურათი ჩვენი უახლესი წარსულისა, ჩვენი სახელმწიფოებრივი ისტორიისა. გუნდები საკმაოდ სოლიდურად არიან წარმოდგენილნი, როგორც ერთი ისე მეორე მხარე და საგამოცდო კოლეგიაც საკმაოდ სოლიდურ შთაბეჭდილებას ახდენს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი საბოლოო ჯამში შეაჯერებენ ისტორიულ არგუმენტებს და მივლენ სწორ დასკვნამდე, ისეთ დასკვნამდე, როგორიც შეეფერება ჩვენს უახლეს ისტორიას.

ირაკლი კიკნაველიძე - პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, პრესსპიკერი:

ძალიან სასიამოვნო იყო ის რაც ჩვენ ვნახეთ, იმიტომ რომ ერთის მხრივ, ვნახეთ თავად სტუდენტების დიდი სურვილი, მათი მონდომება და შემართება, როგორც მოემზადნენ დღევანდელი შეხვედრისათვის, ისე თავად ინტერესიც უნივერსიტეტში, რაც ამ თემამ გამოიწვია, ეს არის ძალიან საინტერესო პროექტი, რომელიც არა მარტო ვიწროდ, კონკრეტულად ამ

უნივერსიტეტის აქტიურობას შეუწყობს ხელს, არამედ შეიძ-ლება გახდეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ზოგადად საქა-ართველოს პოლიტიკური ისტორიის გადააზრების, ხელახლა შეხვედრის, ხელახალი კვლევისათვის, იმიტომ, რომ სწორედ ამ შეჯიბრებაში, ერთმანეთს შორის შეჯიბრებაში შეიძლება ახალი ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნები გავაკეთოდ.

კახა კუკავა - პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე:

არაჩვეულებრივი პროექტია საერთოდ. მე პირველ რიგში ძალიან მინდა ეს მედიაპროექტიც გახდეს და ფართო საზო-გადოებამ მიიღოს ამაში მონაწილეობა იმიტომ, რომ ჩვენ რასაც ვსწავლობთ ძალიან კარგია სკოლებში, მაგრამ ეს არის უფრო ჰეროიკა და ესეთ კრიტიკულ ჭრილში დანახული ჩვენი პოლიტიკის ისტორია, სად დავუშვით შეცდომა, სად მივაღ-წიეთ წარმატებას, პრაქტიკულად შეიძლება მეცნიერთა ძალიან ვიწრო წრისთვის იყოს აი ამაზე დისკუსიები ხელმისაწვდომი და არაჩვეულებრივი ამბავი არის აქ და ბევრ რაღაცას შეიძ-ლება დაეთანხმო, შეიძლება არ დაეთანხმო რაც აქ დღეს მოვი-სმინეთ, მაგრამ სადისკუსიოდ გამოდის და სწორედ კამათში იბადება ის რაც შემდგომ მომავალში გათვალისწინებული უნდა იქნას საგარეო პოლიტიკის ფორმირების დროს.

პაატა მხეიძე - „ქართული ოცნება - ძლიერი ეკონომიკა“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე:

პირველ რიგში, მინდა მადლობა ვუთხრა ამ პროექტის იდეის ავტორებს, რათა საშუალება მოგვცეს კიდევ ერთხელ გაგვეანალიზებინა ისტორიული გმირებისა თუ მათ მიერ გატა-რებული პოლიტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ვფიქრობ ამ ყველაფრის ანალიზისათვის იმიტირებული სამ-სჯავროს ფორმატი იდეალური ვარიანტი იყო. პროექტმა ხელი შეუწყო ახალგაზრდების ჩართულობასა და მათი უნარ-ჩვევე-ბის გამომუშავებას როგორც წიგნებთან, ისტორიულ წყაროებ-თან თუ არქივებთან მუშაობის თვალსაზრისით, ასევე მათი

პოზიციების არგუმენტირებულად და მყარად დაცვის კუთხითაც. გააუმჯობესა მათი ორატორული უნარები და შესძინა ცოდნა ისტორიისა თუ სამართლის განხრით. მადლობა ყველა იმ სტუდენტსა თუ მოსწავლეს, მასწავლებლებს, მენტორებსა და საგამოცდო კოლეგიის წევრებს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები ამ პროცესში. პროექტმა კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ისტორიული გმირებისა და მოვლენების ცოდნა/ანალიზი, რათა მათ მიერ განვლილი პოლიტიკური გზა მაგალითი იყოს დღევანდელობისათვის. ასევე მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობას წარსულისადმი პატივისცემა გავუმძაფროთ, რადგან გმირული ქმედება ჩვენი ერთ-ერთი ეროვნული ღირებულებაა და მათი მოღვაწეობა მრავალი თაობის შეგნებაში უნდა ცოცხლობდეს.

კობა ნარჩემაშვილი - საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება, სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი 2001 - 2003 წლებში:

ეს არის იმიტაცია სასამართლო პროცესისა, რომელიც დატვირთულია პოლიტიკური შემადგენელით. აქ არ ეხებიან ვინმეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ან სხვა რაიმე პასუხისმგებლობას, აქ არის საუბარი პოლიტიკოსების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სისწორეზე, თუ შეიძლება ასე ითქვას და მის ანალიზზე. თვითონ პროექტი არის ძალიან მნიშვნელოვანი. ძალიან უწყობს ხელს სტუდენტებში გარკვეული პროფესიული უნარჩვევების ჩამოყალიბებას და არა მარტო პროფესიული არამედ გლობალურად პოლიტიკურ ასპექტებში აზროვნებას. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო, რომ სტუდენტებმა მაღალი დონე გამოავლინეს, როგორც პოლიტიკის ასევე სამართლის, როგორც პროცედურული ისე შინაარსობრივი ცოდნის და საბოლოო ჯამში მიმაჩნია, რომ არის ძალიან პერსპექტიული პროექტი და ამ პროექტს აუცილებლად ექნება გაგრძელება.

სერგო რატიანი - პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“:

დიდი მადლობა უნდა გადავუხადო პროექტის ხელმძღვანელებს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს, დეკანატს, პროექტის ხელმძღვანელებს. მართლაც საკმაოდ მნიშველოვანი პროექტი არის და ეს არის სწორედ სამეცნიერო შრომა, კვლევა, რისი შედეგიც უნდა იყოს მითებისგან განჯადოება და თავის დახსნა და მართლაც გარკვეული ჭეშმარიტებების ძიება.

დავით უსუფაშვილი - საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე (2012-2016); პოლიტიკური მოძრაობის „შენების მოძრაობა“ ლიდერი:

ყოველთვის ძალიან მიხარია, თუ რამეში გამოვადგები ახალგაზრდებს, სტუდენტებს და ასეთი ტიპის ღონისძიებები, როდესაც სტუდენტები უყრიან თავს თავიანთ არა მხოლოდ ცოდნას, არამედ ღირებულებით სისტემას, რათა ისტორიული მოვლენები, ისტორიული ფაქტები, ისტორიული პიროვნებები შეაფასონ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სავარჯოშო იმისთვის, რომ ჩამოგვიყალიბდეს მყარი ღირებულებათა სისტემა, მყარი კრიტერიუმები იმის შესახებ, თუ რა არის ეროვნული ინტერესები და როგორ უნდა ემსახუროს საჯარო პირი ეროვნულ ინტერესებს.

გოდერძი შარაშია - ტელეკომპანია „იმედის“ რეჟისორი და ჟურნალისტი:

ჩემთვის ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც პოლიტიკური საკითხები განიხილება უბრალოდ იმიტომ, რომ სტუდენტები მსჯელობენ ბევრს. ჩემთვის მსჯელობა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე, რაღაც კონკრეტული აღებული თემა, თუმცა რატომაც არა პოლიტიკა. მე არ ვარ დიდად პოლიტიკის თემების მოტრფიალე. ჩემი ინტერესის სფერო არ არის, მაგრამ რაც უფრო მეტს მსჯელობენ, რაც უფრო მეტს კამათობენ, რაც უფრო მეტი

ლოგიკური აზროვნებაა, მით უფრო საინტერესოა მათთვის და მნიშვნელოვანია გაზრდისთვის, საინტერესოა იმისთვის, რომ მოუსმინონ ერთმანეთს, პატივი სცენ განსხვავებულ აზრს, პატივი სცენ განსხვავებული პოლიტიკური, ასე ვთქვათ, ინტერესების მქონე ადამიანებს. გარდა ამისა, დასვან სწორი აქცენტები, სწორი შეკითხვები დასვან, უპასუხონ არა პროლიტიკოსებისამებრ, არამედ პირდაპირ უპასუხონ შეკითხვას და ამის მცდელობები ამ პროექტში არის. მე პირველად არ ვარ და კარგია რომ მათ ეს თემები აინტერესებთ. ისინი ამაზე საუბრობენ, ფიქრობენ, იწერენ, თუმცა აქ მარტო პოლიტიკა არ არის, აქ არის უამრავი თემა. მაგალითად, წინაზე, როდესაც ორ პოლიტიკურ ფიგურას ადარებდნენ ერთმანეთს მოყვანილი ჰქონდათ იმ პერიოდის ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, კულტურული მდგომარეობა და როდესაც ამ თემაზე მსჯელობენ, მათ რა თქმა უნდა ამახსოვდებათ ეს თემები და ეს ჩემთვის ბევრად უფრო მნიშველოვანია ვიდრე, რაღაც ერთი კონკრეტული პოლიტიკური ამბავი.

ანა ტაკაშვილი - სტუ-ს სამართლის სპეციალობის სტუდენტი, პოლიტსამსჯავროელი, გუნდ ,,თემიდას შვიდეულის" კაპიტანი, უნივერსიტეტშორისო ფორმატში სტუ-ს ნაკრები გუნდის ,,სამართლიანობის ლიგის" კაპიტანი; სკოლის მოსწავლეების სტუდენ მენტორი, სასკოლო ფორმატის კურატორი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ყოველთვის გამორჩეულია ინოვაციური შეთავაზებებით. აღსანიშნავია, რომ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ყოველ სტუდენტს ეძლევა საშუალება აღმოაჩინოს საკუთარი თავი და უნიკალური შესაძლებლობები. ზუსტად ერთი წლის წინ დავიწყეთ პროექტი, რომლის ანალოგი არ მოიძებნება. ბევრად მეტი ვიდრე მხოლოდ შეჯიბრება, პლატფორმა ახალგაზრდებისთვის გაიღრმავონ ცოდნა და წარმოაჩინონ ის. მოსამზადებელ ეტაპზე საშუალება მომეცა ჩემს გუნდთან

ერთად დამემუშავებინა უნიკალური ისტორიული წყაროები და მათთვის პოლიტიკური შეფასება მიმეცა. აღნიშნული იმიტირებული პროცესი იმით განსხვავდება არსებულებისგან, რომ ბევრად სიღრმისეულად მოითხოვს არამხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე ინსტიტუტის სიღრმისეულად შესწავლას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მონაწილის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას. აღნიშნულმა პროექტმა მომცა შემართება, ძალა და მოტივაცია დაგროვებული ინფორმაცია სხვებისთვისაც გამეზიარებინა და საბოლოოდ მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი გარდამტეხი ნიშნული გახდა ჩემს ცხოვრებაში. მიმაჩნია, რომ მე, როგორც ლიდერმა თავი არ დავ ზოგე და ჩემს გუნდთან ერთად წარმოუდგენელი შევძელი. აღნიშნული შეჯიბრების ყოველ ეტაპზე გრძნობ, რომ გამარჯვებული ხარ. მიუხედავად იმისა, რომ არაერთ საერთაშორისო და ლოკალურ შეჯიბრებაში მიმიღია მონაწილეობა, მივიჩნევ პოლიტიკა სამსჯავროზე არის პროექტი რომელიც მხოლოდ კი არ უნდა ნახო, არამედ უნდა გამოსცადო თუ გსურს მეტი შეიტყო შენი ქვეყნის წარსულზე და გააუმჯობესო მომავალი.

ანა ნაკაშია - სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი, პოლიტსამსჯავროელი, სტუდენტ-მენტორი, სეზონის გამარჯვებული გუნდის „ისტორიის მეოხის“ კაპიტანი, უნივერსიტეტშორისო ფორმატში სტუ-ს ნაკრები გუნდის, ,,სამართლიანობის ლიგის“ კაპიტანი; სასკოლო ფორმატის კურატორი:

პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე“ სასკოლო ფორმატი გულისხმობს ამ პროექტში სტუდენტებთან ერთად სკოლის მოსწავლეების ჩართულობასაც და მინდა ვთქვა, რომ ეს მართლაც წარმატებული აღმოჩნდა. ამ ფორმატში მერგო პატივი, რომ ვყოფილიყავი ოთხი სკოლის გუნდის სტუდენტ-მენტორი, რაც გასაოცარ ემოციებთან ასოცირდება ჩემთვის. პირველ რიგში, უდიდესი გამოცდილება მივიღე, შევიძინე ის უნარ-ჩვევები, რომელც სჭირდება ლექტორს. აუდიტორიასთან კომუნიკაციის

უნარი, პრეზენტაბელურობა, გუნდთან მუშაობის უნარი, დაგეგმვა, ანალიზი და არსებული პოლიტიკური პროცესის თეთრი და შავი მხარის გარჩევა. რაც შეეხება ჩემს გუნდებს, მართლაც რომ გასაოცარი ბავშვები იყვნენ და ისევ ამ პროექტის დამსახურებაა, რომ ასეთ ასაკში სკოლის მოსწავლეებს აძლევ საშუალებს, რომ ამხელა აუდიტორიის წინაშე წარდგნენ, იმუშაონ გამოცდილ და კვალიფიცირებულ პროფესორ-მენტორებათნ, მიიღონ ექსპერტის რჩევები და კომპეტენტური საგამოცდო კოლეგიის შეფასებები. ჩემი გამოცდილებით მინდა ვთქვა, რომ სამივე ე.წ „პოზიციაზე„ მომიწია თავის გამოცდა, როგორც მონაწილე, როგორც გუნდის კაპიტანი და როგორც მენტორი. ეს ნამდვილად არის ის საშულება რომ გაიზარდო და წინ წახვიდე აზროვნების კუთხით. პროექტის მეორე სეზონში ბევრი სიახლე ვიხილეთ, საუნივერსიტეტო ფორმატში პოლიტიკური ფიგურების პოლიტიკის განხილვიდან გადავედით პოლიტიკური პარტიების პოლიტიკის განხილვაზე. რაც მართლაც უფრო, რთული და საინტერსო აღმოჩნდა ჩემთვის და ჩემი გუნდის „სამართლიანობის ლიგის“ წევრებისთვის. იმის მიუხედავად,რომ გამოცდილება გვქონდა მაინც არ ამოწურულა ამ პროექტის სიახლეები ჩვენთვის. პარტიების განხილვისას გუნდმა ძალიან ბევრი რამ შეიძინა. სულ სხვა სპეციფიკა და სტრუქტურა აღმოვაჩინეთ პარტიის პოლიტიკაზე მუშაობისას. აღსანიშნავია, რომ ბევრად უფრო დიდი მასალის დამუშავება მოგვიწია და ბევრად უფრო მეტი წყაროს მოძიება. რაც მთავარია ვისწავლეთ, რომ პოლიტიკის შეფასებისას აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ თუ რამდენად შეესაბამებოდა ამა თუ იმ პარტიის პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ და სახელმწიფო ინტერესებს. ზოგადად გავიაზრეთ თუ რას ნიშნავს ეროვნული ინტერესები. ეს არ არის პროექტი, რომელიც მხოლოდ მონაწილეობით სრულდება, ის მუდამ გრძელდება, რადგან ამ პროქტში მიღებული ცოდნა და გამოცდილება გაგყვება მთელი ცხოვრება და შეგიძლია გამოიყენო

მუდამ. ამიტომაც ეს მართლაც არის საუკუნის პროექტი და მოხარული ვარ, რომ მე მასში მოანაწილეობის საშუალება მომეცა. რისთვისაც კიდევ ერთხელ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო პროექტ „პოლიტიკა სამსჯავროს“ ორგანიზატორებს.

ნათია ჩილაჩავა - სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი, პოლიტსამსჯავროელი, სკოლის მოსწავლეების სტუდენ-მენტორი:

სტუდენტი მენტორის სტატუსი ბევრად უფრო საპასუხისმგებლო აღმოჩნდა ვინაიდან პროექტიდან მიღებული გამოცდილების გაზიარება მომიწია სკოლის მოსწავლეებისათვის. მინდა ავღნიშნო მათი მონდომება და ინტერესი ამ ფორმატში პოლიტიკური პროცესების განხილვისადმი. მოსწავლეები ინფორმაციულ მასალას დიდი მონდომებით აგროვებდნენ, რათა მათი მსჯელობა სარწმუნო ყოფილიყო. აქტიურად მიმდინარეობდა განხილვა-დებატები, შეფასებების მიცემა, ისინი აქტიურად იყენებდნენ ბიბლიოთეკებში არსებულ რესურს და, ამასთანავე, პროფესორ-მასწავლებელები საჯარო ლექციის სახით იძლეოდნენ დამატებით ცნობებს. ვფიქრობ თითოეულმა მათგანმა მიიღო დიდი გამოცდილება სასამართლოზე გამოსვლის უნარ ჩვევებზე, ორატორულ ხელოვნებაზე, კრიტიკულ აზროვნებაზე, გუნდურობაზე, მოსმენის და პატივისცემის კულტურაზე, კრიტიკულ აზროვნებაზე და სხვ. პროექტი არის გათვლილი სწორედ ამ კრიტერიუმებზე. ის გვეხმარება ვიყოთ ბევრად ერუდირებულები და ეს პროცესი ადრეული ასაკიდანაც დავიწყოთ. პროექტის შემქმნელების იდეაც სწორედ ჯანსაღი აზრის, სიმართლის და სამართლიანობის ჩამოყალიბებაზეა ორინტირებული, ამიტომაც აქვს მას ასეთი დიდი ინტერესი როგორც სტუდენტებში ასევე მოსწავლეებში.

მარიამ ნოზაძე - სტუ-ს სამართლის სპეციალობის სტუდენტი, სტუდენტი, გუნდი ,,მაატის“ კაპიტანი, პოლიტსამსჯავროელი, სკოლის მოსწავლეების სტუდენ-მენტორი:

"პოლიტიკა სამსჯავროზე" არის შესანიშნავი პროექტი ახალგაზრდებისთვის, ეს პროექტი ჩემთვის იყო პირველი და მან მომცა მოტივაცია, ცოდნა და გამოცდილება. ხოლო მოსწავლეებისთვის, როდესაც ჩატარდა მეორე სეზონი, უკვე ვიყავი სტუდენტ-მენტორი. პროექტში მონაწილეობის სურვილი ჰქონდა უამრავ მოსწავლეს, რომლებიც უსაზღვროდ მოტივირებულები იყვნენ, რაც მენტორებს მეტ სტიმულს გვაძლევდა მათთან გვემუშავა და ბოლომდე დავხარჯულიყავით, მოსწავლეებს ვესაუბრებოდით თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს გუნდურობას და როგორ უნდა გვემუშავა, ვეხმარებოდით როგორ უნდა მოეძიებინათ მასალები, ვცდილობდი ყველაფერი ის, რაც მე ვისწავლე ამ პროექტის საშუალებით მათთვის გამეზიარებინა. იძიებდნენ მასალებს და აკეთებდნენ ჩანაწერებს, შეხვედრების დროს უსვავდნენ ერთმანეთს უამრავ კითხვას და მენტორებთან ერთად განიხილავდნენ თითოეულ დეტალს თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო, ვფიქრობ პროექტის საშუალებით მათ მიიღეს ცოდნა, ისწავლეს გუნდურად მუშაობა და დამეგობრდნენ.

თამარ ტაკაშვილი - სტუ-ს სამართლის სპეციალობის სტუდენტი, პოლიტსამსჯავროელი, სკოლის მოსწავლეების სტუდენტ-მენტორი:

"პოლიტიკა სამსჯავროზე" არის პროექტი, რომელშიც, თითოეული ადამიანი, ვინც მონაწილეობა მიიღო იძენს ძალიან დიდ გამოცდილებასა და ცოდნას. მოხარული ვარ, რომ ვიყავი არამხოლოდ ამ პროექტის მონაწილე, არამედ შემდეგ მერგო პატივი ვყოფილიყავი სტუდენტი მენტორიც. ვფიქრობ, ეს საკმაოდ საპასუხისმგებლო და შრომატევადია, ვინაიდან გიწევს ისეთი უნარ-ჩვევების ათვისება, რაც, ფაქტობრივად, ლექტორის მიერ გამომუშავებული უნარ-ჩვევების ტოლფასია. რა მასწავლა სტუდენტ-მენტორობამ? ამ ყველაფერმა დამანახა, თუ როგორია, როდესაც ხარ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადამიანი და გიწევს მოსწავლეებთან წარმოაჩინო შენი თავი, ასწავლო

მათ ის, რაც შენ გასწავლა უნივერსიტეტმა, ლექტორებმა და რაც მთავარია, ამ პროექტმა, ვინაიდან ისინი გამოუცდელები არიან. გარდა იმისა, რომ უზიარებ შენს გამოცდილებასა და ცოდნას, ასევე ძალიან ბევრს სწავლობ მათგანაც. ბევრი ნიჭიერი მოსწავლე აღმოვაჩინე. საბოლოოდ, პროექტი შედგა და საკმაოდ ნაყოფიერი პერიოდი იყო, როგორც ჩემთვის, ასევე ჩემი ბავშვებისთვისაც.

ზაიკო ბრეგვაძე - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის სპეციალობის სტუდენტი, გუნდი ,,ბლიცკრიგის“ კაპიტანი:

ვინმემ რომ მთხოვოს პროექტში ყოფნის მთელი რვა თვე ერთი წინადადებით ჩამოყალიბეო ვიტყოდო რომ "ვისწავლე როგორ იყო ლიდერი, მაშინაც კი თუ შენ წინააღმდეგ დანარჩენი სამყაროა". მთელი ამ დროის განმავლობაში, მყავდა გუნდი და მენტორები, რომელთა სახით კარგი მეგობრები, კოლეგები და უბრალოდ საუკეთესო ადამიანები შევიძინე. მინდა ავღნიშნო რომ არამარტო გუნდის წევრები, ყველა ის ადამიანი, ვინც ამ პროექტში იყო პროექტის ავტორი ბატონი ჰენრი, მენეჯერი ნინო და დეკანიც კი ბ-ნ ირაკლი, არიან ის ადამიანები, რომლებსაც უბრალოდ დიდი ასოებით ვუწოდებ მე ა დ ა მ ი ა ნ ს. ამ ადამიანების დახმარებით მივხვდი, როგორი შრომით და პროფესიონალიზმით უნდა აკეთო შენი საქმე. ამ პროექტში ყველა ადამიანი მიუხედავად სტატუსისა (ვგულისხმობ თანამდებობრივს. დეკანი, პროფესორი და ასე შემდეგ) ჩემდა გასაოცრად ძალიან უშუალოები იყვნენ და პროექტში ყოველ ნაბიჯზე გვეხმარებოდნენ. მე და ჩემ გუნდი რვა თვის განმავლობაში, რაც არც ისე პატარა დრო იყო ჩვენთვის. ერთ ოჯახად ვიქეცით, ხშირად გვიანობდე ვიკრიბებოდით, ვკითხულობდით სამეცნიერო ლიტერატურას, ვეძებდოთ, რაც შეიძლება ბევრ ინფორმაციას, ხშირად ვკამათობდით კიდეც. დიახ ვკამათობდით, იმიტომ რომ გუნდის ყველა წევრი გასაოცრად ნი-

ჭიერი, შრომის მოყვარე და სხვ. ლიდერის თვისებებით მდიდარი იყო. ერათად გადაგვქონდა დაღლილობაც და ხანდახან სიზარმაცეც, ხანდახან ვხუმრობდი კიდეც, რომ თუ ან ტემპით მუშაობას გავაგრძელებდით არჩევნებსაც მოვიგებდით და ხელისუფლებაში მოვიდოდით. უამრავი ემოცია მოგონება და სათქმელი, საათობით სიამოვნებით ვისაუბრებდი მათზე. და ბოლოს თუ გინდათ საოცარ პროფესიონალების გაცნობასთან ერთად კარგ გარემოში განვითარდეთ და ამავდროულად მეგობრები გაიჩინოთ აუცილებლად მიიღეთ მონაწილეობა ამ პროექტში.

გიორგი ღონღაძე - 133-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე, გუნდი ,,მთავარის" წევრი:

პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე" მეტად აღსანიშნავია და გამორჩეულია. სხვათაგან განსხვავებით იგი კონკრეტულად ემსახურება მოსწავლეთა სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. სახელმწიფოს მმართველთა მიერ გატარებული პოლიტიკის შეფასებისა და განსჯის შემდეგ მოსწავლე შეიმეცნებს მოცემული ეპოქის პოლიტიკური ცხოვრების დადებით და უარყოფით მხარეებს.

ანა-მარია კულამოვი - 105-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე, გუნდი ,,იმანანტის" კაპიტანი:

პროფესორ კუპრაშვილის პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე" არის უნიკალური პროექტი, როგორც სტუდენტებისათვის, ასევე ჩვენთვის, მოსწავლეებისათვის, ვინაიდან ის იძლევა საშუალებას მივიღოთ თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება კონკრეტული საკითხების გადაჭრაში. ამ პროექტმა მომცა შესაძლებლობა გამომემუშავებინა ისეთი უნარ-ჩვევები, როგორიც არის საჯარო გამოსვლის ხელოვნება, პრობლემის ანალიზისა და კვლევის მეთოდები, ასევე ეს არის დიდი შესაძლებლობა ურთიერთობა გვქონდეს მაღალი კვალიფიკაციის

მქონე პოლიტოლოგებთან, სამართალმცოდნეებთან, ისტორიკოსებთან და მივიღოთ მათგან კომპეტენტური რეკომენდაციები ჩვენი სამომავლო განვითარებისა და წარმატებისათვის.

ანა გოგოძე - 133-ე საჯარო სკოლის 11 კლასის მოსწავლე, გუნდი ,,მთავარის" კაპიტანი:

პროექტმა "პოლიტიკა სამსჯავროზე" მე და ჩემი გუნდის წევრებს გვასწავლა, პირველეს ყოვლისა, გუნდურად მუშაობა, სხვადასხვა ინფორმაციების მოძიება და მოგვცა უდიდესი გამოცდილება, იქედან გამოდინარე, რომ ეს პროექტი აბსოლუტურად განსხვავებულია არაფორმალური განათლების სფეროში არსებული პროექტებისგან. ჩვენ ორი თვის მანძილზე თითქმის ყოველდღე გვიწევდა ჩვენთვის აქამდე უცნობი ფაქტების შესწავლა განხილვა და შემდეგ მათი გამოყენება, ჩვენ მოვიძიეთ და გავეცანით არაერთ საინტერესო წიგნს, შევხვდით არაერთ საინტერესო ადამიანს და მათი მოსაზრებები მოვისმინეთ სხვადასხვა თემაზე. ვფიქრობ დანაშაულია პროექტზე საუბრისას არ ავღნიშნო ჩვენი არაჩვეულებრივი მენტორები, რომლებისგანაც ძალიან ბევრი ვისწავლეთ. ეს პროექტი აერთიანებს თაობებს და მათ შორის განსხვავებები მინიმუმანდე დაყავს, ასევე საშუალებას აძლევს ყველა მონაწილეს თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამავლინოს.

საბა კოპალიანი - 178-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე, გუნდი ,,ენიგმას" კაპიტანი:

პროექტში პოლიტიკა სამსჯავროზე, ჩვენი გუნდის მთავარი მოტივატორები იყვნენ ჩვენი მენტორები და ისტორიის მასწავლებელი. მათ დიდი გავლენა მოახდინეს ჩვენზე. თვალი აგვიხილეს მეცნიერების სხვადასხვა დისციპლინის მიმართ. მასში მონაწილეობამ მე და ჩემს გუნდს გვასწავლა ერთი უდიდეს, რამ რაც ალბათ ცხოვრების ბოლომდე გვემახსოვრება, ეს არის ის, რომ წაგება და მოგება, ერთი რამით განსხვავდება. მოგება ყველასთვის დასანახია, ხოლო წაგების დროს მხოლოდ საკუთარ თავთან ხარ გამარჯვებული. რა თქმა

უნდა მოგებული უფრო ამაყი იქნება საკუთარი მიღწევით, მაგრამ არა ამ პროექტისგან აქ წაგებულებს უფრო დიდი სიამაყე გაგვაჩნდა, რადგან მორალურად გავიმარჯვეთ და მენტორებმა დაგვანახეს ის თუ როგორი განსაკუთრებულები ვართ. ულრმეს მადლობას ვუხდით მენტორებს მე და ჩემი გუნდი, როგორც გუნდის კაპიტანი და მეგობარი ვამოწმებ თუ რაოდენ იშრომეს მათ იმისთვის, რომ ამ პროექტში საკუთარი თავი გვეპოვნა. მათი წყალობით გავიკვლიეთ გზა ფინალისკენ, მათ ჩაგვისახეს ის თუ რის გამო ღირდა ბრძოლა ბოლომდე. მხოლოდ ერთს დავამატებდი, ჩვენი მენტორებისთვის ჩემი გუნდი გამარჯვებულია. ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი და ის თუ ვილაცამ თქვა წააგეთ ეს უკვე მეორე ხარისხოვანია.

მარიამ მახარაძე - 166 სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე, გუნდი ,,მნემოსინეს“ კაპიტანი:

თანამედროვე ცხოვრების სწრაფი ტემპი, საშუალებას ყოველთვის არ იძლევა, რომ ესა თუ ის ნიუანსი გაანალიზო დეტალებში. მხოლოდ კონკრეტული ისტორიული ეპოქის ცოდნა კი, რა თქმა უნდა, არ კმარა კონკრეტული მოვლენის სწორად შესაფასებლად. ალბათ ყველაზე მთავარი, რაც პროექტმა მე და ჩემს გუნდს მოგვცა, იყო საშუალება, შეგვეფასებინა პოლიტიკური პროცესები, გუნდური მუშაობის გამოცდილება. თითოეულ ჩვენგანს ჰქონდა უდიდესი პასუხისმგებლობა, ვინაიდან ვიყავით ქვეყნის ისტორულ-პოლიტიკური ეპოქის ბრალმდებელნი. გარდა ამისა, ავღნიშნავდი მეცნიერებს და მათ მიერ მოწოდებულ ისტორიულ წყაროებსა და ფაქტებს, რომელმაც დებატებისას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა შეიძინა. პოლიტიკისმცოდნეობის პროექტი იძლევა საშუალებას სასკოლო ასკაშივე შეიმეცნო და განსაჯო პოლიტიკური ფაქტები, იდებატო ადამიანებთან, სამართლებრივ ასპექტში შეაფასო პოლიტიკური ფიგურა და რა თქმა უნდა შეიძინო გამოცდილება,

რომელიც მომავალშიც პროფესიული თვალსაზრისით, აუცილებლად დაგეხმარება, ვინაიდან სწორი ანალიზის უნარი ნებისმიერ პროფესიაში ნამდვილად საჭირო და დასაფასებელია.

ნინო გელენავა - ქ. ზუგდიდის მეცხრე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე, გუნდ ,,ფასციას" კაპიტანი:

მინდა გაგიზიაროთ ჩემი გუნდის შთაბეჭდილება და მიღებული გამოცდილება. "მარადისობა ისე გვაქვს წარმოდგენილი, როგორც იდეა, რომლის გაგება შეუძლებელი", ჩვენ გავიგეთ ამ სიტყვის მნიშვნელობა. "ყოველ დამარცხებასა და ტკივილში არის მარცვალი, რომელიც უფრო მეტ სარგებელს იძლევა, ვიდრე დანაკარგია". დიახ ჩვენ მივიღეთ დიდი გამოცდილება, ცხოვრებაში საკუთარ გამოცდილებაზე უკეთესი ხომ არაფერია?! და ყველაზე მნიშვნელოვანი ერთმანეთი შევიძინეთ..." აღსანიშნავია სწორედ ის ურთიერთობები, რომელიც ამ ხნის მანძილზე ჩამოყალიბდა ჩვენს შორის, ამისთვის ძალიან დიდი მადლობა მინდა გადაუხადო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, რომ მოგვცა ამის შესაძლებლობა. აღნიშნულმა პროექტმა ჩვენში განავითარა უნარები, როგორიცაა, გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა, კვლევა, პრეზენტაცია, ეფექტური კომუნიკაცია, კონკურენცია. დამარცხებამ კი მოგვცა შესაძლებლობა საკუთარ შეცდომებზე გვესწავლა, და მიგველო როგორც გამოცდილება.

ელენე ლაშქარაძე - შპს „ახალი ლიცეუმის" მოსწავლე, გუნდის კაპიტანი:

„პოლიტიკა სამსჯავროზე" ეს არის უსაზღვრო შესაძლებლობების, საკუთარი თავის წარმოჩენის, განათლების მომცემი პროექტი, რომელიც არამარტო სასურველი და კარგი, არამედ აუცილებელი და მნიშვნელოვანი პროექტია მოსწავლის კრიტიკული ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებისთვის. გუნდის სახელით გეტყვით, პირველ რიგში, ვისწავლეთ კოორდინირებული და გუნდური მუშაობა, შევეჩვიეთ რთულ გრაფიკს, ძირ-

ფესვიანად გავეცანით პოლიტიკის კეთების ნიუანსებს, ისტორიის გარკვეულ ეპოქას, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია განვითარებისათვის. განათლება კი საჭიროა საკუთარი თავის წარმოჩენისა და რეალიზებისათვის, რაშიც ხელს გვიწყობდა მთელი პროექტი და მათი წარმომადგენლები. ერთი თვის განმავლობაში ვითანამშრომლეთ იურისტებთან და პოლიტოლოგებთან. მოვისმინეთ მათი აზრი უშუალოდ თემატიკასთან დაკავშირებით. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო დიდი გამოცდილება, რამაც თითოეულ ჩვენგანში მოახდინა ცვლილება უკეთესობისკენ. ამ ყველაფრის შემკვრელი და დამამთავრებელი ნაწილი კი იყო სამსჯავრო. ეს იყო დიდი გარდატეხა და გონებრივი ზრდა თითოეული ჩვენგანისთვის. მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს პედაგოგს, ქალბატონ ეკა ბუხრაშვილს. ასევე მადლობა პროექტს, რომ დღევანდელ თაობას გვაძლევს საშუალებას გავხდეთ უფრო მეტად კონკურენტუნარიანი, გავაანალიზოთ და კრიტიკულად შევაფასოთ წარსულში მომხდარი პოლიტიკური მოვლენები, გავეცნოთ იურიდიულ და სამართლებრივ ნორმებს, გამოვიმუშავოთ უნარ-ჩვევები, კერძოდ: ზეგავლენის ფსიქოლოგია, მიმწოლი ხასიათი, აზროვნება სხვადასხვა რაკურსით და რაც მთავარია სხვისი აზრის მოსმენა და პატივისცემა.

თამარ კალანდია - 127-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე გუნდი ,,სამართლიანობის მახვილის“ კაპიტანი:

„პოლიტიკა სამსჯავროზე“ ნამდვილად საუკეთესო პროექტია მთელი საქართველოს მასშტაბით, ვინაიდან მოგვცა მრავალმხრივად განვითერების შესაძლებლობა. ჩვენს გუნდს და მის თითოეულ წევრს ძალიან დამეხმარა მიღებული გამოცდილება პიროვნულ ზრდაში. პროექტის მთავარი მიზანია მოსწავლეებმა შეძლონ პოლიტიკური მოვლენების სწორი ანალიზი და სათანადო შეფასება, რაც ჩვენმა გუნდმა ნამდვილად მოახერხა. სასამართლო პროცესების მზადების პროცესში

გუნდის წევრები სისტემატურად ვიკრიბებოდით და ყოველ-დღიურად განვხილიავდით მოძიებულ ინფორმაციას, ვეხმარე-ბოდით ერთმანეთს მოვლენის სწორი კუთხით დანახვაში, დავ-დიოდით ეროვნულ ბიბლიოთეკაში, არქივებში, ვეძებდით ყვე-ლა სახის ისტორიულ დოკუმენტსა და წყაროს, რაც დაგვეხ-მარა მათ სწორ ანალიზსა და გარჩევაში. აღმოვაჩინეთ უცნობი დოკუმენტები, შევძელით და ყველასთვის მიუღებელ პიროვ-ნებათა განსხვავებული პოლიტიკური სახე დავანახეთ საზო-გადოებას. პროექტის მსვლელობის პერიოდში შესაძლებლობა მოგვეცა შევხვედროდით უამრავ პროფესიონალ ადამიანს, განგვეხილა მოცემული თემა, რაც ჩვენი გუნდისთვის მნიშ-ვნელოვანი ასპექტი იყო. რაღა თქმა უნდა, ამავე პერიოდში ჩვენ კიდევ უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს. ჩვენს თი-თოეულ გამარჯვებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით საოცრად პროფესიონალ, ნამდვილად დასაფასებელ მენტორსა და ჩვენს მასწავლებელს. პროექტის ფარგლებში ჩვენმა მენტორმა ბა-ტონმა ლევან ოსიძემ შეგვახვედრა სტუ-ს პროფესორებს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტსა და საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრ როინ მეტრეველს, რომელიც ჩვენი გუნდის ღრმა ისტორიული და ფაქტობრივი ცოდნით დიდად მოხიბლული დარჩა და თავისი წიგნები ხელმოწერით გვისახსოვრა. შევხ-ვდით რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერა-ლური დირექტორის მოადგილეს ბატონ ჯაბა სამუშიას. ამ უკანასკნელთან ცხარე დისკუსია გიორგი III-ის პოლიტიკის შესახებ დაგვეხმარა პოზიციების გამყარებაში. პროცესებზე შევძელით და მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით ყველას დავუმტკიცეთ ჩვენი, როგორც გუნდის ერთიანობა და საქმისა-დმი ერთგული დამოკიდებლება. ამ ყვალაფერში კი სწორედ ეს შესანიშნავი პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე“ დაგვეხმარა.

რუსუდან დავითური -126-ე საჯარო სკოლის 11 კლასის მოსწავლე, გუნდი ,,ლომსიანელების“ კაპიტანი:

ბატონი ჰენრი კუპრაშვილის პროექტში "პოლიტიკა სამსჯავროზე" მონაწილეობით მე და ჩემმა გუნდმა ძალიან დიდი გამოცდილება მივიღეთ. შევიძინეთ საჭირო უნარჩვევები, პირველ რიგში, გუნდურობა. არაჩვეულებრივად წარიმართა მთელი პროცესი და მიგვაღწევინა საკმაოდ კარგ შედეგამდე. ასევე ძალიან სასარგებლო და საინტერესო ინფორმაცია მივიღეთ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდზე. დავდიოდით სხვადასხვა ბიბლიოთეკებში ვიყენებდით უამრავ წიგნს, ვეცნობოდით საინტერესო და გამოსადეგარ ფაქტებს, ვუზიარებდით ერთმანეთს ცოდნას და ვსწავლობდით ერთად. გავეცანით სტუ-ს პროფესორებს, ვისმენდით მათგან რჩევებს, ვიღებდით უზარმაზარ ცოდნას და გამოცდილებას. სწორედ მათი დახმარებით შევძელით პროცესის წარმატებით წამართვა. ჩემი აზრით, რაც ყველაზე მთავარია მთელი ამ დროის განმავლობაში, ჩემი გუნდის თითოეულმა წევრმა მიიღო უდიდესი სიამოვნება. ამიტომ დიდ მადლობას ვუხდით ბატონ ჰენრი კუპრაშვილს, რომ მოგვცა საშუალებაა ვყოფილიყავით ამ პროექტის ნაწილი და ვუხდით მადლობას საქართველოს ტექნიკური უნივერსისტეტის ყველა თანამშრომელს ასეთი მეგობრული და თბილი დამოკიდებულებისთვის.

მაია ჯუგაშვილი - ქალაქ თბილისის 127-ე საჯარო სკოლის პედაგოგი (გუნდი ,,სამართლიანობის მახვილი"):

პირველივე სეზონზე თბილისის 127-ე საჯარო სკოლიდან, სადაც ვასწავლი ისტორიას, ჩაერთო ორი მოსწავლე და შედგა შერეული გუნდი, რომელშიც სამი სკოლის მოსწავლეები გაერთიანდნენ და საკმაოდ დაძაბულ და საინტერესო შეხვედრებში ფინალში მოიპოვეს გადამწყვეტი გამარჯვება. თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ თუნდაც ის ფაქტი, რომ სამი სკოლის მოსწავლეები გაერთიანდნენ და დაისახეს საერთო მიზანი, უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილება და გამოწვევა იყო, როგორ შედგებოდა უცნობ ბავშვებს შორის კომუნიკაცია, როგორი ურ-

თიერთობები ჩამოყალიბდებოდა მათ შორის, რამდენად შეძ-ლებდნენ გუნდურ მუშაობას და საბოლოო მიზნის მიღწევას. ამ პროექტის გენიალურობა ისიც არის, რომ გარდა იმისა, რომ ეს არის შესაძლებლობა ბავშვებისთვის გამოცადონ საკუთარი შესაძლებლობები, დაძლიონ ერთგვარი კომპლექსები და ჩამო-ყალიბდნენ კარგ ორატორებად, ისწავლონ უცხო და ხშირ შემ-თხვევაში საკმაოდ დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა, შეიძინონ მეტი ცოდნა და გამოიმუშაონ ანალიტიკური აზროვ-ნების უნარები, გაუჩნდეთ ცოდნის ამაღლების მეტი მოტივა-ცია, ისწავლონ წიგნთან მუშაობა, საარქივო მასალების მო-ძიებისა და ანალიზის უნარები, ეს არის ასევე შესაძლებლობა, ბავშვებმა შეიძინონ ახალი მეგობრები, ურთიერთობები ჰქონ-დეთ თავისი საქმის პროფესიონალებთან, ადამიანებთან, რომ-ლებმაც თავისი ცხოვრებით, წიგნისადმი დამოკიდებულებით მისცეს შესანიშნავი მაგალითი მომავალ თაობებს, რომ მთავა-რი ღირებულება ცხოვრებაში არის ცოდნა, განათლება და პროფესიონალიზმი. პირველი სეზონის დასრულებისთანავე, ჩვენ გვქონდა უდიდესი სურვილი კვლავ მიგვეღო მონაწი-ლეობა პროექტში და როგორც კი გამოცხადდა რეგისტრაცია, დაუყოვნებლივ ჩავერთეთ მასში. ეს იყო ახალი შანსი, თავიდან განგვეცადა ისეთ საოცარ ადამიანებთან საინტერესო შეხვედ-რების სიხარული. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, ჩემთვის, როგორც რიგითი პედაგოგისთვის, ეს არის უნიკალუ-რი პროექტი, რომელიც ბავშვებს აძლევს საოცარ შანსს ად-რეულ ასაკში ჩაერთონ ლამაზი და წარმატებული მომავლის-თვის ბრძოლაში. დღეს ყველაზე მეტად გვჭირდება მსგავსი საგანმანათლებლო პროექტები, რომელიც ორიენტირებულია ბავშვებზე და მის მომავალზე. ყველასათვის ნათელია, რომ გენიალური იდეები ასეთივე ადამიანების მიერ ხორციელდება. ხსენებული პროექტი გადაჭარბების გარეშე იმსახურებს ასეთ შეფასებას და მისი ინიციატორებიდან და ორგანიზატორები-

დან ცალკე უნდა გამოვყო იდეის ავტორი, პროფ. ჰენრი კუპ-რაშვილი, რომელიც გარდა იმისა, რომ თავისი საქმის უზადო პროფესიონალია, არის არაჩვეულებრივი პიროვნება, რომელ-თან შეხვედრაც ჩვენი ბავშვებისთვის ყოველთვის დიდი სიამო-ვნებაა. თუმცა ბატონი ჰენრიც ვერაფერს გახდებოდა, რომ არა ყველაზე კრეატიული, განათლებული, ხალისიანი და რაც მთავარია კარგი ადამიანი ფაკულტეტის დეკანი ბატონი ირა-კლი გაბისონია, რომელიც ყოველთვის დიდი ენთუზიაზმითა და გულისხმიერებით უდგება მსგავს წამოწყებებს. ცალკე უნ-და გამოვყოთ ყველაზე სათნო, თავაზიანი, კეთილშობილი და ძალიან ობიექტური ნინო ოდიშელიძე, რომელიც ამ პროექტის მენეჯერ-კოორდინატორი გახლავთ და თავისი დამოკიდებუ-ლებით საქმისადმი და გუნდებისადმი ძალიან დიდ სითბოსა და სიყვარულს თესავს. ბავშვებისა და სკოლის სახელით მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს, სამა-რთლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს და საერთოდ სტუ-ს ამ არაჩვეულებრივი შანსისთვის - ვამუშაოთ ბავშვები წიგნთან, მეტი გავაგებინოთ ისტორიული პიროვნე-ბებისა და კონკრეტული ეპოქის შესახებ, გავაზრებინოთ წარ-სულის გამოცდილება და დავარწმუნოთ საკუთარ ძალებში. ვიმედოვნებ, პროექტი დიდხანს გაგრძელდება და თავის უდი-დეს წვლილს შეიტანს განათლებული და წარმატებული საქარ-თველოს მომავალი ინტელექტუალების აღზრდის საქმეში.

თამარ ჯავახიშვილი - ქ.თბილისის 51-ე საჯარო სკოლის პედაგოგი (გუნდი ,,რონდო“):

სტუ-ს სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე“ გ. ტაბიძის სახელობის ქ. თბილისის №51 საჯარო სკოლისთვის საინტერე-სო აღმოჩენა იყო. სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ნინო ალექსიძემ, საბედნიეროდ, პროექტის კურატორობა მე დამავა-ლა. მიუხედავად იმისა, რომ მათი ასაკის გამო დიდ რისკზე მივდიოდი, გუნდი ჩემი მეცხრე კლასების მოსწავლეებისგან

შევკარი. კაპიტნად ასეთი პროექტების „დიდოსტატი“, მარიამ ალავიძე გავამწესე და აი, აქ დაიწყო ის ჯადოსნური ცხოვრება, რომლითაც ბავშვები ამდენი თვეა ცხოვრობენ. ის, რაც პროექტს სასკოლო ფორმატისთვის მიზნად აქვს დასახული — სამეცნიერო კვლევისა და სასამართლო პროცესებზე მონაწილეობის, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და მათ შორის თანამშრომლობის და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, თანამშრომლობისა და მეგობრული გარემოს შექმნა; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ეროვნულ სასწავლო გეგმასთან სრულ შესაბამისობაშია და თემატიკაც ზუსტად ემთხვევა საგაკვეთილო პროგრამას. პირველ ეტაპზე ჩემს მოსწავლეებს, რომლებმაც საკუთარ გუნდს „რონდო“ დაარქვეს, ერეკლე მეორეს გამხორციელებული პოლიტიკის დაცვა მოუწიათ. იყო უძილო ღამეები, ბიბლიოთეკებში გატარებული საათები, ურთიერთობა მეცნიერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და შედეგად პირველი პროცესი ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. არანაკლები შრომა და მეცადინეობა დაგვჭრდა ალექსანდრე ბატონიშვილის დასაცავად და ეგ ეტაპიც წარმატებით გავიარეთ. დიდი მზადება მიდის ამ დღეებში ედუარდ შევარდნაძის მიერ განხორციელებული პოლიტიკის ბრალდების მასალების მოსამზადებლად. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო სტუ-ს სამართლის და საერთოშორისო ურთიერთობებათა ფაკულტეტის დეკანს, ბატონ ირაკლი გაბისონიას, პროექტის ავტორს, ბატონ ჰენრი კუპრაშვილს ამ დიდი წამოწყებისთვის, ჩვენი სკოლის და მოსწავლეების პროექტში აქტიურად ჩართვისთვის და მათთვის ცოდნის დიდი მარაგის და გამოცდილების მიცემისთვის.

მაკო ჩიტაია - *დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადას“ პედაგოგი (გუნდი ,,თოტი“).*

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ პროექტებს შორის (სოციალური მეცნიერების მიმართულება-

ში) ერთ-ერთი გამორჩეული პროექტია და ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პროექტის ავტორს ბატონ ჰენრი კუპრაშვილს იდეისთვის და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტს იდეის განხორციელებისთვის. იმედია პროექტი გაგრძელდება და უფრო ფართო მასშტაბს მიიღებს. ჩვენი გიმნაზიის გუნდის, „თოტის“ თითოეული წევრი არის მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, სხვადასხვა კონკურსებში, ოლიმპიადებსა და კონფერენციებში გამარჯვებულნი. პროექტმა თითოეულ მონაწილეს გამოუმუშავა გუნდურობა, ერთმანეთის მიმართ პასუხისმგელობა. შეხვდნენ არაერთ ცნობილ და წამყვან სპეციალისტებს, როგორც ისტორიის მიმართულებით, ასევე პოლიტოლოგიის და სამართლის. პროექტმა გარკვეული როლი ითამაშა სამომავლოდ მათი პროფესიის განსაზღვრაში. ყველაზე მთავარი შევკარი გუნდი, რომელთან ერთად ვაპირებ კიდევ სხვა არაერთი პროექტის განხორციელებას.

სოფო როგავა - ქ.ზუგდიდის მეცხრე საჯარო სკოლის პედაგოგი (გუნდი ,,ფასცია“):

ზუგდიდის მე-9 საჯარო სკოლის გუნდმა ,,ფასციამ'' მონაწილეობა მიიღო პროექტში ,,პოლიტიკა სამსჯავროზე''. სტრუქტურიდან გამომდინარე, გუნდს გამოეყო ორი მენტორი (საერთაშორისო ურთიერთობებში ლევან ანთია და სამართალში მათე ჭანტურია), რომლებიც პერმანენტულად ხვდებოდნენ გუნდს და სამუშაო პროცესს აძლევდნენ საჭირო მიმართულებას. პირველ ეტაპზე, მოსწავლეებმა მენტორების მითითებით მოიძიეს საჭირო წყაროები, შედარება-ანალიზის საფუძველზე მოახდინეს მათი კლასიფიკაცია-დახარისხება, იმუშავეს არქივში. მეორე ეტაპზე, მოახდინეს მოპოვებული და დამუშავებული მასალის კონსტრუირება. მესამე ეტაპზე, გაეცნენ პროცესის თანმიმდევრობას,მოხდა პოზიციების განსაზღვრა (შეირჩნენ სიტყვით გამომსვლელები). მეოთხე ეტაპზე იმუშავეს შემდეგი მიმართულებით: პროცესზე გამოსვლა, მტკიცებულებების სპე-

ციფიკა, კითხვების დასმის სტრატეგია. ბოლოს კი, ჩაუტარდათ მასტერკლასი. მთელი სამუშაო პროცესი ძალიან საინტერესო და პროდუქტიული იყო. მოსწავლეებმა შეიძინეს და დახვეწეს თანამშრომლობის, გუნდურობის, პროცესზე გამოსვლის, ლოგიკური მსჯელობის, ანალიზის, კვევის უნარ-ჩვევები. მიიღეს ძალიან ბევრი ინფორმაცია და ცოდნა საკვლევ პოლიტიკურ ფიგურებზე და შესაბამის ეპოქაზე და რაც მთავარია, უზარმაზარი გამოცდილება.

ლია ჯანაშია - ქალაქ თბილისის 178-ე საჯარო სკოლის პედაგოგი (გუნდი ,,ენიგმა“):

პროექტის „პოლიტიკა სამჯავროზე“ მიმდინარეობის შესახებ მქონდა ინფორმაცია და როდესაც გავაჟღერე მოსწავლეებში, მათ გამოთქვეს პროექტში მონაწილეობის სურვილი. ჩემი მოსწავლეები დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას მიჩვეულები არიან, პოლიტიკისმცოდნეობის გაკვეთილი წარმოუდგენელია ახალი ინფორმაციის გაანალიზების და საკუთარი მოსაზრების გამოთქმის და არგუმენტირების გარეშე, ამიტომ პროექტში ჩართვა კიდევ უფრო საინტერესო გახდა მათთვის. მოსწავლეებს საშუალება აქვთ გაეცნონ და იმუშაონ საარქივო მასალებთან, გაეცნონ სამეცნიერო ლიტერატურას, გაანალიზონ, შეაფასონ და საკუთარი არგუმენტირებული დასკვნები გააკეთონ მათთვის აუცილებელ და საჭირო ინფორმაციაზე. მათ პროექტის მსვლელობის დროს ეძლევათ საშუალება მოისმინონ განსხვავებული მოსაზრებები და შეადარონ საკუთარს. ჩემი აზრით, პროექტი ხელს უწყობს მოსწავლეებში გუნდური მუშაობის, სხვისი აზრის მოსმენის და ლოგიკური, არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარება-დახვეწას, რაც ასე აუცილებელია მომავალი თაობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის.

ბარბარე ქებაძე - ქალაქ თბილისის 166-ე საჯარო სკოლის პედაგოგი (გუნდი ,,მნემოსინე“):

პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე“ უდავოდ საჭირო, დროული და აუცილებლად განსახორციელებელი პროექტია. ვფიქრობ, ეროვნულ ინტერესებზე მორგებული სახელმწიფო პოლიტიკის გააზრება და შეფასება არა მხოლოდ მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვისაა საჭირო და საინტერესო, არამედ საზოგადოების ფართო წრისათვისაც. წარსულისა და აწმყოს (ვგულისხმობ 20 საუკუნეს, რადგან ისტორიული პროცესების სწორი პოლიტიკური შეფასებისას დისტანცირება ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია) სრულფასოვანი, ფაქტებზე დამყარებული ანალიზი და შეფასება მომავალი თაობისათვის გასათვალისწინებელი ფაქტორი უნდა გახდეს. სტუ-ის ეს პროექტი ახალი გამოწვევა აღმოჩნდა ბავშვებისათვის. გარდა იმისა, რომ მოსწავლეები აქტიურად ეძიებდნენ ინფორმაციებს ბიბლიოთეკებში, არქივსა თუ სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალებზე, უშუალოდ მენტორებისაგან და ექსპერტისაგან (ჩვენი უღმესი პატივისცემა და მადლობა ბატონებს ედიშერ გვენეტაძე, კობა ჩიხლაძეს და ექსპერტს ბატონ მურმან პაპაშვილს) იღებდნენ მეტად საჭირო და კვალიფიციურ რეკომენდაციებს. მოსწავლეებში საკმაოდ გაიზარდა კვლევის, ძიების, არგუმენტირებული მსჯელობის, ინფორმაციების დახარისხების, საკითხების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და გლობალურ ასპექტში გააზრებისა და გაანალიზების უნარი და, შესაბამისად, პროცესების ამ თვალსაზრისით შეფასებას შეუწყო ხელი. ჩარდა კვლევითი უნარებისა, მოსწავლეებმა დახვეწეს საჯარო გამოსვლის, დებატების, ბრალდების იურიდიული ფორმულირების, პრეზენტირების უნარები და შეიძინეს მეტად საჭირო გამოცდილება. ნებისმიერი სიახლე ყველა სექტორისაგან, კონკურსანტებისა და ჟიურისაგან საჭიროებს დიდ სიფრთხილეს, ყურადღებას და ობიექტურობას, მითუმეტეს, როდესაც საქმე გვაქვს წარსულის პროცესების შეფასებასთან და ახალგაზრდებთან. შეფასება ყოველთვის უნდა ხდებოდეს არგუმენტი-

რებულად და წინასწარ შემუშავებული და გაცხადებული კრიტერიუმებით. მისასალმებელია, რომ პროექტის ხელმძღვანელობა ამ თვალსაზრისით ძალიან ფრთხილობს და ცდილობს ხარვეზების დახვეწას. დაბოლოს, არ შემიძლია ძალიან დიდი პატივისცემა და მადლობა არ გამოვხატო ფაკულტეტის დეკანის ბატონ ირაკლი გაბისონიას, პროექტის ავტორისა და ხელმძღვანელის, ბატონ ჰენრი კუპრაშვილის, პროექტის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ ყველაზე დიდი მოამაგის და ხელისშემწყობის ქალბატონ ნინო ოდიშელიძის მიმართ.

მარინე მაღლაფერიძე - ქალაქ თბილისის 166-ე საჯარო სკოლის პედაგოგი (გუნდი ,,მნემოსინე“).

უკვე რამოდენიმე წელია სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით სტუდენტებისა და უფროსკლასელების მონაწილეობით ეწყობა იმიტირებული პროცესები პროექტ ,,პოლიტიკა სამსჯავროზე“ ფარგლებში. ამ პროცესში მონაწილეობა მივიღეთ 166-ე საჯარო სკოლის ისტორიკოსთა კლუბის ,,ექსცესის“ წევრმა მოსწავლეებმა და პედაგოგებმა. ჩვენი მოსწავლეებისთვის კონკურსში მონაწილეობა სიახლეს არ წარმოადგენდა, ამიტომ ჩვეული ენთუზიაზმით შევუდექით მზადებას, ხუმრობა საქმე არ იყო, ვახტანგ VI-ის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკისათვის უნდა დაგვედო ბრალი! თვენახევრის განმავლობაში ბავშვებმა გულმოდგინედ იშრომეს, გაეცნენ ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებს, დოკუმენტებს, ისტორიკოსთა შეფასებებს. უწყვეტი კომუნიკაცია და თანადგომა გვქონდა ჩვენს მენტორებთან ბატონ ედიშერ გვენეტაძესა და ბატონ კობა ჩიხლაძესთან, რისთვისაც კიდევ ერთხელ გვსურს გამოვხატოთ მადლიერება. ჩვენი გუნდი-,,მნემოსინე“ ღირსეულად წარსდგა პროცესზე და ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისათვის. მინდა პატივისცემით აღვნიშნო, რომ პროექტი ,,პოლიტიკა სამსჯავროზე“ მთლიანად ეფუძნება საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ხელს უწყობს მოზარდებში

ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას. Iმიტირებული სასამართლო პროცესი ცოცხლად მიმდინარეობს - ბრალდებებით, დაცვით, ნაფიცი მსაჯულებით. მოსწავლეები ღიად ერთვებიან პაექრობაში, სწავლობენ სწრაფ აზროვნებას, სათქმელის ლოგიკურად ჩამოყალიბებას, საკუთარი პოზიციის დაცვას. შემდეგ კი საკუთარი თუ მოწინააღმდეგე გუნდის შეცდომების ანალიზს. როგორც ახლად ფეხადგმულ იდეას პროექტში გარკვეული ხარვეზებიც გამჟღავნდა. პროექტის მესვეურები ყოველთვის მზად არიან ღია და გახსნილი საუბრებისათვის, იზიარებენ და ითვალისწინებენ პედაგოგებისა და მოსწავლეებისაგან წამოსულ შენიშვნებსა და ინიციატივებს. გვინდა, გზა დავულოცოთ პროექტს, წარმატებები ვუსურვოთ და კვლავ ვუთხრათ სამადლობელი სიტყვები პროექტის ავტორსა და ხელმძღვანელს ბატონ ჰენრი კუპრაშვილს და პროექტის ყველა მხარდამჭერს ასეთი დროული და საჭირო აქტივობების დანერგვისათვის.

ლელა ხვედელიძე - ხაშურის მერვე საჯარო სკოლის პედაგოგი (გუნდი ,,იბერიონი“).

პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა პროექტის ორგანიზატორებს გადავუხადო იმისათვის, რომ რაიონიდან ჩვენი გუნდი ჩაგვრთეს ამ პროექტში, რამაც დიდი გამოცდილება შეგვძინა. ურთიერთბა გვქონდა ჩვენს მენტორებთან, სტუ-ს პროფესორებთან. ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი იყო ეს შეხვედრები. რაც შეეხება ეხლა ჩემი გუნდის წევრებს, ბოლო რამდენიმე დღეა მართლაც ღამეები არ გვეძინა, ერთად ვმუშაობდით, ერთ გუნდად ჩამოვყალიბდით. სხვადასხვა კლასის ბავშვებს დავალებები დანაწილებული ჰქონდათ და ჩემი დახმარებით, რაც იმუშავეს სახეზეა ჩვენი ნამუშევარი და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა და იმედს ვიტოვებთ, რომ კვლავაც და მომვალშიც ამ პროექტში მივიღებთ მონაწილეობას. ჩვენ ძალიან გვინდა, რომ მივიღოთ მონაწილეობა.

5) მეორე სამსჯავრო მასმედიაში

1. ლავრენტი ბერიას პოლიტიკა სამსჯავროზე - სამაუწყებლო კომპანია **“რუსთავი 2”**. 2019 წლის 26 იანვარი.

2. განაჩენს ელოდება ლავრენტი ბერიას პოლიტიკა. **საქართველოს ახალი ამბების სააგენტო - GHN**. 2019 წლის 24 იანვარი. 14:04 სთ. https://ghn.ge/news/219607-ganachens-elodeba-lavrenti-berias-politika



3. სამსჯავროზეა ლავრენტი ბერიას საქართველოში წარმოებული პოლიტიკა.

საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო - INFO NEWS. 2019 წლის 09 იანვარი. https://infonews.ge/სამსჯავროზეა-ლავრენტი-ბე/

სამსჯავროზეა ლავრენტი ბერიას საქართველოში წარმოებული პოლიტიკა!

ავტორი **ვაკო კუპრაშვილი** 🕒 იანვარი 9, 2019 💬 0 👁 101

გრძელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროექტი "პოლიტიკა სამსჯავროზე". ამჯერად იმიტირებულ პროცესზე განიხილება ლავრენტი ბერიას მიერ საქართველოში განხორციელებული ...

და სხვ.





6) მეორე სამსჯავროს ვიდეოკოლაჟი (ფოტოებში)

სრული ფორმატი იხ., იუთუბზე: პოლიტიკა სამსჯავროზე https://www.youtube.com/watch?v=umB3LpOCDXo&t=10s

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
II სამუხეური. ლავრენტი ბერიას მიერ საქართველოში განხორციელებული პოლიტიკა! რამდენად შეესაბამებოდა იგი ქართველთა ეროვნულ ინტერესებს?! თითქოს, ყველაფერი წათელია. მაგრამ ბერიას პოლიტიკის დაცვის გუნდი „ისტორიის მეხი" დარწმუნებულია, რომ არ შეიძლება პოლიტიკოსში მხოლოდ „შავ" ან „თეთრ" ფერებს ხედავდე, უნდა შეძლო სხვა ფერების გარჩევაც და, შეეცდება მოძებნილი არგუმენტებით, საზოგადოებისათვის ამ ცალსახად „შავებული" პიროვნების პოლიტიკაში, სხვა ფერებიც გამოაჩინოს. ურთულესი იმიტირებული სასამართლო პროცესი გველოდება.
ბრალდების მხარე
„VENI, VIDI, VICI"
1.მარიამ ფაღავა (ლიდერი);
2.ქეთი ბერაშვილი;
3.ვალერი ბიტარიშვილი;
4.ნიკა კაზაიშვილი;
5.მარიამ ოდიშარია;
6.ანა როდონაია;
7.მარიკა ჩხენკელი.
ლავრენტი ბერია
2019 წლის 25 იანვარი, 13 საათი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ადმინისტრაციული კორპუსი, გზიკლაძის დარბაზი
ეიერი: სტუ-ს პროფესორები, საპარლამენტო ლეგიტიმაციის მქონე პარტიების წარმომადგენლები და სხვ. თავმჯდომარე: ფაკულტეტის დეკანი, პროფ. ირაკლი გაბისონია
დაცვის მხარე
„ისტორიის მეხი"
1.ანა ნაკაშია (ლიდერი);
2.პეტრე გელაშვილი.
3.სოფო დარჩია;
4.ლუკა ლუარსაბიშვილი;
5.მერაბ ტაკაშვილი;
6.ნანა ქათამაძე;
7.ანა წინამძღვრიშვილი.
გუნდის მენტორები: პროფ. გიორგი ჩხეიძეშვილი - პოლიტიკისა და საერთაშ. ურთიერთობების მიმართულებით; პროფ. თემურ ბეჟაშვილი - სამართლის მიმართულებით.
გუნდის მენტორები: პროფ. ედიმერ გვენეტაძე - პოლიტიკისა და საერთაშ. ურთიერთობების მიმართულებით; პროფ. გიორგი გორგაძე - სამართლის მიმართულებით.
კონსულტანტი: მიშელი ოლუფაგა


სამსჯავროს თავმჯდომარე,სამართლისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის დეკანი, პროექტის
თანახელმძღვანელი, პროფ. ირაკლი გაბისონია
+2.8°

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი,
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ჰენრი კუპრაშვილი

პროექტის მენეჯერ-კორდინატორი:
ნინო ოდიშელიძე

მეორე იმიტირებული სამსჯავროს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა:

1. ირაკლი გაბისონია – სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, პროექტის თანახელმძღვანელი – სასამართლოს თავმჯდომარე;
2. გიორგი ბარამიძე – პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა". საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის
მინისტრი;
3. ჯემალ გახოკიძე – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტუ-ს სენატის თავმჯდომარე. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი;
4. იგორ კვესელავა – სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
5. ირაკლი კიკნაველიძე – პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო–მოძრაობა თავისუფლებისთვის";
6. კობა ნარჩემაშვილი – საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება, სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის". საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი;
7. დავით უსუფაშვილი – პოლიტიკური მოძრაობის „შენების მოძრაობა" ლიდერი. საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე.

ბრალდების მხარე, გუნდი „VENI, VIDI, VICI"

1. მარი ფალავა, ლიდერი – სტუ-ს სსუფ-ის სამართლის სპეციალობის სტუდენტი;
2. ქეთი ბერაშვილი – სტუ-ს სსუფ-ის სამართლის სპეციალობის სტუდენტი;
3. ვალერი ბიტარიშვილი – სტუ-ს სსუფ-ის საერთაშორიო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი;
4. ნიკა კაზაიშვილი – სტუ-ს სსუფ-ის სამართლის სპეციალობის სტუდენტი;
5. მარიამ ოდიშარია – სტუ-ს სსუფ-ის საერთაშორიო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი;
6. ანა როდონაია - სტუ-ს სსუფ-ის საერთაშორიო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი;
7. მარიკა ჩხენკელი – სტუ-ს სსუფ-ის საერთაშორიო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი;

მენტორები:

პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობების -პროფ. გიორგი ჩხიკვიშვილი –;
სამართალის - პროფ. თემურ ბეჟოშვილი.

VIDI
VENI
VICI


ბრალდების მხარე, გუნდი
„VENI,VIDI,VICI''.
გუნდის კაპიტანი -
მარიამ ფაღავა
+2,8°

ბრალდების მხარის მენტორი პოლიტიკისა
და საერთაშორისო ურთიერთობების
მიმართულებით, პროფ. გიორგი ჩხიკვიშვილი


ბრალდების მხარის მენტორი სამართლის
მიმართულებით, პროფ. თემურ ბეჟოშვილი

დაცვის მხარე, გუნდი „ისტორიის მეოხი“

1. ანა ნაკაშია, ლიდერი – სტუ-ს სსუფ-ის სამართლის სპეციალობის სტუდენტი;
2. პეტრე გელაშვილი – სტუ-ს სსუფ-ის საერთაშორიო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი;
3. სოფიკო დარჩია – სტუ-ს სსუფ-ის სამართილის სპეციალობის სტუდენტი;
4. ლუკა ლუარსაბიშვილი – სტუ-ს სსუფ-ის საერთაშორიო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი;
5. მერაბ ტაკაშვილი – სტუ-ს სსუფ-ის სამართლის სპეციალობის სტუდენტი;
6. ნანა ქათამაძე – სტუ-ს სსუფ-ის საერთაშორიო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი;
7. ანა წინამძღვრიშვილი – სტუ-ს სსუფ-ის საერთაშორიო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი.

მენტორები:

პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობების - პროფ. ედიშერ გვენეტაძე;
სამართალის - პროფ. გიორგი გორაძე.

დაცვის მხარე, გუნდი „ისტორიის მეოხი".
გუნდის კაპიტანი - ანა ნაკაშია

დაცვის მხარის მენტორი პოლიტიკისა
და საერთაშორისო ურთიერთობების
მიმართულებით, პროფ. ედიშერ გვენეტაძე

დაცვის მხარის მენტორი სამართლის
მიმართულებით, პროფ. გიორგი გორაძე

VIDI VICI VAGNI
VVS

+2.8°

VENI VIDI VICI
VVS

+2,8°




ბრალდების მხარის,
გუნდის „VENI,VIDI,VICI''
წინა მოსამზადებელი
სამუშაო პროცესი


დაცვის მხარის, გუნდის
,,ისტორიის მეოხი"
წინა მოსამზადებელი სამუშაო
პროცესი.



18. საკუთარ სახელთა საძიებელი

1. აბაშელი ალექსანდრე 51
2. აიეტი 75
3. ალავიძე მარიამ 115
4. ალექსანდრე I (რუსეთის იმპერატორი) 75
5. ალექსიძე ნინო 114
6. ანთია ლევანი 116
7. ანწუხელიძე გიორგი 33
8. აქუბარდია დავით 90
9. აქუბარდია თეონა 90
10. ახმეტელი სადრო 22
11. ბაგრატ III 75
12. ბაგრატ V 75
13. ბარამიძე გიორგი 10, 83, 93, 127
14. ბატონიშვილი ალექსანდრე 75, 115
15. ბერაშვილი ქეთი 14, 30, 125, 128
16. ბერია ლავრენტი 1, 10, 13, 17-35, 37-57, 61, 62, 64, 66, 75, 84, 121, 122, 124, 125
17. ბერია სერგო 45, 63
18. ბერბიჭაშვილი გიგლა 51
19. ბეჟოშვილი თემური 15, 125, 128, 130
20. ბიტარიშვილი ვალერი 14, 19, 34, 55, 125, 128
21. ბლაგიძე ნათია 16
22. ბოგომოლოვი 51
23. ბრეგვაძე ზაიკო 105
24. ბურჯანაძე ნინო 95
25. ბუხრაშვილი ეკა 110
26. გაბისკირია გურამ 33
27. გაბისონია ირაკლი 2, 5, 10, 70, 82, 83, 85, 86, 89, 105, 114, 115, 119, 125, 127
28. გამსახურდია ზვიადი 33, 41, 75, 96
29. გამსახურდია კონსტანტინე 29, 45

30. გამსახურდის კონსტანტინე (ზვიადის შვილი) 96
31. გახოკიძე ჯემალი 10, 83, 127
32. გელაშვილი პეტრე 16, 30, 125, 131
33. გელენავა ნინო 109
34. გვენეტაძე ედიშერი 16, 66, 118, 119, 125, 131, 132
35. გიორგი I 75
36. გიორგი III 75, 111
37. გიორგი IV ლაშა 75
38. გიორგი VII 75
39. გიორგი VIII 75
40. გიორგი XII 75
41. გოგოძე ანა 107
42. გორაძე გიორგი 16, 125, 131, 133
43. გურული ვახტანგი 62, 63
44. დადიანი შალვა 51
45. დავით VI ნარინი 75
46. დავით VII ულუ 75
47. დავითური რუსუდანი 111
48. დარჩია სოფიკო 16, 25, 30, 125, 13„1
49. დევდარიანი სეით 21, 60
50. ეკატერინე II (რუსეთის იმპერატორი) 75
51. ესკრიჯ-კოსმაჩი ელენა 88
52. ეჟოვი ნიკოლაი 30
53. ერეკლე II 75, 90
54. ვაზოვი ივან 40
55. ვარქსენ პიტიახში 75
56. ვახტანგ გორგასალი 75
57. ვახტანგ VI 12
58. ვორონცოვი მიხეილ 40
59. თამარ მეფე 75
60. თაყაიშვილი ექვთიმე 51, 64
61. თეიმურაზ I 75

62. თოთაძე ანზორი 47, 62
63. იაშვილი პაოლო 22
64. ილია მართალი 41
65. ინგოროყვა პავლე 51
66. კალანდია თამარი 110
67. კაზაიშვილი ნიკა 15, 30, 125, 128
68. კარახანი ლევ 24
69. კვარაცხელია მაკა 63
70. კვერენჩხილაძე რევაზ 63
71. კვესელავა იგორი 10, 83, 127
72. კიკნაველიძე ირაკლი 10, 83, 96, 127
73. კირიონ I კათალიკოსი 75
74. კიროვი სერგეი 19, 20
75. კოდუა ი. 48, 64
76. კოსტავა მერაბი 33
77. კოპალიანი საბა 107
78. კოჟორიძე დავით 63
79. კოტეტიშვილი ვატანგი 21, 58
80. კრემლიოვი სერგეი 63
81. კულამოვი ანა-მარია 106
82. კუპრაშვილი ჰენრი 2, 5, 10, 11, 69, 83, 84, 88, 89, 93, 96, 105, 106, 112, 114-116, 119, 120, 126
83. კუკავა კახა 97
84. კუჭავა მიტროფანე 64
85. ლაკერბაია 19
86. ლაშქარაძე ელენე 109
87. ლევან II დადიანი 75
88. ლენინი ვლადიმერი 20, 21
89. ლინკოლნი აბრაამ 41
90. ლოიდ ჯორჯი დევიდ 75
91. ლუარსაბ II 75
92. ლუარსაბიშვილი ლუკა 16, 34, 125, 131

93. მაზნიაშვილი გიორგი 21, 33, 59
94. მაზნიაშვილი ივანე 21, 59
95. მაისაია ვახტანგ 2
96. მარჯანიშვილი კოტე 21
97. მაღლაფერიძე მარინე 119
98. მაშაშვილი ალიო 63
99. მახარაძე მარიამი 108
100. მახარაძე ფილიპე 51
101. მგალობლიშვილი ოთარი 16, 84
102. მგალობლიშვილი თემური 16, 84
103. მედვედევი როი 52
104. მეტრეველი მიხეილი 22, 61
105. მეტრეველი როინი 111
106. მთაწმინდელი გიორგი 75
107. მიქელაძე ევგენი 22
108. მიქოიანი ანასტას 49
109. მიწიშვილი ნიკოლო 51
110. მჟავანაძე ვასილი 75
111. მუჯირიშვილი ლელა 16
112. მჭედლური დავით 64
113. მხეიძე პაატა 97
114. ნათმელაძე მაყვალა 62
115. ნაკაშია ანა 15, 41, 101, 125, 131, 132
116. ნარჩემაშვილი კობა 11, 84, 98, 127
117. ნიკოლაძე გიორგი 82
118. ნოზაძე მარიამ 103
119. ოდიშარია მარიამ 15, 30, 125, 128
120. ოდიშელიძე ნინო 2, 11, 14, 70, 84, 86, 105, 114, 119, 126
121. ოკუჯავა მინდია 125
122. ორბელიანი სულხან-საბა 75, 105
123. ორჯონიკიძე სერგო 46

124. ოსიძე ლევანი 111
125. პაპაშვილი მურმანი 118
126. პაჭკორია თათია 92
127. პეტრე I (რუსეთის იმპერატორი) 75
128. პლანკი მაქსი 89
129. ჟორდანია ნოე 75, 96
130. ჟვანია ისააკ 45
131. რატიანი სერგო 99
132. რაფავა ავქსენტი 24
133. რობაქიძე გრიგოლი 92
134. როგავა სოფო 116
135. როდონაია ანა 15, 19, 34, 125, 128
136. რუსთაველი შოთა 50
137. რუსუდანი 75
138. სააკაძე გიორგი 75
139. სამუშია ჯაბა 64, 111
140. სიაოპინი დენ 18
141. სიგუა ალექსანდრე 32, 49, 51, 52, 54
142. სოლომონ II 75
143. სონღულაშვილი ავთანდილი 64
144. სონღულაშვილი ირადიონ 51
145. სტალინი იოსებ 20, 23, 27, 35, 45, 46-48, 54, 61, 62, 75
146. სუდოპლატოვი 52
147. სულაძე გელა 51, 63
148. ტაბიძე გალაქტიონი 114
149. ტაბიძე ტიციანი 22, 59
150. ტაკაშვილი ანა 100
151. ტაკაშვილი თამარი 104
152. ტაკაშვილი მერაბი 16, 30, 41, 125, 131
153. უსუფაშვილი დავითი 11, 84, 99, 127
154. ფარტაზი 75

155. ფაღავა მარიამი 14, 34, 55, 125, 128, 129
156. ქათამაძე ნანა 16, 30, 34, 125, 131
157. ქებაძე ბარბარე 117
158. ქორქია როდიონი 63
159. ღონღაძე გიორგი 106
160. ყურულაშვილი გიორგი 21
161. შარაშია გოდერძი 99
162. შარტავა ჟიული 33
163. შაჰ-ჰუსეინ I 12
164. შევარდნაძე დიმიტრი 51
165. შევარდნაძე ედუარდ 75, 115
166. ჩარკვიანი კანდიდი 63
167. ჩილაჩავა ნათია 103
168. ჩილაჩავა რაული 50, 62, 64
169. ჩიტაია მაკო 115
170. ჩიხლაძე კობა 118, 119
171. ჩხენკელი მარიკა 17, 34, 37, 125, 128
172. ჩხიკვიშვილი გიორგი 15, 65, 125, 128, 130
173. ჩოლოყაშვილი ქაქუცა 20, 32
174. წიკლაური-ლამიხი ელიკო 89
175. წინამძღვრიშვილი ანა 16, 34, 125, 131„
176. წერეთელი მიხაკო 64
177. ჭავჭავაძე ილია 43, 50, 51
178. ჭანტურია მათე 116
179. ჭიჭინაძე ხათუნა 21, 60
180. ხვედელიძე ლელა 120
181. ხრუშჩოვი ნიკიტა 34, 37, 52
182. ჯაგოდნიშვილი ივანე 11, 84
183. ჯავახიშვილი ივანე 53
184. ჯავახიშვილი მიხეილი 22
185. ჯავახიშვილი თამარი 114
186. ჯანაშია ლია 117

187. ჯაოშვილი ვახტანგი 63
188. ჯიშკარიანი დ. 22
189. ჯუგაშვილი მაიკო 112
190. ჰაქიმ ნაზიმი 31
191. ჰუსეინ ყული-ხანი 12
192. Gabisonia Irakli 3
193. Kuprashvili Henri 3
194. Maisaia Vakhtang 3
195. Odishelidze Nino 3
196. Александров А.П. 64
197. Берия С.Л. 64
198. Васильева Л. Н. 65
199. Жуков Ю.Н. 65
200. Зенькович Н. 65
201. Лакоба Станислав 65
202. Лесков С. 65
203. Медведев Р. 65
204. Медведев Ж. 65
205. Мухин Ю.И.
206. Сивачёв Н.В.
207. Сталин 65
208. Хрущёв Никита 65
209. Языков В.Ф. 65